დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფი:

თავმჯდომარე:

ლია ჯალაღონია ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,

წევრები:

თამთა კვარაცხელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,

ნათია დარსაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,

ანა ანუშიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,

სოფიო დუმბაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,

სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ელიზა კუკავა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,

მაკა ინაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,

ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,

ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი,

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლია იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	230078331

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზესტაფონი
იურიდიული მისამართი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელი პირველი სვირი
ფაქტობრივი მისამართი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელი პირველი სვირი
საფოსტო ინდექსი	2000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi-admin.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	pirvelisviri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577233022

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023 წლის 18 ივლისი, N896231 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 14,15 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირველი სვირი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირველი სვირი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირველი სვირი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 14 და 15 აგვისტოს სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:ლია ჯალაღონია - თავმჯდომარე, თამთა კვარაცხელია, ნათია დარსაძე, ანა ანუშიძე, სოფიო დუმბაძე, სალომე არაბიძე, ელიზა კუკავა, მაკა ინაშვილი, ციცინო თორია, ქეთევან ქობალია, ნინო მახარაშვილი

მეორე დღის ბოლოს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შეაჯამეს ვიზიტი და ხაზი გაუსვეს იმ მნიშვნელოვან მომენტებს რაც ერთობლივი მუშაობის დროს გამოიკვეთა.

ვიზიტმა საქმიან და თანამშრომლობით გარემოში ჩაიარა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

N1სტანდარტი	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
ინდიკატორი		
N3სტანდარტი		

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა:350	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

		ხარვეზი
N4სტანდარტი		
N2სტანდარტი		

სტანდარტიN2	*დაწყებითი საფეხურის კურიკულუმ*	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაც შეესაბამება დაკავებუ თანამდებობას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლ შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2023 წლის 28.დეკემბრამდე ექიმის ვაკანსიაზ კონკურსის წესით შეარჩიოს და დაინიშნოს პირი, რომელსაც ექნება საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვ მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი№41/ნ/01-23/ნ ბრძანები განსაზღვრული სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელი საქართველო კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“; „საოჯახ მედიცინა“; „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“ .

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
კომპონენტი 2.2	*კურიკულუმის განხორციელება*	*სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლ მიეცა რეკომენდაცია:* *შესაბამისობის გეგმის თანახმად, სათანადო უწყებასთან კომუნიკაციის წარმართ საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოსაწყობად 2024 წლის აგვისტომდე.*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
კომპონენტი 2.2	*კურიკულუმის განხორციელება*	*სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლ მიეცა რეკომენდაცია:* *შესაბამისობის გეგმის თანახმად, სათანადო უწყებასთან კომუნიკაციის წარმართ საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოსაწყობად 2024 წლის აგვისტომდე.*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
კომპონენტი 2.2	*კურიკულუმის განხორციელება*	*სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლ მიეცა რეკომენდაცია::* *შესაბამისობის გეგმის თანახმად, სათანადო უწყებასთან კომუნიკაციის წარმართ საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოსაწყობად 2024 წლის აგვისტომდე.*

VI. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ინდიკატორი	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორიN1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სასურველია,ცალ-ცალკე დოკუმენტებად დამტკიცების ნაცვლად სკოლამ შეიმუშავოს ორი დოკუმენტი:1. მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია 2. სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის ფილოსოფია;; სკოლამ ასახოს თავის მისიაში საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერება;
ინდიკატორიN1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სასურველია, რომ სტრატეგიული გეგმა სკოლამ გახადოს ციკლური და ციკლები შემდეგნაირად წარმოდგინოს: 1. ვითარების ანალიზი; 2. დაგეგმვა; 3. გეგმის განხორციელება; 4. შედეგების ანალიზი;
ინდიკატორიN.1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებ შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვად ინდიკატორები, რეალისტური ვადებ პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურულ ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელ უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სასურველია, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დაზუსტებული იყოს შესრულების ინდიკატორები, აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა

ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის N006349 დასკვნის შესაბამისად სკოლამ უნდა უზრუნველყოს: 1.შენობის წყალშემკრები და წყალარინების სისტემის მოწესრიგება 2. ეზოში მდგარი უფუნქციო ნაგებობების(ყოფილი საპირფარეშო და სამეურნეო) დემონტაჟი
ინდიკატორი N3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემების დაცვას;	პერსონალური მონაცემების და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მიზნით სასურველია სკოლამ მოსწავლეთა მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებაში შეიტანოს ცვლილების სახით საკითხი პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროების უფლების შესახებ.
ინდიკატორი N3.5.1.2.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს;	სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მეორე სართულ არსებული კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა მიზანშეწონილ პირველ სართულზე განათავსდეს

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი N2.2.2.1	-სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზ ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენებ გათავისებას საგნობრივ საკითხებ დაყრდნობით	ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმები---სასურველია, ესგ-ის მიზნებს მოვარგოთ კურიკულუმში მითითებული ყველა თემა.
ინდიკატორი N2.2.2.3.	შეფასების სისტემა ორიენტირებულის მოსწავლ ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ს	სკოლის მიერ წარდგენილი დაწყებითი საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმებიდან და მატრიცებიდან გამომდინარე, გირჩევდით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წინასწარ წერილობითი ფორმით

		შეიმუშაოთ სამიზნე ცნებებთან და მიზნებთან თანხვედრაში, კრიტერიუმები შევიტანოთ ,,მარტივი ენით“ და არა ესგ-დან კოპირებით.
ინდიკატორი N2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდე კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდოლოგიის შესაბამისად	სკოლის მიერ წარმოდგენილია სამუშაო ვერსია დოკუმენტის ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ სასურველია, აღნიშნულ დოკუმენტში წინასწარ იყოს დაფიქსირებული მონიტორინგის სავარაუდო პერიოდი,(მაგალითად სემესტრის ბოლოს), ინტენსივობა,(მაგალითად წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ)მონიტორნგის განმახორციელებელი პირების თანამდებობები. ასევე გირჩევდით წინასწარ იქნას შემუშავებული და განსაზღვრული მონიტორინგის ფორმა,მეთოდოლოგია.,შერჩევის პრინციპი.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზ ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენებ გათავისებას საგნობრივ საკითხებ დაყრდნობით	უცხოური ენების წარმოდგენილ კურიკულუმებში სასურველია ესგ-ის მიზნე მოვარგოთ კურიკულუმში მითითებული ყველა თემა.
ინდიკატორი N2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდე კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდოლოგიის შესაბამისად	სკოლის მიერ წარმოდგენილია სამუშაო ვერსია დოკუმენტის ,,კურიკულუმ შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ სასურველია, აღნიშნუ დოკუმენტში წინასწარ იყოს დაფიქსირებული მონიტორინგის სავარაუდ პერიოდი,(მაგალითად სემესტრის ბოლოს), ინტენსივობა,(მაგალითად წელიწად მინიმუმ 2-ჯერ)მონიტორნგის განმახორციელებელი პირების თანამდებობები. ასე გირჩევდით წინასწარ იქნას შემუშავებული და განსაზღვრული მონიტორინგ ფორმა,მეთოდოლოგია.,შერჩევის პრინციპი.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის კურიკულუმი	რჩევა

ინდიკატორი № 2.1.2.4.	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასე მიემართება გრძელვადიან მიზნებსა მეთოდიკურ ორიენტირებს*	*სპორტი-სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც დაეხმარება მათ თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.*
ინდიკატორი N2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზ ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენებ გათავისებას საგნობრივ საკითხებ დაყრდნობით*	*უცხოური ენები- სასურველია ესგ-ის მიზნებს მოვარგოთ კურიკულუმ მითითებული ყველა თემა.*
ინდიკატორი N2.3.1.1	*მონიტორინგი და შეფასება ხორციელდე კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდოლოგიის შესაბამისად*	*სკოლის მიერ წარმოდგენილია სამუშაო ვერსია დოკუმენტის „კურიკულუმ შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ სასურველია, აღნიშნუ დოკუმენტში წინასწარ იყოს დაფიქსირებული მონიტორინგის სავარაუდ პერიოდი,(მაგალითად სემესტრის ბოლოს), ინტენსივობა (მაგალითად წელიწად მინიმუმ 2-ჯერ)მონიტორნგის განმახორციელებელი პირების თანამდებობები. ასე გირჩევდით წინასწარ იქნას შემუშავებული და განსაზღვრული მონიტორინგ ფორმა,მეთოდოლოგია.,შერჩევის პრინციპი.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად:

1.ინდიკატორი N 3.1.2.4 მოთხოვნის- „პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას“-უზრუნველსაყოფად ***სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა შესაბამისობის გეგმით*** *იღებს ვალდებულებას* ***2023 წლის 28.დეკემბრამდე*** *ექიმის ვაკანსიაზე კონკურსის წესით შეარჩიოს და დაინიშნოს პირი, რომელსაც ექნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი№41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელი საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“; „საოჯახო მედიცინა“; „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“ .*

აღნიშნული საკითხი განიხილა ექსპერტთა ჯგუფმა და გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. ინდიკატორი N3.1.2.4. შეფასდა - „მეტწილად შესაბამისი“ და კომპონენტი 3.1 შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

გამომდინარე აქედან მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“

2. *N2 სტანდარტის - „სასკოლო კურიკულუმი“ 2.2 კომპონენტის -„კურიკულუმის განხორციელება“ უზრუნველსაყოფად დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისთვის* ***სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა შესაბამისობის გეგმით იღებს ვალდებულებას 2024 წლის 31 აგვისტომდე შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია წარმართოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოსაწყობად.***

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც მოცემულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის მისია და ხედვა, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, თუმცა, ის საჭიროებს რევიზიას, რაზეც სკოლა აქტიურად მუშაობს, ამის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა რამდენიმე დოკუმენტის პროექტი: ა)მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი; ბ) სკოლის მისიის დოკუმენტი; გ) სკოლის ხედვის დოკუმენტი; დ) სკოლის ღირებულებების დოკუმენტი; ე) სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი; წარმოდგენილ პროექტებში ნაწილობრივ გათვალისწინებულია ის შენიშვნები, რომლებიც სკოლას მიუღია ქოუჩინგის პროცესში. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ 2023 წლის 1 სექტემბრიდან 8 სექტემბრამდე სკოლა დახვეწს პროექტებად წარმოდგენილ დოკუმენტებს და დაამტკიცებს 8 სექტემბრამდე სასკოლო კურიკულუმთან ერთად კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლას გარკვეული წარმატება აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მიმართულებით (მინიჭებული აქვს ,მწვანე სკოლის“ სახელი), რომ სკოლის მისიაში არ არის ასახული ეს მიმართულება და სამომავლოდ უნდა აისახოს.

ვფიქრობთ, ცალ-ცალკე დოკუმენტებად დამტკიცების ნაცვლად ჯობს სკოლამ მიიღოს ორი დოკუმენტი: ა)მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; ბ) სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი, რომელშიც შევა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები; გარდა ამისა, სკოლის მისიაში აისახოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაძლიერების მიმართულებაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 1.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა თავისი მისიით,ხედვითა და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს,როგორც სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო- კულტურულ სივრცეს, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით, აგრეთვე, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით, რომლის შესავალ ნაწილში მითითებულია, თუ როგორ გარემოში,როგორი მატერიალური და ადამიანური რესურსით შეძლებს სკოლა მისიით განსაზღვრული ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 1.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის მიერ წარმოდგენილია მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (პროექტი), რომელშიც დაწვრილებით არის მოცემული მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების ძირითადი ეტაპები, განსაზღვრულია ამ პროცესებზე პასუხისმგებელი პირები, პროცესში ჩართული მხარეები: სკოლის დირექცია, სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობლები, სამეურვეო საბჭო; დოკუმენტში მოცემულია ძირითადი პრინციპები: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება; გამჭვირვალობა; ანგარიშვალდებულება; დაწვრილებით აღწერილია გაზიარების მექანიზმები; მოცემულია, აგრეთვე, სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფის ფორმირების პროცესი; დოკუმენტების წარმოება/შენახვის წესი; SWOT მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც ხდება სასკოლო გარემოს შეფასება; სკოლის ფილოსოფიის გაზიარება-გასაჯაროების მექანიზმები; სკოლამ წარმოადგინა მომქმედი მისიის, ხედვის გადამუშავება/რევიზიის ამსახველი დოკუმენტები და სკოლის ახალი ფილოსოფიის პროექტი, რომელიც დამუშავების ეტაპზეა და სამეურვეო საბჭოს მიერ შეთანხმებილი და პედსაბჭოს მიერ დამტკიცებული იქნება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 1.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ ,,მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის“ პროექტში დაწვრილებით არის აღწერილი, როგორ ხდება სკოლის ფილოსოფიის გაზიარება სასკოლო თემში, კერძოდ: სკოლაში დოკუმენტის გაზიარებისთვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ვებგვერდი
- ელექტრონული ფოსტა
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა
- პორტალი ვებგვერდზე
- სოციალური მედია
- საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია სქემა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ინფორმაცია, მასში დაწვრილებით არის მოცემული, თუ რომელი დოკუმენტი/პროცესი ვისთან ზიარდება და როგორი მექანიზმით;
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 1.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, როგორც ცალკე დოკუმენტი, ასევე-გამოკრულია სასკოლო სასწავლო გეგმაც და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმაც, რომელთა ნაწილებიც არის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 1.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

6. სკოლა საჯარო სამართლის იურიდიული პირია, მისი სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 448-ე ბრძანებას.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 1.1.6. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N1 2022-2028 წლების სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა

2. დანართი N153 ერთწლიანი გეგმა

3.. დანართი №115 სკოლის მისია

4. დანართი №114 სკოლის ხედვა

5. დანართი № 123 ღირებულებები

6. დანართი № 116 სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

7. დანართი №40 სამეურვეო საბჭოს ოქმი სსგ და სგგ-ის შეთანხმების შესახებ

8. დანართი №41 პედსაბჭოს ოქმის სსგ და სგგ-ის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტის ,,სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია“ პროექტი. შესაბამისობის გეგმით კი წარმოადგინა კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული დოკუმენტი.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მისიაში აისახება ცვლილებები, კერძოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაძლიერება გახდება სკოლის პრიორიტეტი, ეს მიმართულება კი საერთოდ არ ჩანს სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში. გარდა ამისა, სასურველია სტრატეგიული განვითარების მიმართულებები, აქტივობები, განმახორციელებელი პირები და რესურსები სკოლამ წარმოადგინოს ცხრილის სახით, რათა ინფორმაცია უფრო აღქმადი იყოს. ნარატიულად აქვს წარმოდგენილი სკოლას სტრატეგიული გეგმის მთავარი ნაწილი-სტრატეგიული მიზნები და ვადები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია აღწერს პროცესებს: ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია ადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, თუმცა ზოგადად არის მითითებული შესაბამისი რესურსები და არ არის მოცემული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები; გარდა ამისა, არ არის მოცემული სტრატეგიულ გეგმაში აღნიშნული ზოგიერთი მიმართულება, მაგალითად, მუნიციპალურ პროექტებში მონაწილეობა; ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების კულტურის დამკვიდრება; მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგის განხორციელება.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი №116 სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია

2. დანართი №1 სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა(დამტკიცება)

3. დანართი №153 სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა(ტექსტი)

4. დანართი №40 სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის შეთანხმებაზე

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
კერძოდ, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს წელიწადში ორჯერ-იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც, აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. ვფიქრობთ, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის წარსამართად საჭიროა სხვა ჯგუფი (არა სტრატეგიული დაგეგმვის განმახორციელებელი) ან-სამეურვეო საბჭოს შეუძლია წარმართოს ეს პროცესი.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2.2.1. სტანდარტს შეესაბამება.
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის

გათვალისწინებით;სკოლის მიერ ამ ეტაპზე წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოზე დირექტორის 2022 წლის ანგარიში ,ასევე 2022-2023 სასწავლო წლის პედსაბჭოს ოქმი,სადაც განხილულია 2022-2023 სასწავლი წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გასაჯაროვდება 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს,რაც დასტურდება სკოლის მიერ შევსებული ავტორიზაციის განაცხადით, რომელშიც წერია, რომ სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით შემუშავებული სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ანგარიში გახდება საჯარო: გამოიკვრება სკოლის ფოიეში, გამოქვეყნდება სოციალურ ქსელში, სკოლის გვერდზე

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2.2.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.რის საფუძველსაც გვაძლევს სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომლებშიც დაწვრილებით არის აღწერილი, როგორ, რა მეთოდებით მოახდენს სკოლა შვიდწლიანი და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას, როგორ გამოიყენებს ის მიღებულ შედეგებს ახალი ციკლის დაგეგმვისთვის

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2.2.4 სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი№ 116 სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
2. დანართი№153 ერთწლიანი გეგმა
3. დანართი№1 სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
4. დანართი №40 სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის შეთანხმების შესახებ
5. დანართი №3 FB სოცქსელზე გვერდი
6. დანართი №23 ანგარიში სასწავლო პროცესის შესახებ

7. დანართი №5 სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური ანგარიშის შესახებ

8. დანართი N132 2022-2029 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა(ტექსტი)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. .სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლაში სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია დოკუმენტებით: სკოლის წესდებით(N25), შრომითი ხელშეკრულებებით(N11. N19, N56), თანამდებობრივი ინსტრუქციებით(N151), დებულებებით(ბიბლიოთეკის, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის(N139, N133,N167)
სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/წევრების: (დირექცია(დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი)სამეურვეო საბჭო(3 მშობელი, 3 მასწავლებელი, 1 მოსწავლე), პედაგოგიური საბჭო(22 პედაგოგი), ადმინისტრაცია(ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 1 ექიმი), საგნობრივი კათედრები(6 კათედრა - ჰუმანიტარული, უცხო ენის,

საბუნებისმეტყველო, დაწყებითი სწავლების, მათემატიკა, ესთეტიკა) მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო, სადამრიგებლო რგოლი(12 დამრიგებელი), დისციპლინური კომიტეტი - ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული, ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტებით. თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, დაწვრილებით არის გაწერილი მოქმედი სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობები, სკოლის თანამშრომლების სამუშაო აღწერილობები. წარმოდგენილ დოკუმენტებში არის სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული და სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი(N28). სკოლას ვურჩიეთ მოამზადოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც ასახავდა სკოლის სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების ურთიერთმიმართებებს და მათ ფუნქციებს(უფლება-მოვალეობებს).

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ამას ადასტურებს სკოლის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შეთანხმებით ისეთი დოკუმენტების არსებობა და შემუშავება, როგორიცაა თანამდებობრივი ინსტრუქციები(N151), ხელშეკრულებები, „პერსონალის შერჩევისა და ადაპტაციის მექანიზმი(N138) „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები“ (N150), სხვადასხვა სტრუქტურების დებულებები, რომლითაც ადმინისტრაცია ახორციელებს ეფექტურ მართვას. მათში დაწვრილებით არის გაწერილი სასკოლო სუბიექტების საგამანათლებლო პროცესებში ჩართვის, მათი ფუნქციების, უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა(2023-2029), სასკოლო სასწავლო გეგმა(2022-2023) და სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა(2022-2023) წარმოაჩენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილებას. სტრატეგიული განვითრების შვიდწლიანი გეგმის მიხედვით ძირითადი სტრატეგიული მიმართულებიდან ერთერთი - მასწავლებელთა პროფესიონალიზმის განვითარებისთვის ხელშეწყობაა. რაც საბოლოოდ სკოლის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას ემსახურება. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმი - ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი(N35). სკოლას არ აქვს ცალკე დოკუმენტის სახით ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, თუმცა მუშაობს მის შექმნაზე - ადგილზე წარმოგვიდგინეს დოკუმენტის პროექტი, რომელიც არ აქვთ განხილული, დამტკიცებული და გამოქვეყნებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 1.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები)

N1სტრატეგიული განვითარების გეგმა, N2სასკოლო სასწავლო გეგმა, N11ხელშეკრულება, N19უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება, N25სკოლის წესდება, N35მხარდაჭერის ჯგუფი, N56საქმის მწარმოების ხელშეკრულება, N117ელექტრონული ჟურნალი, N124 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, N133ბიბლიოთეკის დებულება, N138 პერსონალის შერჩევისა და მექანიზმი N139 პედსაბჭოს დებულება, N151თანამდებობრივი ინსტრუქციები, N150 ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება, N153ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, N167დისციპლინური კომიტეტის დებულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად: პერსონალის მართვისას სკოლა ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით(შრომის კანონმდებლობა, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ და სხვ) სკოლის წესდებით, სკოლის შინაგანაწესით, სპეციალურად შემუშავებული დოკუმენტით (ბრძანება N2-10 22.04.2023) „სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები“(N150) (საფუძველი ,,ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი „პერსონალის მართვის პოლიტიკა“) სადაც ამ სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების/პირების სამუშაო აღწერილობები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობები

დაწვრილებითაა განსაზღვრული. კანონმდებლობის საფუძველზე ხდება ადამიანური რესურსების მართვის ყველა კომპონენტის გათვალისწინება: პედაგოგთა კონკურსის გზით მიღება, დასაქმებულის ადაპტაციაში ხელშეწყობა, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, სახელფასო სისტემის დახვეწა და ა.შ. შესაბამისად, სკოლა ადამიანურ რესურსებს მართავს კანონმდებლობისა და საკუთარი პირობების მიხედვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 1.2..1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები“(N150) პერსონალის მართვის ძირითად მიმართულებებზეა საუბარი. ამ და სხვა დოკუმენტებში(მაგ. სკოლის შიდა ბრძანებები,ხელშეკრულებები, შინაგანაწესი, სკოლის წესდება და სხვ) ასახულია პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკაც. სკოლის განაცხადში ხაზგასმულია, რომ სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს გაზიარებულ პასუხისმგებლობას და სკოლის საჭიროებაზე მორგებულ ანგარიშვალდებულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით - დოკუმენტში „სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები“(N150) იკითხება, რომ სკოლა პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, პედაგოგებს იღებს კონკურსის გზით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კონკურსის გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს სასწავლო პროცესის ჩაშლა. საკონკურსო პირობებს, კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის დირექტორი. განცხადებას ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლა აქვეყნებს საჯაროდ www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე და https://www.hr.gov.ge - ზე. საკონკურსო კომისიის ოქმებიდან(სკოლამ ადგილზე წარმოადგინა) ჩანს რომ კომისია კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავს ვაკანტურ პოზიციაზე შესულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. მაგალითად 2019 წლის სექტემბერში სკოლამ კონკურსის წესით შეარჩია ორი თანამშრომელი(სპეციალური მასწავლებელი და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი/მაძიებელი). ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტებით(კომისიის შექმნის ბრძანება, კომისიის სხდომის ოქმები, გამოქვეყნებული ვაკანსიები) დასტურდება დასაქმების პროცესის ობიექტურობა და გამჭვირვალობა. **სკოლამ შესაბამისობის**

გეგმით წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ის ცნობები, რომელიც 2020 წლიდან დასაქმებული პირის (ექიმის) პირად საქმეში უნდა ინახებოდეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული საკუთარ პერსონალთან. სკოლას ამჟამად ჰყავს 17 უფროსი, 4 წამყვანი, 1 სპეციალური მასწავლებელი. eschool-ის ბაზაში მასწავლებელთა მონაცემები სრულადაა ასახული. პერსონალის დანიშვნის აქტები შესაბამის საკადრო ბრძანებების ჟურნალშია გატარებული. თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონის შესაბამისი დოკუმენტაცია: პედაგოგებთან - პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობა, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი; ნასამართლეობის და ნარკოლოგიური შემოწმების ცნობები. ექიმის ვაკანსიაზე დირექტორის ბრძანებით დაინიშნა კანდიდატი რომელსაც ჰქონდა „„დიპლომირებული მედიკოსის“ აკადემიური ხარისხი. დირექტორის განცხადებით კანდიდატზე არჩევანი კომისიამ შეაჩერა იმ მოსაზრებით, რომ კანდიდატი წლის ბოლომდე გაივლიდა სასერტიფიკაციო კურსებს და წარმოადგენდა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია::

ექიმის ვაკანსიაზე კონკურსის წესით შეარჩიოს და დაინიშნოს პირი, რომელსაც ექნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი№41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელი საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“; „საოჯახო მედიცინა“; „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“ 2023 წლის 28 დეკემბრამდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.4 სტანდარტს მეტწილად შეესაბამება

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძვნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება : 1. პირველი სვირის საჯარო სკოლაში შექმნილი თანასწორუფლებიანი, თანამშრომლობით კულტურაზე დაფუძვნებული სამუშაო გარემოს არსებობით - კათედრებსა და კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, გაკვეთილების ერთობლივად დაგეგმვა, განხილვა, საჭიროების გამოვლენა, ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება, კონსტრუქციული უკუკავშირის ერთმანეთისთვის

მიწოდება, გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება. საგნობრივი კათედრები ახდენენ შესაბამისი მიმართულებით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით: სხვადასხვა საკითხების ერთობლივ განხილვას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და თანამედროვე მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებას, მოსწავლეთა თვითმართველობის მიერ მათთვის საინტერესო საკითხების, პროექტების, ღონისძიებების ინიცირებას, მოსწავლეთა თვითმართველობის მუშაობის ხელშეწყობას და იდეების განხორციელებაში დახმარების გაწევას, მრჩეველთა საბჭოსა და დიციპლინური კომიტეტის მუშაობის ხელშეწყობას, პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს ფუნქციონირების ხელშეწყობას. სკოლაში ერთობლივი მუშაობით განხორციელებულია პროექტები, რომლებშიც სხვადასხვა საგნის პედაგოგები თანამშრომლობენ და ა.შ. სკოლაში არსებულ გუნდურ ატმოსფეროზე მიუთითებს. სკოლა აქტიურად ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და ვებინარებში, რამაც გუნდური მუშაობის და თანამშრომლობითი ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარება განაპირობა.

სკოლას აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი(N66) რომლის ფარგლებში ჰყავდა 1 პრაქტიკანტი, რომელსაც მასწავლებლის დახმარებით ჩაუტარდა არაერთი კონსულტაცია, მიეცა რეკომენდაციები. სკოლაში პრაქტიკის გავლით მას საშუალება მიეცა მასწავლებლის მეთვალყურეობით დაეგეგმა და ჩაეტარებინა რამდენიმე გაკვეთილი. ეს აქტივობა, თავის მხრივ, სასარგებლოა სკოლისთვისაც. აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით აწყობს შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან, სკოლის პედაგოგებს იწვევენ ვებინარებზე და კონფერენციებზე.

2021 წლის 10 თებერვლის N2-03 „სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის“ შექმნის ბრძანებით (N35) ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის” მე-3 მუხლის „უ“ პუნქტის შესაბამისად, სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც დებულებით განსაზღვრული პერიოდულობით აკვირდება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებას(დანართი N12, N13, N26, N37, N80).

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 1.2..5. სტანდარტს შეესაბამება.

6.დოკუმენტებით „პერსონალის მართვის პოლიტიკა“(მუხლი 9) და სკოლის შინაგანაწესი(მუხლი 10)თანამშრომელთა წახალისების სისტემაა მოცემული: სკოლა ყოველთვის აღიარებს წარმატებულ გამოცდილებას და ახდენს მის გასაჯაროებას სოციალურ ქსელში სკოლის სკოლის ფეისბუქ გვერდზე, ასევე „ეტალონი-განათლების“ პლატფორმაზე, სადაც ხდება სკოლაში განხორციელებული პროექტების, ღონისძიებების აქტივობების გაზიარება. სკოლა უფლებამოსილია პერსონალის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა. რაც შეეხება ფასიანი საჩუქრის და ფულადი პრემიებს სკოლის ბიუჯეტი (N58)არ იძლევა საშუალებას ამ მიმართულებით თანხები გაიცეს. სკოლის დერეფანში არის სპეციალური დაფა სადაც გამოკრულია სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების წარმატებული გამოცდილების დამადასტურებელი სიგელები, თასები, ფასიანი სჩუქრები.

.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.6. სტანდარტს შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

N1 -სტრატეგიული განვითარების გეგმა, N10 სკოლის შინაგანაწესი, N11 ხელშეკრულება(დარაჯი), N18 პირადი საქმე, N21ბრძანება სსსმ მასწავლებლის დანიშვნი, N42 ექიმის დანიშვნის ბრძანება, N43 უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა,N52 ბიბლიოთეკის დებულება, ნ56ხელშეკრულება(საქმისმწარმოებელი), N57 საქმისწარმოება/დებულება, N100 შინაგანაწესი(ტექსტი), N138 პერსონალის შერჩევისა და ადაპტაციის მექანიზმი, N144 გამოცხადებული კონკურსის საპრეტენზიო კომისიის შექმნა, N150 ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების წესი(ბრძანება), N168 თანამშრომლის(დამლაგებლის) დანიშვნის ბრძანება, N39 დიპლომები და სიგელები, N58 სამოქმედო გეგმა(ბიუჯეტი), N143 სიგელი(სკოლის მიერ პედაგოგის დაჯილდოება)N176,177 ექიმის ვაკანსიის საჯარო სამსახურის ბიუროს გვერდზე გამოქვეყნების სქრინები

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული განვითრების შვიდწლიანი გეგმის მიხედვით ძირითადი სტრატეგიული მიმართულებიდან ერთერთი მასწავლებელთა პროფესიონალიზმის განვითარებისთვის ხელშეწყობაა. საჯარო სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (პუნქტი 9) (დანართი N153) გათვალისწინებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ამოცანა, რაც შემდეგ აქტივობებს მოიცავს : მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მონაწილეობის ხელშეწყობა, ზოგადი განათლების რეფორმის (ახალი სკოლის მოდელის) ფარგლებში მიმდინარე სასწავლო წელს საგნობრივ შეხვედრებში მონაწილეობის ხელშეწყობა, შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზება კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების შექმნა/წარმოებისთაობაზე (საჭიროების შემთხვევაში), ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება, კოლეგების ურთიერთდასწრება და საუკეთესო პრაქტიკის ერთმანეთისათვის გაზიარება. სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის მასწავლებელთა მხარდაჭერის და ხარისხის განვითარების ჯგუფი სისტემატიურად ახორციელებს პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენას და შეფასებას. სკოლაში არის გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, კათედრების შეხვედრებზე გაკვეთილების განხილვა, გამოცდილების გაზიარება და კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა, რომლის საფუძველზე ხდება პროფესიული განვითარების დაგეგმვა. კათედრებზე შემუშავებულია გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა, რომელიც მხარდაჭერილია მასწავლებელთა ხარისხისა და მხარდაჭერის ჯგუფის მიერაღნიშნულ შეხვედრებზე ხდება საჭიროებების გამოვლენა, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და სამომავლო გეგმების განხილვა. პერსონალი ყოველი სემესტრის ბოლოს ავსებს სპეციალური თვითშეფასების ფორმას, რომელიც მოიცავს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშს და ანალიზს.

კათედრების ანგარიშის და ანალიზის საფუძველზე, დირექტორის მოადგილე ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს პროფესიული მხარდაჭერის გეგმას, რომელიც აისახება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

სკოლა აწარმოებს პერსონალის მუშაობის მინიტორინგს(N94 დანართი) თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა ხარვეზები, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს რეაგირებას, მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას. სკოლაში დანერგილია პედაგოგის მიერ მოსმენილი ტრენინგის კოლეგებისათვის გაზიარების პრაქტიკა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად: სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-10) დამტკიცებულია დოკუმენტი „სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები“. დოკუმენტში საუბარია რომ სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. პერსონალის პროფესიული განვითარების და მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც სკოლის პერსონალის საჭიროებისამებრ შემუშავებული აქვს აქტივობები, რომელიც შეტანილია 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში. სკოლა ჩართული იყო პროგრამა „ახალი სკოლის მოდელში“და ადმინისტრაციამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს პედაგოგებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, „ახალი სკოლის მოდელის“ ქოუჩებთან სკოლის მასწავლებლების თანამშრომლობას, სკოლამ წარმოადგინა ურთიერთადსწრების ოქმები და პედაგოგების ურთიერთანამშრომლობით შექმნილი დოკუმენტები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რაც დასტურდება სკოლის მზაობით ხელი შეუწყოს მასწავლებლის პროფესიულ განვითრებას სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, საგანმანათლებლო ღონისძიებებში. ადმინისტრაციამ წარმოადგინა სკოლის პედაგოგების სხვადასხვა ტრენინგებზე(სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და სხვ), კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია(ცნობები, სერტიფიკატები).

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან აქტივობებით: დირექტორი/დირექტორის მოადგილე თანამშრომელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და ხელმოწერით ადასტურებინებს გაცნობას, განუმარტავს ფუნქცია-მოვალეობებს(ხელშეკრულებით განსაზღვრულს), გადასცემს თანამდებობრივ ინსტრუქციას, აცნობს უსაფრთხოების წესებს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების იტეგრაციის მექანიზმად შეიძლება მოვიაზროთ სკოლის სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია. (N138, N150)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

5. სკოლაში დასაქმებულ პირთა განვითარების წასახალისებლად სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. თუ გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას. სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა წაახალისებს პერსონალს სისტემატიურად განვითარებისათვის სამადლობელი სიგელებით და დიპლომებით. სიგელებსა და დიპლომებს სკოლა გადასცემს აქტიურ მასწავლებლებს, რომლებიც ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიური ცოდნისა და სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებაზე, სასკოლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობისათვის სკოლის 6 კათედრა ურთიერთთანამშრომლობით არეგულირებს პედაგოგების პროფესიული განვითარებას, რაც ასახულია სკოლის წლიურ სამოქმედო გეგმაშიც. სკოლა ჩაერთო „ახალი სკოლის მოდელში“ და ამით მნიშვნელოვნად განავითარა პედაგოგების პროფესიული დონე. ინტერვიუირების დროს სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ბოლო წლებში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩაუტარდა სკოლის პედაგოგებს სხვადასხვა სახის ტრენინგები, ვებინარები, კონსულტაციები. სკოლის ადმნისტრაცია დროულად აწვდიდა საჭირო ინფორმაციებს სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის თუ სხვა ორგანიზაციების საინტერესო და აქტუალური შემოთავაზებების შესახებ, უზრუნველყოფდა პედაგოგების დასწრებას და საჭირო რესურსებით თუ სივრცით სარგებლობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

N12 კათედრები N24 კათედრების ანგარიშები, N26 პროექტები, ტრენინგები, რეფლექსიები N35 მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება, N37 სამუშაო შეხვედრების მასალები, N39 დიპლომები, სიგელები, N124 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, N138პერსონალის შერჩევისა და ადაპტაციის მექანიზმი, N150 ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების წესის ბრძანება,N153 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, N155 სტაჟირება

კრიტერიუმები

[ii]შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო პროცესის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიასა და მიზნებს. სკოლა ახდენს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს, როგორიცაა სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მისი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მკაფიოდ გაწერილი და სასკოლო საზოგადობასა და თემთან გაზიარებული დოკუმენტების საფუძველზე. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს, სამეურვეო საბჭოსთან შეათანხმებს და პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სასკოლო სასწავლო გეგმას (წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წლის გეგმა, ხოლო 2023-2024 წლის პროექტზე ვიზიტის დროს სკოლა მუშაობდა). სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაზე(2023-2029) დაფუძნებული სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელდა დაგეგმილი ღონისძიებები: მოსწავლეთა საგანმანათლებლო უნარების განვითარების დინამიკის-დადგენა და რეიტინგის განსაზღვრა, შემაჯამებელი წერების მონიტორინგი, განმავითარებელი შეფასებების გაზიარება მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის, ისგ ჯგუფების შექმნა და ისგ გეგმების შემუშავება,

თემთან კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის გააქტიურდება თითოეული კლასის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობა სოციალური ქსელის მეშვეობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა ზრუნავს საზოგადოების (მშობლების, სამინისტროს) დაკვეთის მაქსიმალურად ხარისხიანად დაკმაყოფილებაზე. სკოლა თანამედროვე მეთოდოლოგიის (სწავლა კეთებით, პრობლემაზე დაფუძნებული და პროექტებით სწავლებით, ინოვაციური კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ცდილობს განუვითაროს მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების ლოგიკური მსჯელობისა და აკადემიური წერის უნარ-ჩვევები, გაუღვივოს მათ მსჯელობის, გუნდთან ერთად მუშაობისა და პრეზენტაციის უნარები. სკოლა ორიენტირებულია უზრუნველყოს სათანადო ხარისხის სასწავლო კურიკულუმის მიწოდება მოსწავლეებისთვის. შედეგად, ცდილობს

მოიპოვის და შეინარჩუნოს დაინტერესებული მხარეების (მშობლებისა და მოსწავლეების) ნდობა, კეთილგანწყობა, მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები და მოთხოვნები სკოლა ხარისხის მონიტორინგს აწარმოებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შემუშავებული დებულების მიხედვით, რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის განვითარება, მხარდაჭერის ჯგუფების ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა. დებულება შეიცავს ჯგუფის საქმიანობის მიზანს და ამოცანებს, სამოქმედო პრინციპებს, წევრთა შემადგენლობას, მათ მოვალეობებს, შეხვედრების სიხშირესა და ფორმატს. სკოლის აქტივობები ზიარდება სკოლის Facebook გვერდზე „პირველი სვირის საჯარო სკოლა“ ინფორმაციის გაცვლისათვის, შეტყობინების გაგზავნისათვის და სწრაფი რეაგირებისათვის შექმნილია დახურული საკლასო ჯგუფები, რომლებში გაერთიანებულია კონკრეტული კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. ამ ჯგუფების არსებობამ ძალიან გაადვილა სკოლასა და მშობლებს შორის კომუნიკაცია.

სკოლა აქტიურად იყენებს Teams-ის ჯგუფებს მოსწავლეებისათვის დავალებების გასაგზავნად, შესაფასებლად, უკუკავშირების გასაგზავნად, მშობელთა კრებების ჩასატარებლად ან ინდივიდუალური შეხვედრებისათვის. სკოლაში არის შენობაში შემოსული პირებისათვის საინფორმაციო დაფები: ადმინისტრაციისათვის და მასწავლებლებისათვის, ცალკე მოსწავლეებისათვის, სადაც ქვეყნდება შესაბამისი სიახლეები, კონკურსები, განცხადებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემა. სამეურვეო საბჭო განიხილავს გარედან შემოსულ საჩივრებს ან დისციპლინარული კომიტეტის მიღებული გადაწყვეტილებებზე საჩივრებს. დისციპლინური კომიტეტი განიხილავს მშობლებისა და მოსწავლეების, მასწავლებლების განცხადებებს. მშობლების საშუალება აქვთ სემესტრული ნიშნის უკმაყოფილების შემთხვევაში მიმართოს დირექტორს და ინიშნება სემესტრული ნიშნის ამაღლების გამოცდა. თანამშრომლებს სკოლის დირექტორის მიერ გამოქვეყნებული ბრძანებების გასაჩივრება ერთი თვის ვადაში საქალაქო სასამართლოში შეუძლიათ, თუ საქმე ეხება შრომითი ურთიერთობას. დანარჩენი საკითხები ჯერ განიხილება დირექტორთან, შემდეგ დისციპლინარულზე და უკიდურეს შემთხვევაში სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. საჩივრების განხილვისას სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2005 წლის 15 სექტემბერს N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო

სკოლის წესდებთ“(მუხლი 15 მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა საჩივრის განხილვის წესი) და დოკუმენტით დისციპლინური კომიტეტის დებულება(N167) კანონიერი უფლებების დაცვა(N141)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. ისინი გაწერილია შინაგანაწესში, სკოლის წესდებაში, თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში დოკუმენტით დისციპლინური კომიტეტის დებულება(N167) კანონიერი უფლებების დაცვა(N141) სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სემესტრში არანაკლებ ორჯერ იკრიბება, განიხილავს სკოლის საჭიროებებს და სკოლის დირექტორს მიმართავს რეკომენდაციებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.3.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

N3ვებგვერდის და ფეისბუქგვერდის ლინკები, N6, N7 მშობელთა კრების ოქმი, N25 სკოლის წესდება, N65 სამეურვეო საბჭოს ოქმი-ანგარიში, ნ100 შინაგანაწესი(ტექსტი), N124 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, N130 მშობლებთან ურთიერთობის დებულება, N139 პედსაბჭოს დებულება, N141 უფლებების დაცვა, Nთანამდებობრივი ინსტრუქციები, N167 დისციპლინური კომიტეტის დებულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტებს მუშაობის პროცესში ხშირად სჭირდება ცვლილებებს შეტანა, რადგან სკოლა ცოცხალი ორგანიზმია და ითვალისწინებს სკოლის, მოსწავლეების, თანამშრომლების, გარემოს არაერთგვაროვან მოთხოვნებს, შეხედულებებს, პრაქტიკას. ყველა დებულებას/დოკუმენტს აქვს

მუხლი ცვლილებების შემუშავებისა და შეტანის პროცედურების შესახებ. დოკუმენტის შემქმნელი ჯგუფი ყალიბდება დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე: სკოლის დირექტორი, მოადგილე, ბიბლიოთეკარი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი მოსწავლე, პედაგოგი და სხვ. განიხილავს ცვლილებებს საჭიროებისამებრ, გააქვს ეს ცვლილები სამეურვეო, პედაგოგიურ, მრჩეველთა საბჭოებზე, მოსწავლეთა თვითმმართველობაში, მშობელთა კრებებზე გასაცნობად, განსახილველად ან დასამტკიცებლად, რაც დასტურდება ოქმებით. შესაბამისი დოკუმენტი პროექტის ან საბოლოო სახით გამოიფინება თვალსაჩინო ადგილზე -განცხადებების დაფაზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.2.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლაში არის მართვის კოლეგიალური ორგანოები, რომლის შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოების წევრები: სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, პედსაბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლაში ძალიან ხშირად ტარდება მშობლების მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებები, შეხვედრები, კრებები სასწავლო პროცესის შეფასებისა და სკოლის გარემოს მოწყობის შესახებ. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შიდასასკოლო დოკუმენტით „სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება“ ხაზგასმულია „სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

N3 სკოლის ვებგვერდის და ფეისბუქგვერდის სქრინი, N4 პედსაბჭოს ოქმი -შედეგები, N65 სამეურვეო საბჭოს ოქმი - ფინანსური ანგარიში, N6 მშობელთა კრების ოქმი, N9 მრჩეველთა საბჭოს ბრძანება, , N34მშობელთა კრების ოქმი სსგ N35 მხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება, N36 მშობლებთან ურთიერთობის დებულება, N64 მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები, N76 მშობელთა კრების ოქმი(სსგ, შინაგანაწესი, N131 ისგ 2022-2023 სასწავლო წლის ანგარიში, N139 პედსაბჭოს დებულება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას: სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას სკოლის ძლიერ მხარედ უსაფრთხო გარემო აქვს მითითებული, თუმცა გეგმის ერთერთ მთავარ სტრატეგიად სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა რჩება. სკოლას დირექტორის ბრძანება N 1/კ-03, 26.02.2019 საზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირს. სკოლას აქვს დირექტორის 2016 წლის 8 აპრილის N2-10 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ ბრძანება სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლაში საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცები შესახებ“ (N177) თუმცა ის არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან. საევაკუაციო გეგმები განთავსებულია ყველა სართულზე. სკოლა უზრუნველყოფს

სასკოლო საზოგადოების ინფორმაციულ ხელმისაწვდომობას, ამ მიზნითაც სკოლის საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი; სკოლა აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო სისტემით.კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.სკოლას აქვს შესაბამისად არჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექიმი. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის და მოთავსებულია სამედიცინო კაბინეტში. სკოლის ექიმი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სრულყოფილი განვითარებისათვის შესაბამის ღონისძიებებს. ის აწარმოებს შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს, ატარებს პრევენციულ საუბრებს. სკოლაში 2018 წლის 11ივლისი შემოვიდა წერილი და სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N23/10/5-81, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციამ დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების განხორციელებაში დასახმარებლად წერილობით მიმართა სსიპ საგანამანთლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს(N121, N129). **შესაბამისობის გეგმით ირკვევა რომსკოლას მიღებული აქვს :**

1. **სასამართლო ექსპერტიზის სახელმწიფო ბიუროს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის დასკვნა**
2. **შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული „სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“**

სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის N006349 დასკვნის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს:

1.შენობის წყალშემკრები და წყალრინების სისტემის მოწესრიგება

2. ეზოში მდგარი უფუნქციო ნაგებობების(ყოფილი საპირფარეშო და სამეურნეო) დემონტაჟი

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, (N9) რომელიც ზრუნავს სკოლაში უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და *კანონმდებლობის შესაბამისად აწყობს სხდომებს (დასტურდება სხდომის ოქმებით). გამოყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. შემუშავებულია სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად სპეციალური ინსტრუქციები.* სკოლაში არსებობს ინსტრუმენტი/მექანიზმი მეტალოდეტექტორი, რომელიც

საშუალებას იძლევა სკოლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნეს ნივთები, რომელთა ქონა/გამოყენება სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების ჩატარების დროს სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით. სკოლას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლაში კეთილგანწყობილი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა, რაც იკითხება დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამიდან და დამრიგებლების პორტფოლიოებიდან. სადამრიგებლო საათის ფარგლებში სკოლის ყველა საფეხურის კლასებში დამრიგებლები უთმობენ დროს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოების თემატიკას და მოზარდთა სოციალურ-ემოციურ სწავლებას. სკოლას შექმნილი აქვს მრავალი პროექტი, რომელიც სწორედ უსაფრთხო გარემოს ეხება(ბულინგის, კიბერბულინგის, ძალადობის და სხვ). სკოლაში პედაგოგთა მორიგეობის გრაფიკი არის შედგენილი..

სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სემესტრში არანაკლებ ორჯერ იკრიბება, განიხილავს სკოლის საჭიროებებს და სკოლის დირექტორს მიმართავს რეკომენდაციებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას: სკოლას ჰყავს ინფრასტრუქტურის დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის ექიმი, როგორც მითითებულია მის სამუშაო აღწერილობაში, ვალდებულია განახორციელოს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე მონიტორინგი, სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ, კონტროლი გაუწიოს სადეზინფექციო, სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოების ჯეროვნად შესრულებას. სკოლას ემსახურება 2 დამლაგებელი. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები ცალ-ცალკე ადაპტირებული, გოგონების, ვაჟების, პედაგოგების და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა. გათვალისწინებულია სანიტარული კვანძები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ყუთი (უკონტაქტო). სანიტარული კვანძები აღჭურვილია ბუნებრივი და

ხელოვნური ვენტილაციით. სკოლაში სასმელად გამოყენებული სისტემის გამდინარე წყლის ხარისხი შეესაბამება სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლას გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

5. სკოლას აქვს პერსონალური მონაცემების და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი - დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი(N146)- სკოლის დირექტორის 05.08.2023წ ბრძანება N 1/კ-12 „სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის და პირის პერსონალური მონაცემების წესების დამტკიცების შესახებ“. სკოლა მოსწავლეთა მშობლებთან „თანხმობის ფურცელზე“ ხელმოწერით იღებს მოსწავლის პირადი მონაცემების გასაჯაროების უფლებას. სკოლას მიეცა რჩევა მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებაში შეიტანოს ცვლილების სახით აღნიშნული საკითხი.

დოკუმენტით განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ: სკოლის დირექტორს და საქმისმწარმოებლს. სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს, დარაჯს და ექიმს. დირექტორს Teams პლატფორმაზე რეგისტრირებული მომხმარებლით წვდომა აქვს კალენდარზე/საგაკვეთილო ცხრილზე. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი კლასის (ჯგუფის, გუნდის) ფორმირებისას შესაბამის გრაფაში (Teachers) დაამატებს სკოლის დირექტორს, მას შესაძლებლობა ექნება დაესწროს გაკვეთილზე. დირექტორის მოადგილეს Eschool-ის ბაზაში რეგისტრირებული მომხმარებლით წვდომა აქვს სკოლაში ჩარიცხულ ყველა მოსწავლის მონაცემებზე, საქმისმწარმოებელს წვდომა აქვს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე, ასევე Eschool-ის ინდივიდუალური მომხმარებლით ბაზაში მისთვის ხელმისაწვდომია სრულად ის ინფორმაცია, რომელიც დაშვებულია დირექტორის მომხმარებლისთვის.დამრიგებლებს წვდომა აქვთ საკუთარი კლასის მოსწავლეების პირად საქმეებზე, მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალებზე (მატერიალურსა და ელექტრონულზე), ასევე, მათი კლასის მოსწავლეთა მშობლების შესახებ ინფორმაციაზე, რომელიც განთავსებულია პირად საქმეში,მასწავლებელს Teams პლატფორმაზე რეგისტრირებული მომხმარებლით წვდომა აქვს მხოლოდ იმ კლასის და საგნის მონაცემების შესახებ, რომელსაც ასწავლის. ბუღალტერს

წვდომა აქვს თანამშრომელთა შესახებ შემდეგ ინფორმაციაზე: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ასაკი, სქესი, მისამართი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, განათლების შესახებ ინფორმაცია, დიპლომის ასლი ან განათლების დამადასტურებელი მოწმობა, სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, ტელეფონის ნომერი, მისამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი, დაკავებული პოზიცია (თანამდებობა), ანაზღაურების და შრომითი ურთიერთობის შეჩერების შესახებ ინფორმაცია.ექიმს წვდომა აქვს თანამშრომელთა და მოსწავლეთა შესახებ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (აცრებზე ინფორმაცია, სავალდებულო კვლევები სხვადასხვა ინფექციასთან დაკავშირებით და ა.შ) ინფორმაციაზე. დარაჯს წვდომა აქვს შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას შემდეგ მონაცემებზე: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შესვლისა და გასვლის თარიღები, დრო და ვიზიტის მიზანი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

6. *სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი "საქმის წარმოების წესი", სადაც გაწერილია ციფრული ტექნოლოგიების მართვის პრინციპები და პროცედურები, ინფორმაციისა და დოკუმენტების არქივის შექმნა.*

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლა მუდმივად ახორციელებს დასაქმებულ პირთა პედაგოგიურ საბჭოზე მოსწავლეებისა და მშობლების მშობელთა კრებებზე, თუ სადამრიგებლო საათების ფარგლებში ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.6. სტანდარტს შეესაბამება.

7.დაწესებულებამ პერიოდულად უნდა შეაფასოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობა მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, მათი გაუმჯობესების მიზნით. სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი" აღნიშნულია, რომ სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი სისტემატურად უნდა განხორციელდეს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.7. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

N9 მრჩეველთა საბჭო, N11 ხელშეკრულება(დარაჯი), N42 ექიმის ბრძანება, N43უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება, N44 მორიგეობის განრიგი, N45 საევაკუაციო გეგმა, N46 ვიდეოთვალი, სახანძრო სტენდი, N50 ბულინგი-სასკოლო პროექტი N56საქმის მწარმოებლის ხელშეკრულება, N57 დებულება(საქმისწარმოება), N121 სახანძრო უსაფრთხოების წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოს, N129 სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, N135 საქმისწარმოების მეთოდოლოგია, Nსაქმისწარმოების წესი, Nუფლებები, Nპერსონალური ინფორმაციის გაცემაზე მშობლების თანხმობა, N146პესონალური ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,N151 თანამდებობრივი ინსტრუქციები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა განთავსებულია მისამართზე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირველი სვირი. სკოლამ წარმოადგინა 2019 წელს დამზადებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან(N27), შენობის საკადასტრო კოდია 32.11.45.003. შენობის ფართია - 1420კვ.მ სკოლა მუშაობს ერთ ცვლაში. სკოლაში სწავლობს 104 მოსწავლე. შენობა სამსართულიანია(N54), შენობა უზრუნველყოფილია დენითა და წყალმომარაგებით. სკოლას აქვს დაცული ეზო, რომელიც შემოფარგლულია რკინის ღობით. ეზოს ფართობია 3000კვ.მ. ეზოში არის სხვა შენობა–ნაგებობებიც, კერძოდ, საპიფარეშო (N2) და ძველი საქვაბე(N3)

სკოლის შენობა სრულად რეაბილიტირებულია, უზრუნველყოფილია ახალი ავეჯით - გააჩნია საკმარისი რაოდენობით ასაკის შესაბამისი სასკოლო მერხები და სკამები, დაფები, კარადები, მასწავლებლის მაგიდები და სხვ. მოსწავლეებს და მასწავლებლებს აქვთ საშუალება ისარგებლონ აუცილებელი ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორიით(კომპიუტერები, პრინტერები, პროექტორი). პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, თვალსაჩინოებებით, სსსმ მოსწავლეებისათვის საჭირო რესურსებით. სკოლაში არის სათანადოდ ეკიპირებული ექიმის კაბინეტი, რომელშიც არის ყველა საჭირო ინვენტარი, აპარატურა და მედიკამენტები. სპორტული აქტივობებისთვის სკოლას გააჩნია სპორტული დარბაზი და სკოლის ეზოში ბუნებრივსაფარიანი მინი სპორტული მოედანი. სკოლის ბიბლიოთეკა ნათელ, ფართო ოთახშია განთავსებული, სადაც არის საკმარისი რაოდენობით მაგიდები მკითხველებისთვის და სკამები, აღრიცხული, სისტემატიზირებული წიგნადი ფონდი და სხვა ინვენტარი. სხვადასხვა აქტივობების, შეხვედრების, მოცულობითი სასკოლო ღონისძიებების ჩასატრებლად სკოლას აქვს დიდი სააქტო დარბაზი. სასკოლო შენობის ორივე სართულზე არის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით აღჭურვილი სველი წერტილები(ქალებისთვის, ვაჟებისთვის და შშმ პირებისათვის ცალკე კაბინებით), დახურული და ღია სარეკრეაციო სივრცეები, ვიდეოთვალთვალის სისტემა. სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის: სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია პერსონალური კომპიუტერებით(12), პროექტორებითა(4) და პრინტერებით(3), სადაც მოსწავლეებს, პედაგოგებს შეუძლიათ მუშაობა, მასწავლებლებისათვის განკუთვნილ სამასწავლებლოში განლაგებულია 2 კომპიუტერი, ბიბლიოთეკაში - 1;

სკოლას გააჩნია მხატვრული და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკის საცავში. არსებობს მკითხველთა დარბაზი, სადაც განთავსებულია საკატალოგო და საენციკლოპედიო მასალები, მეთოდური ლიტერატურა. სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ (N52)რომლის თანახმადაც ხდება საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს: სასკოლო შენობა სრულადაა რეაბილიტირებული. შესაბამისად მისი ინფრასტრუქტურა სახელმწიფო სტანდარტებს შეესაბამება. პირველ სართულზე არის ადაპტირებული საპირფარეშო, შენობას აქვს შესასვლელი პანდუსი. პირველ სართულზე არის ფართო გადაადგილების სივრცე. შშმ პირებს თავისუფლად შეეძლებათ სველი წერტილით სარგებლობა, ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია, სამეედიცინო კაბინეტთან მისვლა. სკოლას მიეცა რჩევა, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მეორე სართულზე არსებული კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა პირველ სართულზე განათავსოს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლა ზრუნავს, რომ მოსწავლეებს ჰქონდეს აღჭურვილი სოციო-კულტურული სივრცეები. სკოლაში არის სააქტო დარბაზი, რომელშიც ტარდება პედაგოგიური საბჭოს სხდომები, მშობელთა კრებები, ტრენინგები. სხვადასხვა თემატური ღონისძიებები, სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული დარბაზი, რომელშიც ტარდება სპორტის გაკვეთილები, სპორტული ოლიმპიადები. სკოლაში ბიბლიოთეკასთან ფუნქციონირებს სამკითხველო, სადაც არის წიგნების კატალოგი, მეთოდური ლიტერატურა, ატლასები და კლასიკური ლიტერატურა. ბიბლიოთეკის სივრცე ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, განკუთვნილია როგორც საერთო-სასკოლო ღონისძიებებისათვის, ასევე კლუბური მუშაობისათვის. სკოლის შენობის ყველა სართულზე არის სარეკრეაციო ზონები, რომელიც მორთულია დეკორატიული ოთახის ყვავილებით. ამ სივრცეებს სკოლა იყენებს გამოფენების,კონკურსების და სხვა სასკოლო

ღონისძიებების მოსაწყობად. თითოეულ ზონაში მოთავსებული სხვადასხვა საინფორმაციო დაფები. სკოლის ეზოში ასევე არის მრავალწლოვანი ნარგავებით გამწვანებული სივრცე, სპორტული მოედანი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

5. სასკოლო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას. სკოლის მიერ დადგენილი წესი უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსების სისტემატიზაციას და განახლებას სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით; უზრუნველყოფს სივრცეს დამოუკიდებელი და ჯგუფური მეცადინეობებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები რეგულირდება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის, სკოლის წესდებისა და ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურით და შექმნილია ყველა პირობა მოსწავლეთათვის. ბიბლიოთეკის სივრცეში თანაბრადაა გამოყოფილი ბუნებრივად განათებული სივრცე მოსწავლეთათვის და შესაბამისი სტანდარტების დაცვით განთავსებული საბიბლიოთეკო ფონდი. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა არის ხელმისაწვდომი ბეჭდური სახით სკოლის ბიბლიოთეკაში, ასევე დასაშვებია თავისუფალი წვდომის რეჟიმში არსებული, ინტერნეტ სივრცეში განთავსებული რესურსების გამოყენება, შესაბამისი ბმულების (ინტერნეტ- მისამართების მითითებით). სკოლა გრიფირებული სახელმძღვანელოს შერჩევას ახორციელებს შესაბამისი საგნობრივი კათედრის მიერ. ბიბლიოთეკა მომარაგებულია სახელმძღვანელოების შესაბამისი რაოდენობით. სკოლას რჩევა მიეცა ასლგადამღები აპარატი ბიბლიოთეკაში განათავსოს, რადგან სწორედ აქ არის ყველაზე მეტად მოხერხებული სხვადასხვა რესურსების ამობეჭდვა და დამზადება. საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და ცარცით, სკოლას აქვს სპორტული აქტივობებისთვის - სპორტული დარბაზი და ბუნებრივსაფარიანი ღია სპორტული მოედანი, კომპიუტერული კლასი პრინტერებითდა პროექტორებით. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის, წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის სისტემა მუშაობს ბუნებრივ აირზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

N27 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, N52 ბიბლიოთეკის დებულება, N54 საკადასტრო აზომვითი ნახაზი, N148 წერილი შენობის მდგრადობის დადგენი თხოვნა(სამხარაული)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას, როგორც ადმინისტრაციული საქმიანობის, ასევე სასწავლო პროცესში აქტიურად გამოყენებისათვის. დაწესებულება უზრუნველყოფილია კომპიუტერული, სადემონსტრაციო და ასლგადამღები აპარატურით. სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში განთავსებული 1 პერსონალური კომპიუტერი, კანცელარიაში - 4, სამასწავლებლოში - 2 კომპიუტერი კომპიუტერულ ლაბორატორიაში - 12. სკოლაში არის 3 ერთეული პროექტორი და 2 პრინტერი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. აქ არის უკაბელო ინტერნეტი (Wi- Fi). მასწავლებლებს, მოსწავლეებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ინტერნეტით სარგებლობა შეუძლია სკოლის შენობის ნებისმიერ სივრცეში, ყველა საკლასო ოთახში. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და

სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას, რომლებიც პასუხობს როგორც სწავლა- სწავლების, ასევე სკოლაში არსებულ ადმინისტრაციულ პროცესების მართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 6.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის და სკოლის ადმინისტრაციის წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი (N10) 2023 წლის 7 აგვისტოს N 1/კ-14 (N971160) სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ -ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის წესი“ რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ ამ რესურსით სარგებლობის პირობები. დოკუმენტში დაწვრილებითაა გაწერილი რომ სკოლის IT კაბინეტით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და სკოლის სხვა თანამშრომლებს და თუ რა წესებია დასაცავი კომპიუტერული ტექნიკის სარგებლობისას. სკოლას ჰყავს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე პასუხისმგებელი პირი ისტ-ის მასწავლებელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 6.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

N53 სკოლის ციფრული განვითარება, N176 უსაფრთხოების ინსტრუქცია, N177 საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რაც დასტურდება შემდეგი ფაქტებით: სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელსაც აქვს მკაფიოდ გაწერილი სამუშაო აღწერილობა, საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, მომქმედი

კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებულია დოკუმენტი (07/08/2023 დირექტორის ბრძანება(N127) N 1/კ - 13) „სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი“(N136) რომლის შესაბამისად სკოლაში დოკუმენტბრუნვა მიმდინარეობს პრიორიტეტულად ელექტრონულად, ანუ თანამშრომლები იყენებენ შიდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პლატფორმას eflows ანგარიშების, ოქმების, აქტების, განხცხადებების ადმინისტრაციაში წარსადგენად. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებზე, დოკუმენტების ფორმებზე და ტიპებზე, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირებაზე, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესის დაცვაზე, დოკუმენტების შედგენაზე, გაფორმებაზე, დავალებების შესრულების კონტროლზე და გაგზავნაზე, ინფორმაციის გაცემის წესზე, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვაზე. საქმისმწარმოებელი ვალდებულია მიიღოს და გააგზავნოს კორესპოდენციები სკოლის ელექტრონული ფოსტით pirvelisviri@mes.gov.ge. უზრუნველყოს მუშაობა Eschool.emis.ge-ში. სკოლას აქვს შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით საკადრო და საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები).

სკოლას ასევე აქვს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, სქესობრივი ძალადობისა და ნარკოლოგიური შემოწმების ცნობები, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში). დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განაცხადი. მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.1. სტანდარტს შეესაბამება,

2. სკოლის ადმინისტრაცია მართვის დროს იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, კერძოდ საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონულად - eflow სისტემით, სკოლა სარგებლობს ელექტრონული ფოსტით pirvelisviri@mes.gov.ge, სადაც ხდება ინფორმაციის მიღება და შემოსულ წერილებზე პასუხის დაბრუნება. Eschool ელექტრონულ ბაზაში შეტანილია სკოლის ყველა მასწავლებლისა და მოსწავლის პერსონალური მონაცემები. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით დოკუმენტბრუნვა მიმდინარეობს პრიორიტეტულად

ელექტრონულად, ანუ თანამშრომლები იყენებენ შიდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პლატფორმას - eflows ანგარიშების, ოქმების, აქტების, განცხადებების ადმინისტრაციაში წარსადგენად. სკოლას იყენებს ელექტრონული ჟურნალს მოსწავლეთა აღრიცხვა-შეფასებისათვის.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.2. სტანდარტს შეესაბამება,

3.ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eSchool-ის პლატფორმაზე სკოლის გვერდზე სრული წვდომა აქვს სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს და დირექტორის მოადგილეს. დირექტორმა მოვალეობების დელეგირებისათვის ადმინისტრაციის წევრებს გადაუნაწილა ფუნქციები. დირექტორი პასუხისმგებელია კლასების შექმნაზე, სკოლის ბარათზე, პირველკლასელთა ლიმიტზე, საგნების განაწილებაზე, პროფესიული განვითარების ჩანართზე. საქმის მწარმოებელს ევალება აკონტროლოს დარეგისტრირებული პირველკლასელთა სია, დოკუმენტების აღრიცხვა, მოსწავლეების ჩანართზე: კლასის ცვლილება, მობილობა, დონის დაძლევა, დისტანციური სწავლება. საქმისმწარმოებელი და ბიბლიოთეკარი ერთობლივად ავსებენ სახელმძღვანელოების ჩანართს. ბუღალტერს წვდომა აქვს მხოლოდ საშტატო განრიგის მონაცემებთან. მობილობის, კლასის დაძლევის საკითხი კლასის დამრიგებლებს აქვთ დელეგირებული.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.3. სტანდარტს შეესაბამება,

3.„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორს ეკისრება ვალდებულება ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარსდგეს და გააცნოს ანგარიში ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის შესახებ. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკუთარი ანგარიშით წარსდგება სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე და აბარებს როგორც ფინანსურ, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სკოლა, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს. სკოლაში ადგილზე იქნა წარმოდგენილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენი ფინანსური დოკუმენტები (კვარტალური და წლიური ბალანსები და სხვ.). სკოლამ წარმოადგინა ჩამოთვლილი ანგარიშები მატერიალური სახით.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.4. სტანდარტს შეესაბამება,

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

N127 საქმისწარმოების წესი-ბრძანება, N135 საქმისწარმოების მეთოდოლოგია, N136 საქმისწარმოებაN149 სატიტულო ფურცლის შესახებ ბრძანება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და მისი ინფორმირებულობის მიზნით სკოლამ ხელშეკრულება დადო შპს „ეტალონი-განათლებასთან“. საიტზე www.Etaloni.ge შემსყიდველის სიახლეების - მათ შორის სწავლების (დასწრებითი, დისტანციური ან/და

ჰიბრიდული მოდელით), ღონისძიებების, შეხვედრების, კონფერენციების, ინტერვიუების, ონლაინ და დისტანციური აქტივობების, მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების მიღწევებისა თუ წარმატებების და სხვა - გაშუქება, სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან თემებზე ინტერვიუების და კომენტარების მომზადება და საიტზე www.Etaloni.ge განთავსება -ეს ვალდებულება აკისრია „ეტალონს“. სკოლას აქვს შექმნილი გვერდი სოციალურ ქსელ facebook-ზე „პირველი სვირის საჯარო სკოლა“ (https://www.facebook.com/profile.php?id=100063588877746&sk=about) სადაც იტვირთება მიმდინარე სიახლეები, კლუბებისა და წრეების მუშაობის ამსახველი მასალა; სასკოლო და სასწავლო პროექტები. სადაც აქტიურად იტვირთება სკოლაში მიმდინარე აქტივობები. სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა ამ სოციალური ქსელის საშუალებით სისტემატიურად ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას. ინფორმაციის გაცვლისათვის, შეტყობინების გაგზავნისათვის და სწრაფი რეაგირებისათვის სკოლა იყენებს TEAMS-ის პლატფორმას, სადაც შექმნილია საკლასო ჯგუფები, რომლებშიც გაერთიანებულია იმ კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. სკოლის შენობაში განთავსებულია საინფორმაციო დაფები სადაც ქვეყნდება შესაბამისი სიახლეები, კონკურსები, განცხადებები. სკოლა იყენებს ინფორმაციის გასავრცელებლად ელექტრონულ ფოსტას (pirvelisviri@mes.gov.ge). მშობლებს საშუალება აქვთ გაეცნონ შვილის ყოველდღიური შეფასების დინამიკას ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. სკოლაში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა მუშაობა სკოლის ახლადშექმნილ ვებგვერდზე ინფორმაციების/მასალების განსათავსებლად. **შესაბამისობის გეგმით გაირკვა,ა რომ სკოლას შექმნილი აქვს ვებ გვერდი.**

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გასაჯაროებას. ინფორმაციის ყველა წყარო მუდმივი მონიტორინგის და დაკვირვების ობიექტია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, რაც გამორიცხავს სკოლის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ არასანდო და არასწორი ინფორმაციის გავრცელებას;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლის მიერ გამოყენებული ყველა საკომუნიკაციო არხიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. ინფორმაციის ანალიზის შედეგები მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება სკოლის საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას. უკუკავშირების, მოსაზრებების, რეკომენდაციების

მიღებას და მთზე რეაგირებას სკოლა ახდენს მშობელთა კრებებზე, მოსწავლეებთა, პედაგოგებთან ჩატარებულ შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოებთან(მრჩეველთა საბჭო, პედსაბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვ).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.3 სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლას ვიზიტის პერიოდისთვის დასრულებული არ ჰქონდა ჰქონდა ვებ გვერდის შექმნა https://skolebi-admin.emis.ge/schools , რომელზეც ახდენდა სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტების, ინფორმაციის, ფოტო და ვიდეომასალის ატვირთვას. **შესაბამისობის გეგმით გაირკვა,ა რომ სკოლას შექმნილი აქვს ვებ გვერდი.**

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.4 სტანდარტს შეესაბამება..

5. სკოლამ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერით დაიწყო ვებგვერდის შექმნა https://skolebi-admin.emis.ge/schools - სკოლის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის(მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა) განთავსება მოხდება თანმიმდევრულად. **შესაბამისობის გეგმით გაირკვა,ა რომ სკოლას შექმნილი აქვს ვებ გვერდი.**

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.5 სტანდარტს შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

N3 ფეისბუქის და ვებგვერდის ლინკები, N8 ფეისბუქის სქრინი , N14 „ეტალონთან ხელშეკრულება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით: სკოლის ფინანსური ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე(2022 წლის 10 დეკემბერი), 2023 წლის ბიუჯეტი, წლიური და კვარტალური ბალანსი, ვაუჩერული დაფინანსება ბიუჯეტის შევსების ერთადერთი წყაროა, ამიტომ მისი რაციონალურად გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. სკოლის ფაქტობრივ ბიუჯეტში შემოსავალი აბალანსებს ხარჯებს, მისი მომზადებისას სკოლას განსაზღვრული აქვს მომდევნო წლის პრიორიტეტები, (სტარტეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე და სასკოლო სასწავლო და სამოქმედო გეგმასთან თავსებადი) სავარაუდო ხარჯები, საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიურია. იგულისხმება, რომ შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლას არ აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. მაგალითად, 2022 წლის ბიუჯეტი ჯამურად განისაზღვრა 322 992 ლარით. ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ხმარდება შრომის (ხელფასები, თანამდებობრივი სარგო, სქემით განსაზღვრული სტატუსის დანამატები) ანაზღაურებას. ასევე, სკოლის ბიუჯეტიდან იფარება კომუნალური გადასახადები. საბიუჯეტო წლის განმავლობაში, ასევე, ხდება სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოფისე ნივთების შესყიდვა(საოფისე ინვენტარი, ქაღალდი, საკანცელარიო ნივთები და სხვა ანალოგიური მასალები).

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.7.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სკოლამ წარმოადგინა ფინანსური დოკუმენტაცია: სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი(58) დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმა(N153), წლიური და კვარტალური ბალანსები(N88), რომლითაც ირკვევა რომ მას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) ეფექტიანი სისტემა. კანონმდებლობის შესაბამისად სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე, რომელსაც აკეთებს სკოლის ბუღალტერი და წერილობით eflow-ის საშუალებით აწვდის დირექტორს. საჭიროების შემთხვევაში ინდ. აქტით შედის ცვლილებები. ყოველი კალენდარული წლის ათ დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ(N5). ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნილ

ვადებში წარუდგენს ინფორმაციას ფინანსური რესურსების განკარგვისა და მოძრაობის შესახებ. სკოლას აქვს SWOT ანალიზი ჩატარებული(N132), წარმოდგენილ მასალებში არის დირექტორის ანგარიში გეგმის შესრულებაზე(N5) - სამეურვეო საბჭოს განრიგიდან დასტურდება, რომ სკოლის დირექტორი წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს იმ სამეურვეო საბჭოს ოქმები, რომლებზეც მოხდა საჯარო სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებაN58), სასკოლო სასწავლო გეგმის რესურსების ნაწილის შეთანხმება და დირექტორის მიერ ბიუჯეტის შესრულებაზე ანგარიშგება.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.7.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

N5 სამეურვეო საბჭოს ოქმი(ფინანსური ანგარიში) N29 ბაზრის კვლევა, ინვოისები, N30 სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, N58 სამოქმედო გეგმა, ბიუჯეტი, N88 ბალანსი, N132 სტრატეგიული განვიტარების გეგმა, N153 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023წ

ბალანსი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა, რასაც ადასტურებს შემდეგი დოკუმენტების არსებობა: სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2022 წლის 6 სექტემბერს დამტკიცებული შინაგანაწესი(დანართი N10 და N100) რომელიც ეფუძვნება სამინისტროს მოწოდებულ შაბლონს და მორგებულია სკოლის ინდივიდუალობაზე, სკოლის დირექტორის მიერ 20221 წლის 4 მარტს, N2-15 ბრძანებით დამტკიცებული „მშობლებთან ურთიერთობის დებულება“, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა,რომელიც ირჩევა დემოკრატიული წესით კანონომდებლობის შესაბამისად, მოსწავლეთა უფლებები მოსაზრებები და ინტერესები ყოველთვის გათვალისწინებული და მხარდაჭერილია. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“(დანართი N141)„ სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის წესდება“, „სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის 2023-2029 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა“ და სხვ. ამ დოკუმენტებში არის მუხლები, რომლებიც არეგულირებენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და უზრუნველყოფს მათ გარანტიებს, ასევე განთავსებულია ინფორმაცია მოსწავლისა და მასწავლებლის/თანამშრომლის არასათანადო ქცევების სახეების, დისციპლინური წარმოების წესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმების შესახებ და ა.შ. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა. სტრუქტურა ხელმძღვანელობს თვითმართველობის არჩევის წესით(სკოლის წესდება)სკოლაში თვითმმართველობის არჩევნები იმართება ყოველი წლის ოქტომბრის თვეში. სკოლაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის 1 პედაგოგი, 1 მშობელი და 1 საშუალო საფეხურის მოსწავლე. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლაში არსებობს უსაფრთხოების დაცვის კომპონენტები: ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები(ცეცხლმაქრი, ბარი, ვედრო, ძალაყინი),

საევაკუაციო გეგმა და სხვ. სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექიმი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე. სკოლას გააჩნია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა(დანართი N70) , შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელიც ატარებს ესგ-ს მიერ განსაზღვრულ ღონისძიებებს(სდომები, შეფასებები, კომუნიკაცია მშობლებთან და სხვ). სკოლაში არ აღმოჩნდა მოსწავლის კანონიერი უფლებების დასაცავი „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მიხედვით გასაჩივრების დეტალური პროცედურების მომცავი დოკუმენტი.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლაში შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის დერეფანში, ყველასთვის ხელმისაწვდომ სივრცეში, გარდა აღნიშნულის კლასის დამრიგებლები აცნობენ სკოლაში ახლადგადმოსულ მოსწავლეებს შინაგანაწესსა და სხვა შიდასასკოლო ნორმატიულ აქტებს, პერიოდულად უტარებენ საუბრებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის თემაზე. სასწავლო წლის დასაწყისში სადამრიგებლო რგოლის მიერ ხორციელდება მშობელთა კრებები, შინაგანაწესის, სგგ-ს, მშობლებთან ურთიერთობის დებულების და სხვ. შიდასასკოლო დოკუმენტაციის გაცნობა - გაზიარების მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისათვის გასაჩივრების მექანიზმი - დისციპლინარული კომიტეტი. სკოლის ვებგვერდი ვიზიტის დროს შექნის პროცესში იყო - სასკოლო დოკუმენტები სხვადასხვა ინფორმაციასთან ერთად 2023-2024 სასწავლო წლისათვის აიტვირთება მასზე და ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებულ პირთათვის.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები(დანართი N113), რომელიც მკაფიოდ და გამჭვირვალედ ასახავს სკოლის და მოზარდის წარმომადგენლის(მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის) ურთიერთვალდებულებებს, ხელშეკრულების ვადა ვადა ისაზღვრება მოსწავლის მიერ სწავლის დასრულებამდე. სექტემბრის თვეში პირველ მშობელთა კრებაზე კიდევ ერთხელ ხდება ხელშეკრულების შინაარსის გაცნობა და მშობელი ხელისმოწერით ადასტურებს თანხმობას ხელშეკრულების პირობებზე და სკოლის შინაგანაწესის გაცნობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებების ერთი ასლი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება მოსწავლის პირად საქმეში.ყოველდღიურად დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

N3 სკოლის ვებგვერდის და ფეისბუქგვერდის სქრინი, N10 შინაგნაწესი, N25 სკოლის წესდება, N31 448 ბრძანება, N36 მშობლებთან ურთიერთობის დებულება, N64 მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები, N100 შინგანაწესი, N113 ხელშეკრულება მშობელსა და სკოლას შორის, N141 უფლებების დაცვა, N142პერსონალურ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, N146 პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი

შეფასება:

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭირვალე, კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიიების შესახებ” და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეთა მობილობის შემთხვევაში მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი მომართავს სკოლას განცხადებით, განცხადება იტვირთება eFlow-ს ბაზაში და მოთხოვნა eshool-ის საშუალებით ეგზავნება სკოლას, სადაც

ხორციელდება მობილობა. დასტურის შემთხვევაში, იწერება ბრძანება და იტვირთება eFlow-ის ბაზაში. მობილობის დასრულების შემდეგ eshool-ის ბაზაში მოსწავლე გამოჩნდება სტატუსით და ბრძანების ნომრის მითითებით ირიცხება კლასში. აღნიშნული კანონი გაზიარებულია კლასის დამრიგებელთათვის ელექტრონულ ფოსტაზე და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა პროცედურის დაცვით, პირველკლასელი სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ვადებითა და რეგულაციით, სტატუსის დადგენის შემდეგ მოსწავლე ბრძანების საფუძველზე ირიცხება პირველ კლასში, ხოლო უარყოფის შემთხვევაში, მოსწავლეს უუქმდება რეგისტრაცია და ეტაპის შესაბამისად რეგისტრირდება თავიდან. მობილობის სურვილის შემთხვევაში სკოლა პროცედურების განხორციელებს იწყებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საქმისწარმოების წესის დაცვით, ხორციელდება განცხადების განთავსება ელექტრონულ ბაზებში და გამშვები სკოლიდან მიღებული თანხმობის შემთხვევაში, პირადი საქმის მიღებისთანავე, ადმინისტრაციის მხრიდან იქმნება ბრძანება ჩარიცხვის შესახებ. საზღვარგარეთიდან მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, სათანადო დოკუმენტაცია და სკოლის მიერ შემუშავებული დასკვნა იგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტში. მიღებული თანხმობის შემთხვევაში, საზღვარგარეთ გავლილი საფეხურის აღიარების შემდეგ, სკოლა წერს ჩარიცხვის ბრძანებას. სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე, მოსწავლის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების წინაპირობაა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლა მე-4 კლასის დასრულების შემდეგ, მშობლებს სთავაზობს მეორე უცხო ენის არჩევანს. უცხო ენის კათედრის წარმომადგენელები ხვდებიან შესაბამის კლასის მოსწავლეების მშობლებს, აწვდიან ინფორმაციას თუ რომელი უცხო ენის სწავლების შეთავაზებაშეუძლია სკოლას. ენის არჩევა ხდება კენჭისყრით, პრიორიტეტია მოსწავლის და მშობლის ინტერესები. სკოლა გეგმავს მოაწყოს ღია კარის დღე-პირველკლასელთა მშობლების მეტი ინფორმირებულობისათვის. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს ლიტერატურული და ეკო კლუბი. კათედრები წარადგენენ კლუბის დებულებასა და მუშაობის გეგმას. ინფორმაციის გასაჯაროება ხორციელდება დამრიგებლების მხრიდან მშობელთა კრებებზე, თავსდება საინფორმაციო დაფაზე და აღნიშნულ მომსახურებებში ჩართვა შეუძლია ყველა მოსწავლეს ინტერესისა და შესაძლებლობების მიხედვით, რომელიც არის უფასო და ხელმისაწვდომია ყველასათვის.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება.

4.კლუბებისა და წრეების მუშაობის ამსახველი მასალები, სასკოლო კვლევები, სასკოლო და სასწავლო პროექტები, თვითმმართველობის საქმიანობა, მკლუბის აქტივობები, სკოლაში არსებული მომსახურეობის შესახებ ინფორმაცია და სკოლა ინფორმაციის გასაჯაროებისათვის იყენებს facebook გვერდს „პირველი სვირის საჯარო სკოლა"; აქ ფუნქციონირებს დახურული საკლასო ჯგუფები(„მესენჯერზე"), რომლებში გაერთიანებულია კონკრეტული კლასის მოსწავლეები, დამრიგებლები, მასწავლებლები და მშობლები. სკოლა ხშირად ახორციელებს მოსწავლეების მიღწევების, ნაშრომების, კომპლექსური დავალებების პროდუქტების გასაჯაროება. სხვადასხვა უწყებიდან მოწვეული სტუმრებთან, მშობლებთან, თემის წარმომადგენლებთან, დაინტერესებული პირებთან, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ სკოლაში არსებულ წარმატებულ პრაქტიკას, ინფორმაცია მიეღონ თავად მოსწავლეებისგან. სკოლის ვებგვერდი შექმნის პროცესშია და ვიზიტის დროს მიმდინარეობდა მასზე ინფორმაციების ატვირთვა.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

N61 ოქმი-მეორე უცხო ენის არჩევის შესახებ, N62 მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წესი N63 პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის წესი, N178 მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმებია: წლის დასაწყისში მზადება მოსწავლეთა დასახვედრად. მოსწავლის ტრანზიციის შესახებ მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები და მიღებული გამოცდილება გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სპეციალური მასწავლებელიი დამატებით მუშაობს სსსმ მოსწავლეებთან. აქტიურად ხდება ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობა. სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება მშობლის ინფორმირება საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების შესახებ. პირველკლასელთა მიღებისათვის ეწყობა ღია კარის დღეები და ურიგდებათ სამახსოვრო საჩუქრები. ხდება პირველკლასელთათვის სასკოლო გარემოსა და დამრიგებლის გაცნობა. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისათვის სასკოლო გარემოსათან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური მასწავლებლები უკავშირდებიან სსსმ მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტებს, ფსიქოლოგებს და იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, რა უნდა გაითვალისწინონ იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ ბავშვის ადაპტაციას სასკოლო გარემოში. ამ მიმართულებით მუშაობენ ასევე მანდატურები, რომლებიც მუშაობენ რთული ქცევის მოზარდებთან და საჭირო შემთხვევაში იყენებენ მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრის მომსახურებას.
   აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.1. სტანდარტს შეესაბამება.
2. სკოლა არის სრულად რეაბილიტირებული. სკოლას აქვს ადაპტირებული შესასვლელი, საპირფარეშო. რესურს ოთახი მოწყობილია არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით (რბილი ავეჯი, დასასვენებელი სივრცე, რესურსები, ტექნიკური აღჭურვა

და ა.შ) სკოლაში გამოიყენება მოსწავლის ასაკის შესაბამისი ავეჯი. არსებობს რეკრეაციული, სამკითხველო სივრცეები, ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლის პედაგოგები და დამრიგებლები სისტემატიურად აძლევენ მოსწავლეებს სათანადო კონსულტაციებს და ზრუნავენ აკადემიური უნარების გასაუმჯობესებლად. საგაკვეთილო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით მასწავლებლები მუშაობენ ინდივიდუალურად მოსწავლესთან ან ჯგუფთან სასკოლო სივრცეში ან ელექტრონულ პლატფორმებზე. სასწავლო პროცესში ახდენენ ზეპირი განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ. ხდება ელექტრონულ ჟურნალის და Teams-ის პლატფორმის საშუალებით. სკოლა პროგრამა „ახალი სკოლის მოდელში „ იყო ჩართული და ახალი ესგ-ს შესაბამისად მასწავლებლები ყოველი კომპლექსური დავალების შესრულებისას აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს ყველა მოსწავლეს. პედაგოგები კონსულტაციას უწევენ მოსწავლეებს სემესტრული, ექსტერნის გამოცდების წინ.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლაში არსებობს სასწავლო პროგრამების ექსტერნის ფორმით დაძლევის პრაქტიკა . ექსტერნის ვადებისა და სკოლის მხრიდან მხარდაჭერის შესახებ წინასწარ ინფორმირებულია მოსწავლე/ მშობელი/კან. წარმომადგენელი. დირექტორის ბრძანების თანახმად, მასწავლებელი ატარებს შესაბამის საკონსულტაციო შეხვედრებს, როგორც დისტანციურად, ასევე პირისპირ. სასკოლოს სასწავლო გეგმა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, ასევე დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

5. სკოლას აქვს ადამიანური რესურსი პროფესიონალი პედაგოგებისა, რომელთაც არაფორმალური სასწავლო აქტივობების საშუალებით შეუძლიათ მოსწავლეთა წახალისება. სკოლის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს არაფორმალური განათლების მხარდაჭერა. სკოლამ განახორციელა სასკოლო პროექტები: „ერის სულიერი საგანძური“, „ჯანმრთელობა კეთილდღეობის საწინდარია“; „კულტურული მრავალფეროვნება ჩვენს ირგვლივ“ და ეკოკლუბის აქტივობები, რომელშიც ჩართულია ყველა საფეხურის მოსწავლეები და თვითმმართველობა. მოსწავლეებში ინფორმაციული ცნობიერების გაზრდის მიზნით

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან პროფესიების არჩევის მიზნით.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

6. მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა გააუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. ამის დასტურია მოსწავლეთა თვითმმართველობების მიერ წამოყენებული ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელებაში დახმარება. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს საკადრო, ინფრასტრუქტურული, მმართველობითი მიმართულებით. მომავალი სასწვლო წლისთვის ამ მიზნით სკოლა გეგმავს მშობელთა კომიტეტის შექმნას. სკოლა თვლის რომ ელექტრონული ჟურნალის წარმოება კიდევ უფრო ხელს შეუწყობს სკოლასთან მშობლის კონსტრუქციულ და სასარგებლო თანამშრომლობას.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.6. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

N178 მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი N80 სპეცმასწავლებლის შეფასება N32 N50, N71, N81, N89 სასკოლო პროექტები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა ზრუნავს სკოლის მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე. ამ მიზნით რეგულარულად აწვდის ინფორმაციას სხვასდასხვა პროფესიების შესახებ მოსწავლეთა საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე(დამრიგებლის საათები) სკოლაში ხორციელდება ამ მიმართულების პროექტები და აქტივობები. სკოლა

თანამშრომლობს კოლეჯ „ემ-კვადრატთან“, ქუთაისის კადეტთა სკოლასთან, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ხორციელდება მოსწავლეთა ვიზიტები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში(მაგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი(თსუ), სახელმწიფო ეროვნული უნივერსიტეტი (SEU)) ასევე მასპინძლობს სხვადასხვა კოლეჯების და დაწესებულებების წარმომადგენლებს, უწყებებს რომლებიც აცნობენ მოზარდებს იმ შესაძლებლობებს, რასაც მათი სასწავლებლები თავაზობენ. მაგ. სკოლაში მოეწყო შეხვედრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომლებმაც გააცნეს მოსწავლეებს ქართული ჯარის შესახებ ინფორმაცია. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიზნით სკოლის აორგანიზებს შეხვედრებს სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებთან, რომლებიც სწავლობენ წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. ისინი მიმოიხილავენ იმ პროფესიების და პროგრამების მახასიათებლებს, რომელსაც თვითონ ეუფლებიან.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სკოლა მუდმივად ცდილობს, მიაწოდოს მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. რისთვისაც მიმართავს სხვადასხვა მექანიზმებს: სადამრიგებლო საათები, გასვლითი ექსკურსიები, სკოლის facebook გვერდზე ინფორმაციის განთავსება. სკოლაში სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები ახორციელებენ ვიზიტს, სადაც იწვევენ მოსწავლეების გარდა მშობლებსაც. გადასცემენ მათ საინფორმაციო ბროშურებს და პროფესიების ჩამონათვალს რასაც სთავაზობს მათ აღნიშნული სასწავლებელი. პედაგოგები აწვდიან ინფორმაციას მშობლებს მათი შვილების მისწრაფებების, უნარები და შესაძლებლობების შესახებ.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღწევენ სკოლის კურსდამთავრებულები დასახულ მიზანებს, აბარებენ წარმატებით მისაღებ გამოცდებს, არიან წარმატებული სტუდენტები და პროფესიონალები. პირველი სვირის საჯარო სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას გეგმავს გაწეული მომსახურეობის შედეგების უკუკავშირების საფუძველზე. სკოლა ითვალისწინებს სკოლის კურსდამთავრებულების მიღწევებს და შეხედულებებს, იწვევს კურსდამთავრებულებს ახალი სასწავლო წლის დაწყების დღეს. ისინი უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას მოსწავლეებს სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით. სკოლა გეგმავს ჩაატაროს კურსდამთავრებულთა გამოკითხვა .2023-2024 სასწავლო წლისათვის, შექმნილ

კითხვარში გათვალისწინებული იქნება: რა ცოდნა წაიღეს სკოლიდან და როგორ გამოადგათ სასკოლოსაგანმანათლებლო მომსახურება, რის შეცვლას ისურვებდნენ, კითხვარის ანალიზით სკოლა გეგმავს სასკოლო მომსახურეობის გაუმჯობესებას.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N8

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, რაც დასტურდება დოკუმენტით-ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. სკოლაში ერთი სპეციალური მასწავლებელია. შერჩეულია კონკურსის სახით. გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგები (სპეცმასწავლებელთა 120 საათიანი ტრენინგი, მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული 16 საათიანი ტრენინგი), მინიჭებული აქვს სპეციალური უფროსი მასწავლებლის სტატუსი. აქვს პედაგოგიური პრაქტიკა და გამოცდილება. სპეციალურ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სამუშაო გეგმა, ხოლო წლის ბოლოს წარმოდგენილი აქვს გაწეული მუშაობის ანგარიში. სკოლაში სწავლობს 4 სსსმ მოსწავლე. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებულია სამი მოსწავლე, ხოლო ერთი მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმა დგება იმ მიზეზით, რომ მოსწავლე ვერ ფლობს სახელმწიფო ენას. სკოლის დირექტორის ბრძანებით, შექმნილია

თითოეული მოსწავლის შემთხვევაში ისგ-ის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ატარებენ სსსმ მოსწავლის სწავლის ხელშეწყობისა და შეფასების მიზნით სხდომებს (ჩატარებულია სულ ოთხი სამუშაო შეხვედრა); სპეციალურ მასწავლებელს შეფასებული ჰყავს თითოეული სსსმ მოსწავლე და კარგად იცნობს მათ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. აქტიურად არის ჩართული მათი სწავლა - სწავლების პროცესში. ყველა მოსწავლის ისგ გეგმის შედგენაში. საგნის მასწავლებლებს აძლევს რეკომენდაციებს, როგორ დაგეგმონ და განახორციელონ სასწავლო მიზნები, მშობლებისთვის გაცემული რეკომენდაციები წარმოადგინა დოკუმენტად, რომელშიც დაწვრილებით გასცემს რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა შეუწყოს ხელი მშობელმა მოსწავლეს აკადემიურ წარმატებას. სპეციალური მასწავლებელი კლასის დამრიგებელთან ერთად თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეების სწავლა- სწავლების პროცესს. სირთულეების შემთხვევაში კონკრეტულ რჩევებს აძლევს მასწავლებლებს. აქვს კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის გეგმა და სამუშაო მიმართულება. რთული ქცევის გამოვლენისას შემთხვევისათვის შემუშავებული აქვს ჩარევის/ინტერვენციის გეგმა, სკოლის სპეციალური მასწავლებელი და პირველი კლასის დამრიგებელი აკვირდებიან მოსწავლეებს, ხომ არ აქვთ რაიმე სპეციალური საჭიროება, გამოვლენის შემთხვევაში მიმართავენ მშობელს და მისი თანხმობით ადგენენ მიმართვის ფორმას მულტიდისციპლინური გუნდისადმი. აგრეთვე, სხვა კლასებში მოსწავლის სპეციალური საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში სკოლის დირექცია ორგანიზებას უწევს მოსწავლის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის), სპეცმასწავლებლის, დირექციისა და დამრიგებლის შეხვედრას. მიმართვის მიღების შემდეგ ათი სამუშაო დღის განმავლობაში სპეცმასწავლებელი დამრიგებელთან ერთად აფასებს მოსწავლის მოტორულ, კოგნიტურ, ფსიქოემოციურ, აკადემიურ, სოციალურ, ქცევით, ფუნქციურ უნარებს და მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს. მიუხედავად ამ რეკომენდაციებისა, თუ მოსწავლე ერთი-ორი თვის განმავლობაში ვერ ძლევს ესგ-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სკოლის დირექტორი მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს მოსწავლის შეფასების მიზნით. მოსწავლის შეფასების შემდეგ სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება თითოეული მოსწავლისთვის ისგ ჯგუფი, შემუშავდება ყოველი მოსწავლისათვის ისგ. სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ოთხჯერ მაინც იკრიბება ისგ ჯგუფი, განიხილავს მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებს, შუალედურად აფასებს, აზუსტებს ისგ-ს, წლის ბოლოს აკეთებს საბოლოო შეფასებას; სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აკეთებს შიდა მონიტორინგს ინკლუზიური განათლების გეგმის შესრულების შესახებ წელიწადში ერთხელ მაინც მონიტორინგის ჩატარების შემდეგ დგება მონიტორინგის დასკვნა, რომელიც ეგზავნება სამინისტროს არაუგვიანეს შვიდი დღისა.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობას. სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვითა და ვადაში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლას ჰყავს სპეც. მასწავლებელი, ასევე შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. აღნიშნულ მოსწავლეთა მუშაობისას საგნის მასწავლებლები კონსულტაციას გადიან სპეცმასწავლებელთან, რომ მოხდეს მათთვის მისაწოდებელი მასალების ადაპტირება. ურთიერთთანამშრომლობით დგება კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვარიანტი,რომლის შედეგების ანალიზს ეფუძნება შესაბამისი ცვლილებები. ინდ. გეგმები შედგენილია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე და მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და უნარებზე. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა, როგორც საგნის მაწავლებლები, ასევე, სპეცმასწავლებელი, დირექცია და მშობელი, ასევე, მათი თანაკლასელები. კეთდება მოსწავლის მიღწევების შუალედური და საბოლოო შეფასება, რომელთა დაყრდნობითაც ინდ გეგმის ცვლილება/რევიზია/დაზუსტება ხდება.სპეციალური და საგნის მასწავლებლების მხრიდან ხორციელდება არაფორმალური აქტივობები (ფილმის ჩვენება, დისკუსია, ნახატების შექმნა და ა.შ), რომლებშიც ჩართულნი არიან სსსმ მოსწავლეები. სპეციალური მასწავლებელი სასკოლო კლიმატის გაუმჯობესების ხელშესაწყობად ახორციელებს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს (დაუნის სინდრომისა და აუტიზმის დღეებისადმი მიძღვნილი) როგორც მოსწავლეებთან, ასევე -მშობლებთან. სკოლის მიერ შექმნილია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობასთან დაკავშირებული სლოგანი - ,,შეცვალე სამყარო თანადგომით!“

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.2.3.2. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დანართი №69 სპეციალური მასწავლებლის სამუშაო გეგმა

2. დანართი №70 ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა

3. დანართი №72 სკოლის დირექტორის ბრძანება №2-36 სსსმ მოსწავლისთვის ისგ-ის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

4. დანართი №73 მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება

5. დანართი №78 სპეცმასწავლებლის რჩევები მშობელს

6. დანართი №79 ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

7. დანართი №80 სპეცმასწავლებლის მიერ გაკეთებული შეფასებები

8. დანართი № 17 ისგ

9. დანართი № 75 ისგ-ის სხდომის ოქმები

10. დანართი №131 სპეცმასწავლებლის ანგარიში

11. დანართი №97 პირველკასელთა დახასიათებები

12. დანართი №37 პედსაბჭოს ოქმი ისგ-ის დამტკიცების შესახებ

13, დანართი №27 ინდ გეგმის ნიმუში

14. დანართი №76 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი

15.დანართი №78 მოსწავლის ისგ

16. დანართი №121 ადაპტირებული კომპლექსური დავალება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

   ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა დამატებითი არასავალდებულო ხასითის მომსახურების სახით სთვაზობს მოსწავლეებს სატრანსპორტო მომსახურებას. სულ არის 6 მიმართულება, რომელიც ემსახურება 86 მოსწავლეს. სატრანსპორტო კომპანიას ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიასთან უფორმდება ხელშეკრულება, რომელსაც სკოლა აწვდის შევსებულ ტაბელებს (N118 დანართი- ტრანსპორტირების ტაბელი).

ინდიკატორი 4.2.4.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სატრანსპორტო მომსახურება ნებაყოფლობითია და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის ვინც 2 კმ-ზე მეტი მანძილით დაშორობით ცხოვრობს სკოლიდან(N118 დანართი).

ინდიკატორი 4.2.4.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა ახორციელებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას-მოსწავლეთა ტრანსპორტირებას. მოსწავლეების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ტრანსპორტით მომსახურეობა ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით, რაზეც პასუხისმგებლობა მერიის სამსახურს აკისრია. გარდა ამისა,

სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი, რომელიც უწევს მონიტორინგს ტრანსპორტით მომსახურეობის რეგულარულობის და პუნქტუალურობის(N84 დანართი).

ინდიკატორი 4.2.4.3. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N84ტრანსპორტიN118ტაბელები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც წარმოდგენილია სავალდებულო თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები, საკითხები და სასწავლო რესურსები. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე შეიტანენ კონტექსტ მაგალითს და კომპლექსური დავალების იდეას. ბუნებისმეტყველების კურიკულუმი წარმოადგენს 2023-2024 სასწავლო წლის შინაარსობრივ ნაწილს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლა მუშაობს მეთოდოლოგიის შემუშავება - დახვეწის მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს პროცესში, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებმა, ისაუბრეს თუ როგორ ქმნიან კურიკულუმს, და რომ ამ პროცესში ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების წევრების საჭიროებებს და ინტერესებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების , შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ინგლისურ ენასა და რუსულ ენაში შეესაბამება ეროვნული სასწალო გეგმის მიზნებს და მოიცავს სწავლა-სწავლებისა და აღზრდის ძირეულ პრინციპებს. გასაუბრებისას უცხო ენების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, იკრიბებიან კათედრის წევრები, რომლებიც აჯამებენ წინა წლის შედეგებს და გამოვლენილი ხარვეზებისა თუ წარმატებების გათვალისწინებით გეგმავენ მოდევნო სასწავლო წელს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
სახელმწიფო ენა - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში სკოლა ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად მიიჩნევს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიურ ჩართულობასა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინებას; გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პარალელური კლასების პედაგოგები კურიკულუმს შეიმუშავებენ ერთობლივად ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად, წინა წლის გამოცდილების, მოსწავლეთა შედეგების, მათი საჭიროებების, კოლეგებისა და მშობელთა უკუკავშირის გათვალისწინებით. დაგეგმილ კურიკულუმში აისახება ასევე საფეხურის მისია და სკოლის პრიორიტეტები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ტექნოლოგიები-სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლზე ორიენტირებული პროცესის დაგეგვმისა და განვითარების გზას, ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეა, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი უნარი და შესაძლებლობები აღნიშნული თემის ირგვლივ. კომპლექსურ

დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი შემოქმედებითობა, ემოციები და ინტერესები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -სკოლის მიერ წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კათედრაზე განიხილეს მესამე თაობის ესგ, რის საფუძველზეც შეიმუშავეს კურიკულუმები. გაითვალისწინეს მოსწავლეთა საჭიროებები და წინა წლების გამოცდილება. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, მშობელთა ჩართულობა, რომელიც გათვალისწინებულია დავალების ბარათების შექმნით და მშობლებისთვის გაცნობით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -სკოლას წარმოდგენილი აქვს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტი, რომლის თანახმად: ,,კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალურ ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრულ ერთეულებზე, დანერგვის ინსტრუმენტებზე, შუალედურ სასწავლო მიზნებზე, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებზე, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და მონაწილეობის ფორმებზე კურიკულუმის განვითარების პროცესში).“ კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება - წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. ყველა მასწავლებელი კათედრასთან შეთანხმებით ადგენს საგნობრივ გეგმას, პარალელური კლასის მასწავლებლებს შორის ხდება შეთანხმება თითოეულ კლასში განსახორციელებელი კოპლექსური დავალების რაოდენობასა და განხორციელების დროზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.1.1.2.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა, განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები -- საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრი მასწავლებლები, ინტერვიუს პროცესში, ესგ - ით გათვალისწინებული გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების მიღწევის საკუთარ გამოცდილებაზე საუბრის დროს აღნიშნავდნენ,

რომ ითვალისწინებდნენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, მაგალითად, იყენებდნენ დიფერენცირებულ მიდგომებს და მოსწავლეებს სთავაზობდნენ ალტერნატიული ფორმატის აქტივობებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - - როგორც გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა , სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგთა ჩართულობით უცხოური ენის კათედრაზე გასული წლის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე დაგეგმეს მომავალი წლის კურიკულუმები. ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების შედეგად, მათი წარმატებების თუ პრობლემების გათვალისწინებით ქმნიან ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებს. ერთად გეგმავენ აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში დაფიქსირებული პრობლემური საკითხების გამოსწორებას. ასევე დაწყებითი კლასების უცხო ენების კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური სახის დავალებები,სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესები. ასევე გასაუბრებისას პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ცდილობენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებების მორგების მიზნით დიფერრენცირებული სწავლების მიდგომების გამოყენებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლა გეგმავს , ასახოს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, მათ ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების ნაწილში, რომელიც მიმდინარეობს მუსიკისა/ ხელოვნების პედაგოგებისა და დირექციის აქტიური მონაწილეობით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია იქნება მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. ჩატარებული ღონისძიებები მიუთითებს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ ჩართულობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
ტექნოლოგიები-დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტრესები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმში აისახება, სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესები. მასწავლბელბემა ხაზი გაუსვეს,რომ სასკოლო კურიკულუმი შეიმუშავეს თანამშრომლობითი პრინციპით. სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას გამოიყენეს კათედრებიდან მიღებული უკუკავშირები, გათვალისწინებულ იქნა წინა წლის სასწავლო გეგმა, ძლიერი და სუსტი მხარეები. სამომავლოდ სკოლა გეგმავს გაითვალისწინოს მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
სახელმწიფო ენა -ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, დაწყებითი საფეხურის მისია. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივ გეგმაში წარმოდგენილი კომპონენტები: სასწავლო თემები, საკითხები, რესურსები, შერჩეული კომპლექსური დავალებები ეფუძნება წინარე გამოცდილებას, და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს, კოლეგებისა უკუკავშირს. სამომავლოდ იგეგმება მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირების გათვალისწინება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომელთა მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. „კურიკულუმის შემუშავების მოთოდოლოგიის“ დოკუმენტის პროექტის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრაზე კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იყო წინარე გამოცდილების ანალიზი, გამოიკვეთა ძირითადი საკითხები, სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების კრიტერიუმები, თემების მიხედვით შეირჩა კომპლექსური დავალებები. მასწავლებლებს შორის მოხდა შეთანხმება თითოეულ კლასში განსახორციელებელი კოპლექსური დავალების რაოდენობასა და განხორციელების დროზე. კურიკულუმები შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მშობელთა ინტერესებისა და მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, ითვალისწინებენ თავიანთი მოსწავლეების შედეგებს, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან იღებენ უკუკავშირს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.1.1.3.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. კათედრაზე პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. მათ აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები -ინტერვიუს პროცესში კათედრის წარმომადგენელი მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ისინი სისტემატურად იკრიბებიან კათედრის მასშტაბით და მსჯელობენ, როგორც კურიკულუმის შექმნის, ისე მისი განხორციელების პროცესთან დაკავშირებით, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი მოსწავლეების ტიპურ ხარვეზებსა და წარმატებებს, (აღნიშნეს რომ აკეთებენ სისტემატურ ჩანაწერებს მოსწავლეთა შედეგების შესახებ) რაც საშუალებას აძლევს ეს ყოველივე ასახონ კურიკულუმში, მის განახლებულ/გადამუშავებულ ვერსიებში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. გასაუბრებისას უცხო ენების პედაგოგებმა აღნიშნეს,

რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას იკრიბებიან კათედრის წევრები, რომლებიც აჯამებენ წინა წლის შედეგებს და გამოვლენილი ხარვეზებისა თუ წარმატებების გათვალისწინებით გეგმავენ მოდევნო სასწავლო წელს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლამ მოამზადა ყველა კლასში კურიკულუმის ჩარჩო და ცდილობს კომპლექსური დავალებების განხორციელებას, არის წარმოდგენილი კურიკულუმის ნიმუშები მტკიცემულებად მუსიკის და ხელოვნების მიმართულებებით, რომელ კლასში რა კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ 2023-2024 სასწავლო წელს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
ტექნოლოგიები- თვითშეფასების კითხვარის ანალიზისა და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია. პედაგოგებთან გასაუბრებიდან ვიგებთ, რა ევალება მასწავლებელს, როგორ უნდა შეიმუშავოს მან საგნობრივი კურიკულუმი კათედრასთან თანამშრომლობით, რა დოკუმენტებს დაეყრდნოს და სხვა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ ჯერ გამოცდილება არ აქვთ ტექნოლოგიებში კომპლექსური დავალების განხორციელებისა, თუმცა დაგეგმილი აქვთ, იმუშაონ კომპლექსური დავალებებზე, გაითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, ჩართავენ მშობლებს აღნიშნულ პროცესში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
სახელმწიფო ენა -ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები იქმნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. დაწყებით საფეხურზე პარალელური კლასების პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ და შეარჩევენ შუალედურ მიზნებს, წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით ახდენენ სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან .
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებების შერჩევაში კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ პროცესში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მშობელთა მოსაზრებები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაშიც აქტიურადაა ჩართული დაწყებით საფეხურზე მომუშავე პედაგოგები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის წევრები. ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. ყოველივე ეს დასტურდება კათედრის ოქმებით და ინტერვიუთი.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.1.1.4.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ კათედრამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებული კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობის საფუძველზე შეიმუშავა ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმი. სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, კურიკულუმი გაზიარებული იქნება და ხელმისწვდომი გახდება სასკოლო საზოგადოებისთვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიუში აღნიშნეს კათედრის წევრმა მასწავლებლებმა, რომ აქვთ აქტიური და ეფექტიანი ურთიერთობა მოსწავლეთა მშობლებთან/მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და მაგ. მიმდინარე სწავლა - სწავლების პროცესის შესახებ აწვდიან მათ პერიოდულ ინფორმაციას და აქვთ ჯანსაღი ურთიერთობა, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა ფორმატის კომუნიკაციას, მაგ: ზეპირი, წერილობითი, ინდივიდუალური და ჯგუფური. განსაკუთრებით აღინიშნა რომ ყველაზე ეფექტიანად იყენებენ სოციალურ ქსელ Facebook - ში შექმნილ ჯგუფს ზოგადი აქტუალური საკითხების განხილვისა და ინფორმაციის მიწოდებისთვის, ინდივიდუალურ საკითხებს კი განიხილავენ კონკრეტული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კონფიდენციალობისა და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს საკოლო კურიკულუმის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების აუცილებლობას. დოკუმენტში ვკითხულობთ ასეთ ჩანაწერს:,, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდზე; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამასვე ადასტურებს პედაგოგთა გასაუბრება,კერძოდ: მოსწავლეებს და მშობლებს მშობელთა კრებებზე, აცნობენ უცხო ენის ინგლისური და რუსული ენის საგნობრივ ჭრილში დასამუშავებელ თემას, საკითხებს, იმ რესურსთა ჩამონათვალს, რაც ხელს შეუწყობს მიზნების მიღწევას. გარდა ამისა დოკუმენტაციაში ფიქსირდება უცხო ენის კათედრის შეხვედრის ჩანაწერი (შეხვედრის ოქმი N 2 20/01/23) სადაც სწორედ კურიკულუმის გაზიარებასა და შედეგებზეა საუბარი.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -ჩანს, რომ კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩო განხილული იქნა კათედრებზე, რომლის მიხედვითაც შემუშავებულ იქნა სასკოლო საგნობრივი კურიკულუმი. მკაფიოდ არის მოცემული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კონკრეტულად რა მოცემულობაა საგან მუსიკაში,საგან სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში საგნობრივ კურიკულუმებში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ტექნოლოგიები- სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ასევე ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა და სხვა...

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -დაწყებითი საფეხურის მიერ შემუშავებული კურიკულუმები შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოზე. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება, ბარათები მშობელთათვის. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- პორტალი ვებგვერდზე;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სასწავლო კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოები ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს. სკოლას აქვს ფეიბუქ გვერდი, სადაც პერიოდულად ქვეყნდება მიმდინარე ფორმალური და არაფორმალური კუთხით ჩატარებული აქტივობები. ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ მასწავლებლებს მჭიდრო კავშირი აქვთ მშობლებთან და კოლეგებთან.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დანართი №154 ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“
2. დანართი № 24 კათედრის ანგარიშები

3. დანართი № 85 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
4. დანართი № 86 საბაზო საფეხურის კურიკულუმი
5. დანართი № 87 საშუალო საფეხურის კურიკულუმი
6. დანართი № 15 განაცხადი ავტორიზაციაზე (სკოლის თვითშეფასების კითხვარი)
7. დანართი №16 სკოლის თვითშეფასება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
2.1.2.1.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო კათედრის დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტების განხილვა და, შესაბამისად, ინტერვიუ მასწავლებლებთან იძლევა იმის საშუალებას, რომ ვთქვათ, კათედრას აქვს მზაობა კურიკულუმები ორიენტირდეს გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვროს საფეხურის

დონეზე-ესგ-ის მიხედვით სტანდარტში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით. კათედრა უპირატესობას ანიჭებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მაღალი საზროვნო უნარები სჭირდება. ამის მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ, დაწყებით საფეხურზე წარმატებით განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ასევე კურიკულუმის ზოგიერთი კომპლექსური დავალების იდეა, შესაბამისი კონტექსტ მაგალითებითა და სასწავლო რესურსების ჩამონათვალით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი და აღწერილი კურიკულუმები მეტწილად მორგებულია მოსწავლეზე, ითვალისწინებს დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებას ყოველდღიურ სწავლა - სწავლების პროცესში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - უცხოური ენების -ინგლისური ენის და რუსული ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა მოსწავლზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის მზაობა. პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ამიტომ, საჭიროებიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით ისინი ახერხებენ სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას. ცდილობენ აქტიურად დანერგონ კომპლექსური ბუნების დავალებები. პედაგოგები აქტიურად მუშაობენ იმაზე ,რომ მომავალი სასწავლო წლიდან შეცვლილი ვარიანტებით განახორციელონ კომპლექსური შემაჯამებელი დავალებები. გასაუბრებაზე მოიყვანეს წარმატებული მაგალითები თავიანთი პრაქტიკიდან, განხორციელებული აქტივობები, არსებული გამოცდილების გამოყენება მათ დაეხმარებათ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის განხორციელებაში.მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმები სექტემბრამდე დაიხვეწება. აქედან გამომდინარე, ჩანს სკოლის მზაობა და სურვილი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. წარმოდგენილია მამტკიცებელ საბუთად მკაფიოდ გაწერილი კურიკულუმები ესთეტიკური აღზრდის საგნებში (ხელოვნება/მუსიკა). კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები იმგვარად, რომ სასწავლო პროცესი წარმოადგენდეს მოსწავლეზე ორიენტირებულს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მომავალ სასწავლო წელს კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების დროს გათვალისწინებული იქნება ყველა ის ნიუანსი, რომლებიც ქოუჩინგის პროცესში მიიღეს უკუკავშირის სახით კომპლექსური დავალებებთან მიმართებით. ამ ეტაპზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიერმართება ესგ-ით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ტექნოლოგიები-სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმისა და განვითარების გზას, ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეა, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი უნარი და შესაძლებლობები აღნიშნული თემის ირგვლივ. კომპლექსურ დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი შემოქმედებითობა, ემოციები და ინტერესები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება , რომ საგნობრივი კურიკულუმები იქმნება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პრინციპების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი მიემართება გრძელვადიან მიზნებს,

მოსწავლეს ეძლევა საშუალება მისთვის ნაცნობ კონტექსტში წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა , მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, განუვითარდეს მეტაკოგნიტური უნარები,სკოლა იცნობს და იყენებს დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს, ზრუნავს სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობაზე. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. გასათვალისწინებელია, რომ დაიფაროს ესგ-ით გათვალისწინებული ყველა თემა, შეირჩეს კომპლექსური დავალება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას: სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ყველა თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრიციპების დანერგვის მიღწევაზე. ყველა სპორტის სახეობის მიხედვით წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები (თეორიული - გზამკვლევები და პრაქტიკული - ვარჯიშების მაგალითები). ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.1.2.2.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები მიმართული იყოს გრძელვადიან მიზნებზე , რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მათში ფუნქციურ-კომპონენტური უნარები განვითარებას. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული კონტექსტის/კონტექსტების მნიშვნელობა, რომელიც ეხმარება მოსწავლეს სიღრმისეულად და მრავალმხრივ გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი და აღწერილი კურიკულუმები მეტწილად მორგებულია მოსწავლეზე, ითვალისწინებს დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებას ყოველდღიურ სწავლა - სწავლების პროცესში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი ინგლისური და რუსული ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებისათვის მისადაგებული და მითითებული სამიზნე ცნებები (ქვეცნებები),კურიკულუმის თემები, საკითხები, რესურსები იძლევა იმის შესაძლებლობას,რომ სასწავლო პროცესი გახდეს ორიენტირებული მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა : კრიტიკული აზროვნება, შემოქმედობითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ მოწოდებული განაცხადში იკვეთება სკოლამ სამომავლოდ შეიმუშავა საგნობრივ კურიკულუმები და ის მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე -ცნებებზე გათვალისწინებულია მასში საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები სწავლების პრინციპები და მეთოდოლოგია. მამტიკიცებელ მასალას წარმოადგენს საგნობრივი კურიკლუმის ჩარჩო ესთეტიკის მიმართულებით (ხელოვნება და მუსიკა). კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები შექმნილია საგნის სტანდარტის,შინაარსის და ესგ-ის მიხედვით, გათვალისწინებულია სტანდარტის გრძელვადიანი მიზნები- ცნებები საფეხურის შედეგები, თემები და საკითხები. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული/შემოქმედებით აზროვნებას, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ტექნოლოგიები-სკოლას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლის კონტექსტ მაგალითებიდან ჩანს, რომ სასწავლო თემები (მაგალითად : მოსწავლემ დამოუკიდებლად შექმნას თამაშები, ვიდეო კოლაჟები, პრეზენტაციები და ა.შ.) მუშავდება მოსწავლეების მიერ, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ მასწავლებელები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ 6 ფუნქციურ უნარს. ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მოხდება კურიკულუმების დიფერენცირება და ამაზე დაყრდნობით კომპლექსური დავალებების შეთავაზება, სადაც მოსწავლეს შეეძლება არჩევანის გაკეთება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია საფეხურის გრძელვადიან მიზნებზე , შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები, რომელთა განხორციელების გამოცდილება სკოლას უკვე აქვს სამინისტროს მიერ მიწოდებული მატრიცებზე დაყრდნობით. შერჩეული დავალებები შესაძლებლობას იძლევა საგნობრივი ცოდნის მიღებასთან ერთად მოსწავლეებს განუვითარდეთ გლობალურ-ფუნქციური უნარები. დაწყებითი კლასების მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და სასკოლო პროექტებში . დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება კურიკულუმების გადახედვა, დახვეწა და შევსება თემების შესაბამისი ქვეცნებებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლებს აღქმული აქვთ ფუნქციური კომპონენტური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -სკოლამ შეიმუშავა და წარმოადგინა კურიკულუმები, რომლებიც ესგ და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს ეფუძნება. დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.1.2.3.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და, შედეგებიდან გამომდინარე, კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ამავე დოკუმენტის მიხედვით, სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ ინკლუზიური გარემოს შექმნას. ინტერვიუ დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან არის დასტური იმისა, რომ სასწავლო პროცესში განხორციელებული კომპლექსური დავალებები იძლეოდა მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიუს პროცესში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წვერმა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი სწავლა - სწავლების პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომას, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მიზნების მიღწევის პროცესში, ასევე ისაუბრეს ცალკეულ სასწავლო პროექტებზე, რომლებში გამოკვეთეს, თუ როგორ ახერხებდნენ ყველა საჭიროების, ინტერესების მქონე მოსწავლეების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - სასკოლო სასწავლო გეგმაში ფიქსირდება, რომ 2022-2023 სასწავლო წლის მონაცემებით სკოლას ჰყავს 3 სსსმ მოსწავლე: მათ შორის 2 დაწყებითი საფეხურის მოსწავლეა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ფიქსირდება მე-4 კლასელი მოსწავლის ისგ ინგლისურ ენაში და ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის ოქმები. აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების მზაობა. ასევე ინგლისური ენის და რუსული ენის კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობები, კრიტერიუმები, რესურსები, აქტივობები ფორმულირებულია ისე, რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას. რაც შეეხება დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებს, დამატებითი ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახდა გასაუბრებისას, პედაგოგთა უკუკავშირით. პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან და აგროვებენ მონაცემებს, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -საგნობრივ კურიკულუმებში არის გათვალისწინებული დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა, რაც ინტერვიურებისას ახსნეს პედაგოგებმა კომპლექსური დავალების პირობასა და საეტაპო აქტივობების ფორმულირების პროცესში. პედაგოგებთან ინტერვიურებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული იქნება კომპლექსური დავალებების ადაპტირება და მასზე დაყრდნობით მოხდება სასწავლო პროცესის წარმართვა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ყველა ბავშვის ჩართვას სწავლა--სწავლების პროცესში მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით, მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობას, პედაგოგებმა ინტერვიუს

დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს, დავალებების შესრულებისას აძლევენ არჩევანის საშუალებას. სსსმ მოსწავლეებისათვის ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით სპეციალური მასწავლებლები საგნის მასწავლებელთან შეთანხმებით შეიმუშავებენ ადაპტირებულ კურიკულუმს და უწევენ შესაბამის დახმარებას მოსწავლეებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
ტექნოლოგიები-კურიკულუმებში წარმოდგენილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს, მათ პირად გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც დიფერენცირებული მიდგომის ერთ-ერთ მახასიათებლად შეგვიძლია მოვიაზროთ. ინტერვიუდან და ასევე სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით; უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა და განხორციელება. სკოლის საგანმანათლებლო სივრცეში განათლების მიღება თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის და სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
მათემატიკა -მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, სასწავლო პროცესი იგეგმება მათი ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია მაღალი,დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლები ფლობენ დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლები არეგულირებენ დატვირთვას მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, მაგ., ფიზიკური განვითარების, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების დიდი გამოცდილება. ამ პროცესში ჩართულები არიან დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები, სპეცმასწავლებლები, მშობლები. ხდება კომპლექსური დავალებების და შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირება. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.1.2.4.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გვიჩვენებს , რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა განახორციელონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. რაც შეეხება განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, მე-5 კლასის მეორე სემესტრსა და მე-6 კლასში სკოლა იტოვებს შეფასების I სამკომპონენტიან მოდელს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) რომლებზე საუბრის დროსაც, ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ აქცენტს აკეთებდნენ სამივე კატეგორიის (დეკლარატიულ, პროცედურულ, პირობისეულ) ცოდნაზე, და მოსწავლის ნამუშევრის/აქტივიზმის შეფასების პროცესში აჩვენებენ მხარდაჭერას მოსწავლის აკადემიური და პიროვნული ზრდისთვის და უჩვენებენ გზას, თუ როგორ უნდა მოახერხონ წინსვლა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში (უცხოური ენების შეხვედრის ოქმი) განხილულია შეფასების სისტემის დეტალები, რაც ადასტურებს შეფასების გრძელვადიან მიზნებს. სკოლა იყენებენ შეფასების შემდეგ რუბრიკებს: შემაჯამებლის, დისკუსიის, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკებს.გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დაწყებით საფეხურზე ამ ეტაპზე სკოლაში განმავითარებელი შეფასება ძირითადად ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს. მომავალი სასწავლო წლისთვის განმავითარებელი შეფასებისთვის სკოლა მოამზადებს შეფასების რუბრიკებს ცნებებთან მიმართებით, რომელზე დაყრდნობითაც მოხდება შეფასების განხორციელება. ამავდროულად, საჭიროების დადგენის მიზნით მასწავლებლები თვითრეფლექსიისა და მოსწავლეების ჩართულობით ჩამოაყალიბებენ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს,დასახავენ სამომავლო გეგმებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
ესთეტიკური აღზრდა -ინტერვიურებისა და განაცხადის ფორმის საუძველზე მკაფიოდ ჩანს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მუსიკისა და ხელოვნების საგნის პედაგოგებს აქვთ წინარე გამოცდილება განმსაზღვრელ/ განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, განმავითარებელი შეფასების ფორმად დაწყებით საფეხურზე გამოიყენება SOLO ტაქსონომია. SOLO ტაქსონომიით ხდებოდა ასევე მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების შეფასება დონეების მიხედვით. სკოლა განმსაზღვრელი შეფასებისთვის იყენებს წინასწარ გაწერილ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც მორგებულია საგნობრივ სტანდარტს/გრძელვადიან მიზნებ-სამიზნე ცნებებს და საფეხურებრივ შედეგებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები-მტკიცებულებების სახით სკოლას კონკრეტულად არ აქვს წარმოდგენილი განმავითერებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინტრუმენტები/რუბრიკები (ტექნოლოგიებში), რაც არის წარმოდგენილი სკოლის მიერ, ძირითადად, ზოგადი ხასიათისაა, რის საფუძველზეც სწორად ვერ ვიმსჯელებთ საგანში შეფასება როგორ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მაგრამ ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, კომპლექსური დავალებაში ჩაშენებული უნდა იყოს შეფასების კრიტერიუმები, რის საფუძველზე შესაძლებელია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა მომავალში შექმნას კონკრეტული შეფასების რუბრიკები თემებთან მიმართებით, რომელიც მიმართული იქნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მათ ქვეცნებებისკენ. სკოლა გამოთქვამს მზაობას, შექმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების მრავალფეროვანი რუბრიკები, კომპლექსური დავალებების შეფასების პროცესში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
სახელმწიფო ენა -დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებას პედაგოგები ახორციელებენ სიტყვიერი და წერილობითი კომენტარებით. მომავალი სასწავლო წლიდან განმავითარებელი შეფასება მოხდება კომპლექსური დავალებების შესაბამისი რუბრიკების მიხედვით, რომლებსაც დაწყებითი საფეხურის პედაგოგები ერთობლივად შეიმუშავებენ წარმოდგენილი შაბლონის მიხედვით. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, ამჟამად სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები განმავითარებელი შეფასებისას ითვალისწინებენ სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით. სექტემბრამდე გეგმავენ თემების და კომპლექსური დავალებების მიხედვით შეფასების რუბრიკების შექმნას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები; წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა საგანში. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში ძირითადად იყენებენ ზეპირსიტყვიერ შეფასებას, ახლო მომავალში მასწავლებლები გეგმავენ წერილობითი კომენტარების რუბრიკების შემუშავებას. სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშავონ წერიობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც დაეხმარება მათ თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.1.2.5

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლა ჩართულია ,,ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში და აქვთ კომპლექსური დავალებების დანერგვისა და განხორციელების პრაქტიკა.ეს ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმის შემუშავება-დაგეგმვის პროცესში სკოლა ეყრდნობა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებას . ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიუს ორივე დღეს, რომ პერიოდულად ერთმანეთთან თანამშრომლობის (კათედრაზე თანამშრომლობის) გზით აჯამებენ განვლილ გზას, მაგალითად, ერთი თემის/საკითხის ფარგლებში, და შედეგების გაზიარების შემდეგ ცდილობენ შეიმუშაონ გამოკვეთილი ტიპური პრობლემების დაძლევის გზები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები -სკოლის მიერ წარმოდეგნილ დოკუმენტზე დაყრდნობით (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) ასევე, მაგალითისათვის წარმოდგენილი მე-5 კლასის ინგლისური ენის შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოვლენილი ფაქტებზე დაყრდნობით ჩანს ,რომ სასწავლო პროცესისი დაგეგმვისას სკოლა იყენებს წინა წლის შედეგებს. იკრიბება კათედრის სხდომები, სადაც პედაგოგები განიხილავენ განვლილი წლის შედეგებს, გაანალიზებენ და ჩამოაყალიბებენ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, რის შედეგაც დაგეგმავენ კონკრეტულ აქტივობებს შედეგის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობასა და წინარე ცოდნას. შემაჯამებელი დავალებების ანალიზიც ეხმარება მომავალი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლა ასევე გაითვალისწინებს მიღებულ გამოცდილებას ახალი კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს. ასევე დანერგავს განმავითარებელ -განმსაზღვრელი შაფასების ინსტუმენტებს (5 კლასის 2 სემესტრი და 6 კლასი).
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ტექნოლოგიები-გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას გათვალისწინებულ იქნება მოსწავლეთა საჭიროებები. გარდა ამისა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (თვითშეფასების ფორმა) ვკითხულობთ, რომ სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნის სრულყოფილ საგნობრივ კურიკულუმებს ავტორიზაციის საგნობრივ ექსპერტთა დახმარებით და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, კათედრის წევრთა ურთიერთთანამშრომლობით წინა წლის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა --დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შედგენისას სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შედეგებს და მიზნობრივად გეგმავენ სასწავლო პროცესს, ახდენენ განხორციელებული კურიკულუმის მოდიფიცირებას მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობებისა გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა აზრი, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია, წინარე საუკეთესო პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმონ სწავლა/სწავლების პროცესი. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე პერიოდულად განიხილება განხორციებული კომპლექსური დავალების შედეგების ანალიზი. მასწავლებლები უზიარებდნენ საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის წლიურ ანგარიშებს. საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილების გათვლისწინებით ხდება კურიკულუმების რედაქტირდება და დგება ახალი კურიკულუმი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დანართი №85 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
2. დანართი № 155 წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალების მაგალითები.
3. დანართი № 160 შეფასების რუბრიკები
4. დანართი № 15 სკოლის განაცხადი ავტორიზაციაზე თვითშეფასების კითხვარი)
5. დანართი №154 კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტი (პროექტი0

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები. არც შესაბამისი სივრცე და ინვენტარი. ამით ირღვევა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი რაც ხელს უშლის 2.2 კომპონენტის, კურიკულუმის განხორციელების პროცესს

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
2.2.1.1.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე შესრულებული კომპლექსური დავალებები და ინტერვიუ კათედრის ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მათ აქვთ მზაობა მოსწავლე იყოს სწავლის პროცესში აქტიურად ჩართული და ცენტრალური სუბიექტი. ასევე გაცნობიერებული აქვთ თავიანთი როლი სწავლა-სწავლების პროცესში. კერძოდ , შექმნან ორგანიზებული მიზნობრივი გარემო, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიუს პროცესში, მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მათ მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობები, როგორც მიმდინარე (ყოველდღიური) სწავლა - სწავლების პროცესში, ისე სხვადასხვა სასწავლო პროექტის ფარგლებში, უზრუნველყოფს მოსწავლეების, მათი ინტერესების, საჭიროებების გათვალისწინებით ჩართულობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - წარმოდგენილ კურიკულუმებში აღწერილი კომპლექსური დავალებების შინაარსზე, მიზნებსა და მითითებულ განსახორციელებელ აქტივობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას ,რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას. გარდა ამისა, სკოლას წარმოდგენილი აქვს რუსული ენის მასწავლებლის ორგანიზებით განხორციელებული სოციალური პროექტი ,, მეგობრობა გზად და ხიდად“, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც დაწყებითი, ასევე საბაზო საფეხურის მოსწავლეები. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ცდილობენ დაწყებითი კლასების სხვა პედაგოგებთან ერთად საერთო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას და ამ მხრივადაც ცდილობენ მოსწვლეთა მოტივირებისა და ჩართვას მათივე შესაძლებლობებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა შემოქმედებით-საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად. პედაგოგების მიერ შეთავაზებული მეთოდებისა და მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
ტექნოლოგიები-საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა მოთხოვნებიც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, მის შემოქმედებით მუშაობას (მაგ: თამაშის, კოლაჟის, პრეენტაციის და ა.შ. შექმნა). ტექნოლოგიების კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეის დონეზე. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, სადაც მოსწავლე აქტიურად იქნება ჩართული პროცესში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
სახელმწიფო ენა -საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი სასწავლო მასალა, საკითხები, რესურსები ორიენტირებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ინტერესებზე. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალებებისა და პროექტების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (მაგ. კომიქსის შექმნა, აბრის დამზადება, ამბის შეთხზვა, ზღაპრის შექნა, პოსტერის დამზადება და ა.შ.), რაც ზრდის შინაგან მოტივაციას, იძლევა თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის საშუალებას და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
მათემატიკა -მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა/სწავლების პროცესში გამოყენებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. მოსწავლეები ეუფლებიან სწავლის სწავლას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია პრაქტიკული - მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, სახალისო თამაშები სპორტის სხვადასხვა გუნდური სახეობის (კალათბურთის/ფეხბურთის/ხელბურთის) ელემენტების გამოყენებით, ძალისმიერი ვარჯიშები, ლაშქრობა და თეორიული (ჯანსაღი ცხოვრების წესი, სწორი კვება, უსაფრთხოება, მავნე ჩვევები, ჰიგიენა) შინაარსის თემები, რომლებიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.2.1.2.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან წარმოადგენს დასტურს იმისას, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, როცა ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. ასევე კურიკულუმში

თემაში არსებული საკითხები და ქვესაკითხები ლოგიკურ კავშირს ქმნიან, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მოხდეს ცოდნის კონსტრუირება ნაცნობ, არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები -- სკოლას აქვს კომპლექსური დავალებების, როგორც შუალედური სასწავლო მიზნების, მიღწევის გზის, გამოყენების გამოცდილება, ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ კომპლექსური დავლების განხორციელების თითოეული ეტაპი და ნაბიჯი ეფუძნება წინარე ცოდნაზე ახლის დაფუძნებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
უცხოური ენები - -საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი მასალა ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება კონსტრუქტივისტული მიდგომით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ, რომ ახალი ცოდნის აგება მოხდეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
ესთეტიკური აღზრდა -პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. პროცესი მიმდინარეობს პრინციპით მარტივიდან რთულისკენ. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. გასაუბრებისას ამის მამტკიცებელ დოკუმენტად პედაგოგებმა წარმოაჩინეს მატერიალურად შექმნილი სხვადასხვა რესურსი და ფოტომასალა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
ტექნოლოგიები-წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კომპლექსურმა დავალებამ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება უნდა უზრუნველყოს, რისთვისაც მნიშვნელოვანია მისი პირობის ადაპტირება მოსწავლეების ინტერესებთან და შესაძლებლობებთან.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
სახელმწიფო ენა -საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემა , როგორც ნაცნობი კონტექსტი, ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესში ხდება მისი მოდიფიცირება . შერჩეული კომპლექსური დავალებები ასევე ითვალისწინებს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს და იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
მათემატიკა -პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებლები ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკს, წინარე ცოდნას, ინტერესებს და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ფიზიკური დატვირთვის მიცემის დროს, მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს. კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის პროცესის დროს ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და დასახული მიზნების მიღწევას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
2.2.1.3.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოები გარკვეულ ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება მომავალში მოსწავლეებში სწავლა-სწავლის კომპენტენციის განვითარება,მაგრამ ამავე საფეხურზე წლის განმავლობაში განხორციელებული კომპლექსური დავალებები იძლეოდა როგორც თანამშრომლობითი სწავლების საშუალებას, პროცესში აქტიურ ჩართვას, ასევე - მოსწავლეებში შესრულებული დავალების ანალიზის უნარის განვითარებას: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გათავისებული აქვთ, სწავლის სწავლის მნიშვნელობა თითოეული მოსწავლისთვის, რაც გულისხმობს სწავლის სხვადასხვა მეთოდის, ტექნიკის ცოდნასა და და იმის გააზრებას, თუ რომელი იქნება ყველაზე ეფექტიანი მოსწავლისთვის სხვადასხვა ფორმატის დავალების შესასრულებლად. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, ისინი სხვადასხვა ფორმის წერით დავალებას, კომბინირებულ სავარჯიშოებს და აქტივობებს სთავაზობენ მოსწავლეებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
უცხოური ენები - ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა -სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. ინგლისურ და რუსული ენის კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური გამოცდილების, ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, ასევე იმაზე, რომ სკოლა სამომავლოდ ასევე დანერგავს დიფერენცირებული სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს .
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ტექნოლოგიები-კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები და პირისპირ ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე და ისეთ აქტივობებზე, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს დაკვირვებას, ვარაუდის გამოთქმას, დასკვნის გაკეთებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზებს. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მოსწავლეებს სწავლებისას ხშირად უსვამენ კითხვებს: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ მოუტანა წარმატება, რამ შეუშალა ხელი, რა შეიძლებოდა შეეცვალა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. ეს ეხმარება მოსწავლეს, რომ სწავლის სწავლაზე გააკეთოს აქცენტი. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა რომ სწავლების პროცესში აქცენტი გააკეთოს სწავლის სწავლაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი , დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; ამგვარად, პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში ხელს უწყობენ მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
მათემატიკა -კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, რასაც ხელს უწყობს თვითშეფასების ბარათები, რეფლექსიური ტიპის შეკითხვები პრეზენტაციის დროს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს (მოძრავი თამაშები, სასკოლო ფესტივალები). სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
2.2.1.4.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან დასტურია იმისა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასაც მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და სამოქმედო გეგმები ადასტურებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები - მასწავლებლებმა, ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ დამუშავებული დავალებები სხვადასხვა უნარის გააქტიურებაზეა ორიენტირებული, და ფაქტობრივი - დეკლარატიული ცოდნის ფლობის ხარისხის შემოწმების გარდა მიზნად ისახავს პროცედურული და პირობისეული ცოდნების ფლობის ხარისხის შემოწმებას, რაც აქვთ ასახული შეფასების რუბრიკებში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
უცხოური ენები - კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
ესთეტიკური აღზრდა -პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს მოსწავლე სწავლობს ფაქტობრივ მასალას, იყენებს ნასწავლ მასალას ახალი პროდუქტის შექმნის პროცესში და ახდენს განზოგადებას და *ახდენს* ნასწავლი მასალის სხვადასხვა ტიპის ტრანსფერს. ამაზე მეტყველებს ორივე საგანში (ხელოვნება/მუსიკა) შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ტექნოლოგიები- წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ , რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ასევე სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და სხვ ადოკუმენტაციიდან ვკითხულობთ, რომ სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება, რომელიც ავითარებს მოსწავლეთა მრავალმხრივ უნარებს და ხელს უწყობს მიღებული ცოდნის ტრანსფერს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
სახელმწიფო ენა - პედაგოგების მიერ დაგეგმილი კურიკულუმი ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიას. სასწავლო პროცესში მოსწავლეებს უწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, ინფორმაციის მოძიება, ლიტერატურული მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება, რომელიც ავითარებს მოსწავლეთა მრავალმხრივ უნარებს და ხელს უწყობს პირობისეული ცოდნის გააქტიურებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა პედაგოგებთან საუბრისას და რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
სპორტი -წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებან სასკოლო ფესტივალებში, შეჯიბრებებში, პროექტულ დავალებებში. ამაზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აგებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
2.2.1.5.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, პედაგოგთა მზაობა იძლევა დასტურს, რომ მომავალში დაიგეგმება ისეთი აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში პირობისეული ცოდნის მიღებასა და პრობლემის გადაჭრის და სხვა კომპონენტური უნარის გამომუშავებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები - ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირის მიმართულებით, მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიუს პროცესში ის ინტეგრირებული პროექტები და აქტივობები, რომლებსაც კათედრის წევრი მასწავლებლები ერთობლივად ახორციელებდნენ.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლები შეეცდებიან ხელი შეუწყონ მოსწავლეებში ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება ,გადამუშავება, გამოყენება და შემოქმედებით პრაოდუქტში ასახვა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა ახერხებს სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლები შეეცდებიან ხელი შეუწყონ მოსწავლეებში ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება ,გადამუშავება,გამოყენება და შემოქმედებით პრაოდუქტში ასახვა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ტექნოლოგიები-კურიკულუმზე და კომპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ახდენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სკოლაში ხორციელდება სასკოლო , სასწავლო პროექტები და ინტეგრირებული გაკვეთილები. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ტექნოლოგიების კურიკულუმებში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ აქვთ მზაობა კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეუწყონ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა -შერჩეული კომპლექსური დავალებები ეხმარება მასწავლებელს, შესაბამის სასწავლო რესურსზე დაყრდნობით, ხელი შეუწყოს მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კომპლექსური დავალების სახით მოსწავლე ქმნის მიზნობრივ მთლიანობას, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულად წარმოაჩენს საგნობრივ ცოდნას. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების გარეშე და ფასილიტაციას უწევენ მოსწავლეებს ამ პროცესში. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მოსწავლეებში იზრდება გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა ცოდნის გააქტიურობასა და პრაქტიკაში გამოყენებაზე. ასევე, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალებების მაგალითებში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი № 85 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
2. დანართი № 105 პროექტი ,,მეგობრობა გზად და ხიდად“
3. დანართი № 154 კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (პროექტი)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.2.1.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, იქ, სადაც კომპლექსური დავალების იდეას განსაზღვრავს, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ქვეცნებები. გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს(რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით, კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-სკოლის კურიკულუმში ასახული სწავლა - სწავლების პროცესი, თითოეულ თემაში, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების მიღწევის მიზნით, ასევე ინტერვიუს პროცესში კითხვებზე: როგორ ახერხებთ თითოეულ საგანში, საგნობრივი

სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, თითოეულ თემაში, საფეხურისთვის განსაზღვრული სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების სიღრმისეულ დამუშავებას, პასუხები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ კათედრაზე მასწავლებლებს აქვთ მზაობა, წარმართონ სასწავლო პროცესი ისე, რომ ყოველდღიური სწავლა - სწავლების პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-წარმოდგენილი კურიკულუმებში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა დაგეგმილია კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების ანალიზის საფუძველზე მკაფიოდ იკვეთება, რომ სკოლა ითვალიწინებს სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ თემეზე/ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი არის დაგეგმილი ისე, მოსწავლეები იაზრებენ საგნობრივ სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს, თემებსა და საკითხებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - წარმოდგენილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, პირისპირ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული კურიკულუმი არის სამუშაო ფორმატში და ახალი სასწავლო წლისთვის დეტალურად გაწერენ როგორც სამიზნე ცნებებს, ასევე ქვეცნებებს და კომპლექსურ დავალებებს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა-დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, შერჩეული კომპლესური დავალებები კი, როგორც შუალედური მიზნები, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნება, რომელსაც მიემართება შერჩეული კომპლექსური დავალება , წარმოდგენილია ქვეცნებათა და ქვესაკითხთა იერარქია, რომელთა ურთიერთდაკავშირებულად შესწავლის საფუძველზე მოსწავლე ქმნის მიზნობრივ მთლიანობას საბოლოო პროდუქტის სახით. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ კომპლექსური დავალების კრიტერიუმები იძლევა განზოგადებისა და სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გათავისების საშუალებას, 2023-2024 წლისთვის ყველა კლასისთვის მოამზადებენ დანართების სახით კომპლექსური დავალების სრულყოფილ პირობებს შეფასების კრიტერიუმებითა და რუბრიკებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა -დაწყებითი საფხურის მათემატიკის კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -კომპლექსურ დავალებებში ჩანს და, ასევე, ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ფიზიკური არზრდის კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.2.2
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სკოლის მიერ წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების კურიკულუმები, ემსახურება მოსწავლის პიროვნულ, კოგნიტურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასწავლო პროცესის სწორად წარმართვის მიზნით პედაგოგებმა მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით ერთობლივად დაგეგმეს და შემდგომში განახორციელეს სასწავლო პროცესი. ინტერვიურების პროცესში აღინიშნა, რომ პედაგოგები მუდმივად ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. განხორციელებული აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ამოიცნონ საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. მასწავლებლებმა შეხვედრის დროს წარმოადგინეს პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტები
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები--მოსწავლეების პიროვნული და ფსიქო - სოციალური განვითარების მხარდაჭერაზე ორიენტირებულია ის სასწავლო რესურსები და საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც არის ასახული კურიკულუმში. აქვე აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა მათ შორის თანამშრომლობის მაღალი ხარისხი, რაც იმით მტკიცდება რომ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა იცოდნენ და აკეთებდნენ უკუკავშირს ერთმანეთის მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და სასწავლო პროექტებზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
უცხოური ენები-სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ფიქსირდება სკოლის მიერ განხორციელებული სოციალური პროექტი ,, მეგობრობა გზად და ხიდად“. აღნიშნულ პროექტში ჩართული იყო სამივე საფეხურის მოსწავლეები და სხავდასხვა საგნის პედაგოგები. პროექტს ხელმძღვანელლობდა რუსული ენის პედაგოგი. პროექტის შესახებ საუბრისას პროექტის ავტორი აფიქსირებს მოსწავლეების ფსიქო- სოციალური განვითარების მნიშვნელობასა და აუცილებლობას. პედაგოგების თქმით, პროექტმა დადებითად იმოქმედა, დადებითი გავლენა იქონია მოსწავლეთა სოციო-ემოციურ და ზოგადი უნარების განვითარებაზე. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, რომ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
ესთეტიკური მეცნიერებები -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ მომავალში საგნობრივი კონტექსტები იმგვარად იქნება შერჩეული, რომ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გათვალისწინებულია მოსწავლეთა

ინტერესები საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებში უნდა აღწერონ დავალებების განხორციელებისას წამოჭრილი სირთულეები , საკუთარი დამოკიდებულებები საკითხის მიმართ , ემოციები და გრძნობები , რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას უწყობს ხელს. გამოყენებული მიდგომები და მეთოდები კი მსწავლელთა ყველა ტიპს დააკმაყოფილებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარების მნიშვნელობას. შესაბამისად, მისი თითოეული აქტივობა მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე. სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა რესურსებს, აპლიკაციებს, პროგრამებს, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე მორგებული თანასწორუფლებიანი გარემო. სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებლები და ასისტენტი. სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება რომელიც ხელს უწყობს სოციალური უნარების განვითარებას (მიმღებლობა,იდენტობა, თანაგანცდა) ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა -შემუშავებული კურიკულუმი მოიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის საჭირო ასპექტებს. კომპლექსური დავალებები კონტექსტ-მაგალითები, ძირითადი და დამხმარე რესურსები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა, ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში, ლიტერატურული მასალა დაუკავშიროს საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, იმსჯელოს, გადმოსცეს საკუთარი დამოკიდებულება, შეძლოს გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა, კომპლექსური დავალებების შესასრულებლად საჭირო აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას, რაც სწავლა-სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი პრონციპია. სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება, რომელიც ასევე ემსახურება პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმში დაამატებენ კომპლექსურ დავალებებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გაკვეთილებზე ხდება ბავშვების მიერ სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივად განვითარება, პიროვნულად და ფსიქო-სოციალურად ჩამოყალიბება. გასაუბრებაზე გამოჩნდა, რომ სკოლის მოსწავლეები ხშირად წარმატებას აღწევენ სპორტულ ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, სასკოლო შეჯიბრებებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.2.3.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს შეფასება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გაგვიზიარეს, რომ დაწყებით საფეხურზე შექმნილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მოსწავლეების ცოდნის დონეს და განვითარების გზას განსაზღვრავს. დაწყებით საფეხურზე არსებული კურიკულუმით წარმართული სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-შეფასების სისტემის მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე ორიენტირებულობასთან დაკავშირებით, აღვნიშნავ, რომ მასწავლებლების მიერ მათ შორის ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რომ მათ სრულად აქვთ გაზიარებული, თუ რატომ არის საჭირო მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა და მათ შორის შეფასების რუბრიკებში ამის ასახვა, მაგრამ თავადაც აღნიშნეს რომ ამ მიმართულებით ისინი განაგრძობენ ერთობლივ მუშაობას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად მასალებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები , გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. ამ ეტაპისათვის პედაგოგები არსებული რუბრიკებით მოსწავლეებს უკუკავშირს უბრუნებენ ზეპირსიტყვიერად. თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ მოსწაველთა საჭიროებებზე მორგებული წერილობითი ფორმის შემუშავებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს შეფასების სისტემის მნიშვნელობა. მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებელი აფასებს მოსწავლის არა მხოლოდ აკადემიურ შედეგებს, არამედ უნარებს, დამოკიდებულებებს და გამჭოლ კომპეტენციებს. შეფასების რუბრიკები, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ვალიდურია. მასწავლებლები ამ ეტაპზე ინტენსიურად ნერგავენ განმავითარებელ შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებასთან მიმართებით. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სამომავლოდ აწარმოონ მოსწავლეთა დაკვირვება. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - პირისპირ გასაუბრების დროს იკვეთება, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა შეფასებას, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი ფორმით. სამომავლოდ იგეგმება შეფასების ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სწავლა-სწავლების პროცესში სამომავლოდ (დიფერენცირებული მიდგომების დახვეწის თვლსაზრისით) სკოლა განახორციელებს მოსწავლეთა დიაგნოსტირებას. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა -

დაწყებით კლასებში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. განმავითარებელი შეფასება ყოველდღიური საგაკვეთილო პროცესის შემადგენელი ნაწილია (გამოიყენება ზეპირი და წერილობითი უკუკავშირი,. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასება ითვალისწინებს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ - სწავლის პროცესსაც, ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი; ამავე დროს შერჩეული საკითხები და კომპლექსური დავალებები შეიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარების აქტუალურ ასპექტებს , ხელს უწყობს მრავალმხრივი უნარების განვითარებას . შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმების შინაარსი მოიაზრებს

მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებას გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
მათემატიკა - ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეების ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. ასევე იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
სპორტი -სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფსების სისტემა უზრუნველყოგს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. შეფასების რუბრიკების მაგალიათები (როგორც ზეპირსიტყვიერი, ასევე წერილობითი კომენტარების სახით) ეხმარება მასწავლებლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დონის განსაზღვრაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.2.4.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან, შეფასების სანდოობის გასაზრდელად, კათედრა გეგმავს ახალი შეფასების ინსტრუმენტების დანერგვას. სკოლას აქვს მოქმედი შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების ანალიზის გარკვეული გამოცდილება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად აწარმოებენ მუშაობას შეფასების სისტემის სანდოობის გასაზრდელად თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
საზოგადოებრივი მეცნიერებები-შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის, სამართლიანობის მიმართულებით აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანია თითოეული შეფასების რუბრიკაში (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) ნათლად ჩანდეს თითოეული მათგანი. ამ ეტაპისთვის ცხადია, რომ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა როდესაც აღწერეს, თუ როგორ ამზადებენ და იყენებენ შეფასების რუბრიკებს და როგორ აწვდიან მოსწავლეებს მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მოსწავლეთა დავალებების და აქტივობების შეფასებებს, გამოჩნდა, რომ გააზრებული აქვთ შეფასების სისტემის დახვეწის საჭიროება იმგვარად, რომ თითოეული მოსწავლისთვის, მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის ცხადი გახდეს, რომ გამოყენებული შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
უცხოური ენები-შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით დაწყებითი კლასების მშობლებთა კრებებზე წინასწარ აცნობებს მისაღწევ მიზნებს და იმ ზოგად კირტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც ზეპირსიტვყიერად ფასდება მოსწავლის შედეგები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა გეგმავს, მოსწავლეთა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან, თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძელზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და ასევე გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლის შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასწავლო პროცესში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. სკოლა სარგებლობს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელით და არ იგეგმება მისი შეცვლა სამომავლოდ, თუმცა სკოლას არ აქვს დიაგნოსტირების გამოცდილება ამიტომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი აქვს გამოიყენოს პირველი ინსტრუმენტი. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების სისტემა სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. მისი მთავარი ფუნქციაა ობიექტურობის დაცვა,. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმილია შეფასების მხრივ დოკუმენტაციის დახვეწა და სრულყოფა. მასწავლებლები 2023-2024 წლისთვის ერთობლივად შეიმუშავებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კათედრაზე შერჩეულ კომპლექსურ დავალებებთან მიმართებაში. რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას და ობიექტურობას. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი ნამუშევრები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი (V კლასის მე-2 სემესტრიდან და VI კლასში) შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის შედეგების დიაგნოსტირების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს და ზეპირსიტყვიერი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც არის ვალიდური და სანდო. რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აღიარებს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის მნიშვნელობას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.2.5.

სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი. თუმცა შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი, აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შეუსაბამისი.

2.2.2.6.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრის წევრებთნ გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მოსწავლეთა მიღწევებისა და ტიპური პრობლემების აღნიშვნას მასწავლებლები უზრუნველყოფენ პირადი ჩანაწერების სახით, რაც შეეხება განმავითარებელ კომენტარებს, მასწავლებლები მეტწილად სიტყვიერად აწვდიან მოსწავლეებს, საჭიროების შემთხვევაში მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. მასწავლებლები ყოველდღიურ რეჟიმში იყენებენ ელექტრონულ ჟურნალებს მოსწავლეთა შედეგების აღრიცხვისთვის. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი პერიოდულად უზიარებენ ერთმანეთს მოსწავლეთა შედეგებს, ასევე იყენებენ კრიტიკული მეგობრის, ურთიერთდასწრების და ინტეგრირებული ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობებს, რომ აქტიურად დააკვირდნენ მოსწავლეთა განვითარების პროცესს და ერთობლივად დაგეგმონ მათ აკადემიურ და პიროვნულ მხარდაჭერა - განვითარებაზე ორიენტირებული ინტერვენციები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, რომ თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს : სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები. პედაგოგებთან გასაუბრებისას დაფიქსირდა, რომ სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება. მოსწავლეთა მონაცემები ინახება მოსწავლის პირად საქმეებში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ესთეტიკის კათედრა სამომავლოდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პირადი საქმეების, კლასის,საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის, სასკოლო კურუკულუმების შენახვას სკოლის კანცელარიაში კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების დაცვით, როგორც ელექტრონულად ასევე მატერიალური ფორმით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვა და შენახვა ხდება არანაკლებ სამი წლის ვადით. (მტკიც. სკოლის თვითშეფასების ფორმა)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - დაწყებით საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პირადი საქმეების, კლასის, საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის, სასკოლო კურუკულუმების შენახვას კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების დაცვით, როგორც ელექტრონულად ასევე მატერიალური ფორმით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვა და შენახვა ხდება არანაკლებ სამი წლის ვადით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებისა და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შესაბამისად, უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
სპორტი -სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შესაბამისი ვადით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. დანართი №85 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები,
2. დანართი №28 სასკოლო სასწავლო გეგმა,
3. დანართი № 70 სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სამუშაო გეგმა,
4. დანართი № 155 სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.
5. დანართი № 16 სკოლის თვითშეფასების ფორმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
2.2.3.1
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-კათედრის წევრებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და ერთმანეთის დახმარებაზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრ მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, თუ როგორ ახერხებდნენ სწავლა - სწავლების პროცესში მოსწავლეებისთვის, მათი ინტერესების, საჭიროებების მიხედვით, მათ აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული და მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე, ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას, ისაუბრეს იმ გამოწვევებზე, რომლებიც აქვთ და აჩვენეს მზაობა მათი ერთობლივად დაძლევის და ეფექტიანი ინტერვენციების შემუშავების, თანამშრომლობისა და შემდგომი მუშაობის გაგრძელების მიზნით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმებით. უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია(პედაგოგთა ურთიერთდასწრება, გაკვეთილის რეფლექსია, შემაჯამებელი ოქმი) მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს , რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. უცხოური ენების კათედრის ყველა მასწავლებელი ზრუნავს თანამშრომლობის განვითარებაზე როგორც ერთმანეთთან, ასევე- მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. ღიაობა და მიმღებლობა და წახალისება, როგორც მასწავლებლების, ასევე, მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ. კათედრის ორგანიზებით ხორციელდება სასკოლო პრეოქტები,რომელშიც ჩართული არიან როგორც სხვადასხვა საგნისა და საფეხურების პედაგოგები, ასევე - მოსწავლეები და მათი მშობლები. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -*პედაგოგებთან გასაუბრებისას და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და კეთილგანწყობილი გარემო. სკოლაში არის დაცული ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას,რაც გასაუბრებაზეც თვალჩისაცემი იყო. ბუნებრივია მოსწავლეებს ასეთ გარემოში თამამად შეუძლიათ ნებისმიერი მათთვის ძნელად აღსაქმელი თუ გაუგებარი საკითხის გასარკვევად მიმართოს ნებისმიერ მასწავლებელს და მიიღონ შესაბამისი დახმარება . იკვეთება პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.*

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - მხარდამჭერით და მიმღებლობით გარემოს უზრუნველსაყოფად სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. ყველა მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ არის შეზღუდული, არ ეშინია შეცდომების, აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მასწავლებელი მუდმივად აძლევს პოზტიურ უკუკავშირს. მოსწავლეები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, პატივს სცემენ ერთმანეთის აზრს .სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა -სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეზეა ორიენტირებული, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის. სასკოლო ცხოვრება მიმდინარეობს თანამშორმლობით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - .პედაგოგებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან. ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და საკითხის

ერთობლივად გადაწყვეტა. იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და ინტერესებს, რითაც ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
სპორტი -სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.3.2.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგები ორიენტირებული არიან თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე, წარმატებასა და პროგრესზე, რაც დიფერენცირებული სასწავლო პროცესით მიიღწევა. ქმნიან ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის, წინასწარ განსაზღვრავენ მოსწავლის განვითარებაზე მორგებულ სასწავლო რესურსებს, რაც ეხმარება მათ სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე დაყრდნობით საჭირო შემთხვევაში ცვლილებებს ასახავენ ჩარჩო კურიკულუმში
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
საზოგადოებრივი მეცნიერებები-ის მასალა (კურიკულუმი, შეფასების რუბრიკები, სასწავლო პროექტები) რომელიც სკოლამ წარმოადგინა, ასევე მასწავლებლები ინტერვიურიების პროცესში, რომლებიც ჰყვებოდნენ, თუ როგორ ახერხებდნენ მაქსიმალურად თითოეული მოსწავლის საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით და მათ პიროვნულ და აკადემიურ ზრდაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წაარმართვას, იძლევა იმის საშუალებას, აღვნიშნო რომ სკოლა წარმართავს სასწავლო პროცესს მოსწავლეზე ორიენტირებულად და ასევე მზად არის განაგრძოს მუშაობა ამ მიმართულებით.ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, მოსწავლის ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი შეფასების რუბრიკები ადასტურებს იმას, რომ პედაგოგები ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიის შეთავაზება,უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესით რეგულირდება მოსწავლის წახალისების წესი : 1. დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის, ეროვნულ ან / და საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილეობისათვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სანიმუშო სწავლისათვის ან სხვა გარემოების არსებობისას დირექტორის გადაწყვეტილებით სკოლა უფლებამოსილია მოსწავლეთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.

2. მოსწავლის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

3. წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით და ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პირადი საუბრით ჩანს, რომ ამ ეტაპზე სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ამას ადასტურებს პირადი გასაუბრება პედაგოგებთან, მასწავლებლები ახერხებენ მოსწავლეებზე დაკვირვების განხორციელებას ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცესში, იქნება ის ფოკუსირებული დაკვირვება თუ სხვა. სკოლა გეგმავს ამ მიმარულებით სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე სრულად ორიენტირებულად.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
ტექნოლოგიები - სწავლების დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებები კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლის არამარტო საგნობრივი ცოდნით აღჭურვაზე, არამედ 21-ე საუკუნის უნარჩვევების განვითარებაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
სახელმწიფო ენა - -გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილი კურიკულუმი ორიენტირებულია არამარტო საგნობრივი ცოდნით მოსწავლის აღჭურვაზე, არამედ 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დიფერენცირებულ მიდგომას იმისათვის ,რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს სრულყოფილად ჩართვა სასწავლო პროცესში. პედაგოგები კურიკულუმის დაგეგმვისას და განხორციელებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და საჭიროებებს, იცნობენ და სასწავლო პროცესში ნერგავენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რომლების მოსწავლეზეა ორიენტირებული
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სკოლა მომავლისთვის გეგმავს, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ინკლუზიური მიდგომაც.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.3.3
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის კულტურა. ურთიერთდასწრებით და კათედრის სხდომებზე განხილვებით ხორციელდება გამოცდილების გაზიარება. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმი, შეფასების რუბრიკები შექმნილია მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრაზე, მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში, როდესაც ისინი საუბრობდნენ არა მხოლოდ საკუთარ არამედ ერთმანეთის სასწავლო პროექტებსა და წარმართულ სწავლა - სწავლების პროცესზე, დავინახე რომ ისინნი იცნობენ ერთმანეთის პრაქტიკას, ავლენენ მხარდაჭერას ერთმანეთის მიმართ, უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს და მზად არიან ერთად იშრომონ განვითარებისთვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
უცხოური ენები-სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს დაწყებითი საფეხურზე უცხო ენის, როგორც ინგლისური ენის ასვე რუსული ენის მასწავლებლების ურთიერთანამშრომლობასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ, რომ კოორდინირებული მუშაობა აქვთ სხვა კათედრებთან. თითოეული სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს და აფასებს პროცესებს, განსხვავებულია მათი გადაჭრის გზებიც, რაც ეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.სკოლაში დანერგილია ე.წ. ,,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. მაგალითისათვის წარმოდგენილია კათედრის სამუშაო შეხვედრა N 4 (5.04.2023) ,შეხვედრის მიზანი იყო პედაგოგის მიერ ტრენინგზე მიღებული გამოცდილების და სიახლეების გაზიარება კოლეგებისათვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
ესთეტიკური აღზრდა -ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ,სასწავლო პროცესში არის თანამშრომლობით კულტურა. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კოლეგები ყოველდღიურ შეხვედრებზე, კათედრის სხომებზე, არაფორმალურ შეხვედრებზე უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის შეხედულებებს, ხდება მოსწავლეებთან აქტიური კომუნიკაცია, პედაგოგთა შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. გასაუბრების პროცესში ნათლად ჩანს თანამშრომლობითი კულტურა და ურთიერთ დახმარება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
ტექნოლოგიები - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, მოსწავლე,მასწავლებელი, მშობელი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ გარემოში, ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - დაწყებით საფეხურზე კათედრის წევრები მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ გამოცდილებას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. ჩანს, რომ ეფექტური კომუნიკაციაა დამყარებული მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პოზიტიურ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერაქციას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - ინტერვიუდან ირკვევა, სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქვთ თანამშრომლობითი გარემო. სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ხდება გამოცდილების გაზიარება, უკუკავშირი, მსჯელობა არსებულ პრობლემებსა თუ მიღწევებზე, გასაუმჯობესებელ მხარეებზე, აღნიშნულის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს და კოორდინირებულად მუშაობენ.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.3.4.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლები თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით მიიღწევა. ინტერვიურებისა და სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ნდობასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-ინტერვიუს პროცესში გამოჩნდა, რომ მასწავლებლებს გათავისებული აქვთ რაოდენ მნიშვნელოვანია პოზიტიური კლიმატის არსებობა როგორც სკოლის, ისე კლასის დონეზე და მზად არიან ამაში მზარდი წვლილი შეიტანონ.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა,ნდობა,აღიარება,მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ მთლიანი სასკოლო საზოგადოების. დაწყებითი საფეხურის, ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -სასწავლო პროცესში შექმნილია ღია, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ინტერვიურებისას გამოიკვეთა ,რომ სკოლას აქვს მზაობა იმისა ერთამანეთს გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და გასცენ პოზიტიური უკუკავშირი.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან , ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა --სკოლა ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, დაწყებითი საფეხურის პედაგოგები უზურნველყოფენ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებასა და თვითგამოხატვას. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი მოტივაციით, ხალისით ერთვებიან სასკოლო პროექტებში, ავლენენ შემოქმედებით უნარებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო; უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი №85 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი,
2. დანართი № 10 სკოლის შინაგანაწესი.
3. დანართი №154 კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (პროექტი).
4. დანართი №15 სკოლის განაცხადი ავტორიზაციაზე
5. დანართი № 16 სკოლის თვითშეფასება

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ კათედრაზე აქვთ კურიკულუმის რევიზიის გამოცდილება, ასევე გამოთქვეს მზაობა რომ მომავალ სასწავლო წელსაც მასწავლებლები მოახდენენ კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ აქტიურად ჩაერთვებიან მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში. ვინაიდან სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. **თუმცა შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი, აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მეთოდოლოგიის მიხედვით, რომლის შესაბამისადაც სკოლა ახდენს მონიტორინგის და შეფასების პროცესს და ასევე ინტერვიუირების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ მზაობა, განაგრძონ მუშაობა შესაბამისი მექანიზმის დახვეწის მიმართულებით. ამჟამად კი ისინი ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ უკვე არსებული გამოცდილება, პერიოდულად კი სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შეფასების მიზნით იყენებენ ურთიერთდასწრებას, კათედრაზე შედეგების განხილვას, თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას

შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები-სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გათვალისწინებულია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია უცხოე ენის კათედრის ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრის წევრები, მათ ასევე აღნიშნეს, რომ ინტენსიურად ითანამშრომლებენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. მიაწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. ამის შედეგად გაკეთდება ანალიზი და შეფასება, რის შედეგადაც მოხდება კურუკულუმების განახლება.

შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -სკოლაში იწარმოება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულად სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა საგანში და საფეხურზე განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ეს მეთოდებია: ურთიერთდასწრება, დასწრების ფურცელი კათედრაზე და რეფლექსია, დირექციის მიერ დასწრება, უკუკავშირების ფორმები - ზეპირი რეკომენდაციები. ასევე მასწავლებელთა სწავლების ხარისხზე დაკვირვება და ამ ხარისხის გაუჯობესების რეკომენდაციების გაცემა, საჭიროებებიდან გამომდინარე კონკრეტული აქტივობების დაგეგვმა/განხორციელება და ჩართვა.

შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ტექნოლოგიები - სკოლის დაწყებით საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კათედრაზე მასწავლებელთა უკუკავშირით, , ავტორიზაციის სტანდარტმა მოითხოვა კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიის შემუშავება, რაც ამ ეტაპზე სკოლას აქვს მხოლოდ პროექტის სახით, გეგმავს განახორციელოს 2023-2024 სასწავლო წელს.

შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა - სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. დაწყებით საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კათედრაზე მასწავლებელთა უკუკავშირით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის კათედრა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შეიმუშავებს მექანიზმს ან შეარჩევს დამატებით ინსტრუმენტებს სარეკომენდაციო მასალებიდან, რომლის საშუალებითაც მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; ამჟამად დაწყებით საფეურზე მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებისთვის შერჩეულია სამდონიანი რუბრიკა (მე-9 ინსტრუმენტი) .

შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა - მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები გამოხატავენ მზაობას დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფისა და კათედრის მასწავლებლების მიერ მოხდება მონაცემების დამუშავება.

შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს და ინტერვიურების დროსაც გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, საგნობრივ კათედრებზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. მიმდინარეობს კათედრების ურთიერთთანამშრომლობა, დასწრება საგაკვეთილო პროცესზე, აზრის გაზიარება. მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში იგეგმება მონიტორინგის და შეფასების მექანიზის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისადმი მისადაგება და განსაზრვრული ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება.

შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.3.1.2

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით მასწავლებლებს აქვთ კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება. კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებს. ერთობლივად სახავენ შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიებს ეს პროცესები აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. ასევე გამოიკვეთა მზაობა მასწავლებლების მხრიდან რომ მოახდენენ ამ პროცესების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, მასწავლებლები იყენებენ ინსტრუმენტებს: ურთიერთდასწრებას, თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, კათედრაზე შედეგების განხილვას, კურიკულუმის მიხედვით წარმართული სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, მიმართულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისკენ, აღნიშნული გამოიკვეთა ინტერვიუს პროცესში, სადაც მასწავლებლები საუბრობდნენ, თუ როგორ და რა მიზნით იყენებენ ზ.ა. ინსტრუმენტებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-,,კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიაში“(პროექტში) იკვეთება,რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება შემდეგი მიართულებებით : 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; -2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); -3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). სკოლის თვითშეფასების დოკუმეტნის მიხედდვით, პირველი სვირის საჯარო სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას დაწყებით საფეხურზე,რომელშიც გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა იქნება სასკოლო საზოგადოების მხარდამჭერი მექანიზმი წინსვლისა და განვითარებისათვის. გასაუბრებაზე მასწავლებლების მხრიდან აღინიშნა , რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, მოსწავლეების ინტერესებს და ცვლილებები რომლებიც შევა საგნობრივ კურიკულუმებში უპირობოდ მიმართული იქნება სასკლო საზოგადოების წევრების, მოსწავლეების მხარდაჭერსა და დახმარებაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
ესთეტიკური აღზრდა -.სამომავლოდ სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს გაცნობიერებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მათთვის მხოლოდ კონსტრუქციული უკუკავშირის სახით რეკომენდაციების შემუშავებას და დახმარებას საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
ტექნოლოგიები - სკოლაში მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას . გასაუბრებიდან და სკოლის თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს მონიტორინგს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა იქნება სასკოლო საზოგადოების მხარდამჭერი მექანიზმი წინსვლისა და განვითარებისათვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. 2023-2024 სასწავლო წლისათვის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა იქნება სასკოლო საზოგადოების მხარდამჭერი მექანიზმი წინსვლისა და განვითარებისათვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - . მასწავლებლებთან პირისპირ საუბარში გაირკვა, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სკოლის გუნდი გამოცდილების საფუძველზე გააუმჯობესებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეაფასებენ და დაადგენენ მოსწავლეთა იმ უნარებს, სადაც მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა და ამის გათვალისწინებით დაგეგმავენ სწავლის შემდგომ პროცესს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ მასწავლებლები საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად ესწრებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს და აძლევენ ერთმანეთს განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.3.1.3.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. კათედრაზე ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესიდან შეიძლება ითქვას, რომ მათ გააზრებული აქვთ მონიტორინგისა და შეფასების მთავარი არსი - პრობლემის გადაჭრის გზა და საშუალებაა და გამოხატავენ მზაობას ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებისთვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, წლის ბოლოს შეხვედრებზე ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად დაისახება მათი გადაჭრის გზები, სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წლიდან სამოქმედო გეგმაში აისახოს კურუკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია.სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა, რომელშიც მოცემულია ჯგუფის რეკომენდაციები კოკრეტული პრობლემების გადასაჭრელად.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული რომ მონიტორინგისას ხდება ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც წინაპირობას ქმნის სრულყოფილი და ობიექტური შეფასებისთვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები -სკოლა გეგმავს . მონიტორინგის შედეგების ანალიზისა და დასკვნის საფუძველზე, პრევენციისა და ინტერვენციის საშუალებით დასახოს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის სკოლა გეგმავს

კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდინტიფიცირებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენას და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: დაწყებით საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლისთვის შექმნილი მონიტორინგი და შეფასების მექანიზმები გამოავლენს პრობლემას და დასახავს მათი ინტერვენციის გზებს/საშუალებებს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - მასწავლებლებთან პირისპირ საუბარში გაირკვა, რომ გააზრებული აქვთ მოსწავლეთა შეფასებისას მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -კათედრის წევრებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით ისინი მუდმივად ცდილობენ, დააკვირდნენ და გაანალიზონ მიმდინარე სასწავლო წელი, ფიზიკური აქტივობები და მოსწავლეების საჭიროებებზე მოარგონ ისინი. სამომავლოდ სკოლა ჩართავს მონიტორინგში სასკოლო საზოგადოებას, შეიმუშავებს ისეთ მეთოდოლიგიას, რომელიც მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოკვეთს სწავლის პროცესის ხარვეზებს, პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს, სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დანართი №85 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
2. დანართი № 1 სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
3. დანართი № 153 სკოლის სამოქმედო ერთწლიანი გეგმა
4. დანართი №2 სკოლის სასწავლო გეგმა,
5, დანართი №15 სკოლის განაცხადი ავტორიზაციაზე (თვითშეფასების ფორმა).
6. დანართი №116 კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია (პროექტი).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
2.3.2.1.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ უპირატესობას ანიჭებენ განმავითარებელი შეფასებას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი (V-VI კლასები) და განმავითარებელი შეფასების (I-VI კლასები) რუბრიკებით, სოლო ტაქსონომიით .შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას შეფასებაში და მიიღება რეალური სურათი, რომელსაც გაითვალისწინებენ და ასახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
საზოგადოებრივი მეცნიერებები-მასწავლებლები ინტერვიუირების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ჰოლისტურ ხასიათს უნდა ატარებდეს და უკვე არსებული შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია ამ მიმართულებით მოსწავლეთა შეფასებაზე, თუმცა აღნიშნავენ რომ ამჟამადაც მუშაობენ შეფასების რუბრიკების განვითარებაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
უცხოური ენები-სკოლის სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების მიმართულებები,სტანდრატულად ეს არის განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასება. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას აძლევთ განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მონაცემები. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორციელებეული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ამის შემდეგ ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს მოსწავლეებს. სამომავლოდ დაწყებითი საფეხურზე ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები გეგმავენ შეფასების ფორმას მიეცეს სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა იყენებს ჰოლისტურ შეფასებას. შეფასებისას სკოლა იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. სკოლა იყენებს დასწრებისა და ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირის ფორმას მოსწავლეებისგან. ელ. ჟურნალში განმსაზღვრელი შეფასების V-VI გარდა ფიქსირდება განმავითარებელი შეფასებები კომენტარების სახით

მოსწავლეთა და მათი მშობლებისთვის I-IV კლასები. ამ ფორმით წარმოდგენა გააადვილებს მონაცემებთა ანალიზის პროცესს და მათზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - სკოლის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.სკოლამ დაიტოვა განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი და აირჩია დიაგნოსტიკური შეფასებისათვის პირველი ინსტრუმენტი, მაგრამ სკოლისთვის შეფასება რჩება გამოწვევად და საჭიროებს სამომავლოდ სრულყოფას. ავტორიზაციის სტანდარტიდან დადგა საჭიროება, რომ 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში მოხდეს სასწავლო პროცესის ჰოლისტური შეფასება, მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით, მოსწავლეთა კოგნიტური და სოციო-ემოციური უნარების განვითარებისათვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
სახელმწიფო ენა --დაწყებით საფეხურზე პედაგოგები იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. აქვთ მზაობა, კიდევ უფრო გააუმჯობესონ ამ მიმართულებით მუშაობა იმისათვის, რომ 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში შეფასება დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
მათემატიკა -.დაწყებითი საფეხურის კათედრა გეგმავს შეფასება მოახდინოს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, ახალი სასწავლო წლისთვის შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
სპორტი -მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სკოლაში გამოიყენება შეფასების ჰოლისტური მიდგომები, რაც გულისხმობს შეფასებისას მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას. მაგალითად, განმავითარებელი შეფასების რუბრიკით მოწმდება კომპლექსური დავალება და მისი თითოეული ეტაპი, ასევე პროექტები, არაფორმალური აქტივობები. განმსაზღვრელი შეფასებით მოწმდება შემაჯამებელი დავალებებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
2.3.2.2.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები შეფასებისას უპირატესობას კომპლექსურ დავალებებს ანიჭებენ. გეგმავენ, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კომპლექსური დავალებების შეფასება მოხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების მიღწევების დიაგნოსტირება, შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად. მასწავლებლები გეგმავენ სასწავლო წლისთვის შეაფსების რუბრიკები დახვეწონ და განავითაარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლბლებმა, ინტერვიუს დროს, როდესაც საუბრობდნენ სხვადასხვა საგანში განხორციელებული კომპლექსური დავალების ბარათების დამუშავების შედეგად მოსწავლეების მიერ მომზადებული

საგანმანათლებლო პროდუქტების, მიმდინარე საკლასო და დამოუკიდებელი დავალებების/აქტივობების და შემაჯამებელი დავალებების შეფასებაზე, აღნიშნეს რომ ითვალისწინებენ სხვადასხვა კონტექსტს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ინსტრუქტაჟში ჩანს პედაგოგისა და კათედრის მცდელობა ,რომ მოხდეს მოსწავლის შეფასება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინონ სხვადასხვა ფაქტორები. აფასებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას,არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ საზროვნო უნარებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს უცხოურ ენათა კათედრის თავმჯდომარის 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ანგარიში,სადაც განხილულია სამივე სფეხურზე,უცხ ენებში განხორციელებული აქტივოებეი, ამთ შორის კომპექსური დავალებები და დატანილია შეფასების რუბრიკები და სხვა მონაცემები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლა სამომავლოდ გეგმავს მოსწავლეთა შეფასებას მრავალხრივად სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, სამომავლოდ შეფასება განხორციელდება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს,რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს და აფასებებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ საზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - დაწყებით საფეხურზე შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მათი შესაძლებლობები და საჭიროებები. პედაგოგებს აქვთ მზაობა, რომ 2023-2024 წლისთვის შეფასება განახორციელონ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ამისათვის კი გამოიყენონ მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, სოლო ტაქსონომიაზე შემუშავებული სქემები, კათედრებისა და სადამრიგებლო მუშაობის შეფასების სქემები, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის კათედრას აქვს გარკვეული გამოცდილება კომპლექსური დავალებებით სწავლების, და მომავალშიც გეგმავს გაზარდონ მათი რაოდენობა. მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას აღნიშნეს, რომ დახვეწენ და განახორციელებენ სწავლებას სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება. შეფასება კი მოხდება წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკებით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -თვითშეფასების ფორმიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, სპორტის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მოსწავლეთა შეფასების დროს ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეების ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათი ფიზიკური განვითარების ინდივიდუალური თავისებურებები, პიროვნული თვისებები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.3.2.3.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით ინფორმაციის მისაღებად ითვალისწინებენ შეფასების სხვადასხვა ფორმას, რომლებიც ნაწილობრივ ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - გამოკითხავს მოსწავლეს, მის თანატოლს, მშობელს, სხვა მასწავლებელს, დამრიგებელს და სკოლის სხვა პერსონალს. გამოავლენენ მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებს, რომელსაც ითვალისწინებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიზნით. 2023-2024 სასწავლო წლიდან მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით სკოლა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასება. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ შეფასების მომზადების პროცესში ეყრდნობიან სხვადასხვა მეთოდს მონაცემების შეგროვებისთვის, განსაკუთრებით შემაჯამებელი დავალებების და კომპლექსური დავალებების შეფასების დროს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-გასაუბრებაზე გამოიკვეთა ,რომ შეფასებისას დაწყებითი საფეხურზე ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს , თუმცა ამის სისტემური ხასიათი არა აქვს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ისეთი მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა: სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერიუ, ფოკუსჯგუფი. მონაცემთა შეგროვების ფორმა, რაც გაგვიადვილებს სასწავლო პროცესის კომპლექსურ შეფასებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - შეფასებისას, მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება კათედრებზე, პარალელურ კლასისა და საგანის მასწავლებლებისაგან, სკოლაში დაკვირვების საფუძველზე ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, რაც გამოიხატება კონსტრუქციული უკუკავშირით. მოსწავლეთა აქტუალური ცოდნის დონის მიხედვით გეგმავენ სასწავლო პროცესს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - დაწყებით საფეხურზე შეფასებისას გამოყენებულია ზეპირსიტყვიერი გამოკითხვები და უკუკავშირები. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლა გეგმავს გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. (რაოდენობრივი/ თვისობრივი); რის საფუძველზეც მოხდება სასწავლო პროცესის სრულყოფა და განვითარება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის კათედრა, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა მოსწავლეზე დაკვირვება, მოკლე ჩანაწერების გაკეთება, კომენტარი და სხვა. რომელთა მიხედვითაც შეძლებენ დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -ინფორმაციის შეგროვება ხდება მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გასაუბრების საფუძველზე. საწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ჰოლისტურია, შეფასება ხდება სხვადასხვა მეთოდებით, კათედრებზე განხილვით, ზეპირსიტყვირსიტყვიერი კომუნიკაციით მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.3.2.4.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგები მოსწავლეთა შეფასებისას განსაზღვრავენ მიზნებს - რა უნდა შეფასდეს, რა უნდა გამოავლინოს ამ შეფასებამ, როგორ მოხდეს მოსწავლეზე დაკვირვებისას მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეების განსაზღვრა, რომ შემდგომ მოხდეს ამ ფაქტორების გათვალისწინება და არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზებზე მუშაობა. შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამომავლოდ შეფასებისას უფრო მეტად იქნება გამოყენებული კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლები ინტერვიუს პროცესში აღნიშნავდნენ, რომ შეფასების მომზადების პროცესში ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს, პირველ რიგში კი მოსწავლეების შესაძლებლობებს, საჭიროებებს, ინტერესებს. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას განაგრძონ ამ მიმართულებით მუშაობა. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-..დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი ინგლისური ენის და რუსული ენის საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით სკოლა გეგმავს შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მასწავლებელები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ მთელი რიგი ფაქტორები სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ 2023-2024 წლისთვის შეფასება წარიმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას , გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, რამდენად შეესაბამება საფეხურის მისიას, მოსწავლეთა ინდივიდუალურ მახასიათებლებს, რამდენად ითვალისწინებს სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა -დაწყებითი საფეხურის კათედრა მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეფასებას ახორციელებს კომპლექსურად, გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა წარიმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს, მაგალითად, მოსწავლის ფიზიკურ შესაძლებლობებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ინდივიდუალურ თავისებურებებს. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა არსებულ გარემოს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე. მომავალი წლის კურიკულუმში იგეგმება ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი №85 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
2. დანართი №137 სასკოლო სასწავლო გეგმა
3. დანართი №104 შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-კურიკულუმის განვითარების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ აანალიზებენ კურიკულუმს სასწავლო წლის მანძილზე და სასწავლო წლის ბოლოს და როგორ გეგმავენ და ასახავენ შესაბამის ცვლილებებს. აღნიშნავენ რომ ამ მიმართულებით კვლავ აგრძელებენ მუშაობას. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-,,კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესები. კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: - სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; - კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; - სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; - კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; - სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან . მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის: - რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; - რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს წინა წლის პროცესის შეფასება თუ, რამ იმუშავა კარგად, ცუდად.ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ, სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას დაეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის პროცესების გაუმჯობესების მიზნით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა --დაწყებით საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა შეიმუშავებს კურუკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. პაკეტის შექმნისას სკოლა გაითვალისწინებს დაგროვილ გამოცდილებას, მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირებს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - წინა წლის გამოცდილების საფუძველზე, სკოლა აქვს მზაობა მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუავოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. პაკეტის შექმნისას სკოლა გაითვალისწინებს დაგროვილ გამოცდილებას, მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირებს . ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - -დაწყებით საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა შეიმუშავებს კურუკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. პაკეტის შექმნისას სკოლა გაითვალისწინებს დაგროვილ გამოცდილებას, მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირებს. რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - დაწყებითი კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყოველწლიურად ხდება სასკოლო კურიკულუმების განვითარება, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შეფასების შედეგებს. გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. ეს მათ აძლევს საშუალებას დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულ იქნას სასკოლო საზოგადოების მიერ სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას. ამ ეტაპზე შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლა გამოხატავს ამის მზაობას. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.4.1.2.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მასწავლებლებმა აღნიშნეს, ინტერვიუირების პროცესში, რომ ერთი მხრივ აგრძელებენ მუშაობას კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების პროცესის დახვეწაზე და მეორე მხრივ კი მიღებული შედეგების ეფექტიან გამოყენებაზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნის პროცესში. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ მუშავდება კურიკულუმის ახალი ვერსია, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები. მასწავლებლები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში აისახოს მოსწავლეთა ინტერესები, მათი შედეგები. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგის შედეგებს, კოლეგების ურთიერთდასწრებისას მიღებულ უკუკავშირებს, მოსწავლეთა შედეგების ანალიზს. პედაგოგებმა მოახდინეს წინა წლის სასწავლო გეგმის და მასში შემავალი კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმების მოდიფიცირება, კათედრაზე გამოცდილების გაზიარება და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნისას გათვალისწინებულ იქნება წინარე გამოცდილება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგის შედეგებს, კოლეგების ურთიერთდასწრებისას მიღებულ უკუკავშირებს, მოსწავლეთა შედეგების ანალიზს. პედაგოგებმა მოახდინეს წინა წლის სასწავლო გეგმის და მასში შემავალი კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -კურიკულუმის გადამუშავება ხდება კათედრაზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს მომდევნო სასწავლი წლის კურიკულუმები, რომელიც ეფუძნება გასული წლებში მიღებულ გამოცდილებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი №154 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. დანართი №85 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
3. დანართი № 104 შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.
სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია““,შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა აღმიშნული დოკუმენტი აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც
2.1.1.2.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები -- საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრი მასწავლებლები, ინტერვიუს პროცესში, ესგ - ით გათვალისწინებული გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების მიღწევის საკუთარ გამოცდილებაზე საუბრის დროს აღნიშნავდნენ, რომ ითვალისწინებდნენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, მაგალითად, იყენებდნენ დიფერენცირებულ მიდგომებს და მოსწავლეებს სთავაზობდნენ ალტერნატიული ფორმატის აქტივობებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - - როგორც გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა , სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგთა ჩართულობით უცხოური ენის კათედრაზე გასული წლის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე დაგეგმეს მომავალი წლის კურიკულუმები. ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების შედეგად, მათი წარმატებების თუ პრობლემების გათვალისწინებით ქმნიან ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებს. ერთად გეგმავენ აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში დაფიქსირებული პრობლემური საკითხების გამოსწორებას. ასევე საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური სახის დავალებები,სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესები. ასევე გასაუბრებისას პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ცდილობენ მოსწავლეთა ინდივიდულურ საჭიროებების მორგების მიზნით დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გამოყენებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლა გეგმავს , ასახოს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, მათ ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების ნაწილში, რომელიც მიმდინარეობს მუსიკისა/ ხელოვნების პედაგოგებისა და დირექციის აქტიური მონაწილეობით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია იქნება მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. ჩატარებული ღონისძიებები მიუთითებს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ ჩართულობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, საბაზო საფეხურის მისია. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივ გეგმაში წარმოდგენილი კომპონენტები: სასწავლო თემები, საკითხები, რესურსები, შერჩეული კომპლექსური დავალებები ეფუძნება წინარე გამოცდილებას, და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს, კოლეგებისა უკუკავშირს. სამომავლოდ იგეგმება მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირების გათვალისწინება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. „კურიკულუმის შემუშავების მოთოდოლოგიის“ მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრაზე კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იყო წინარე გამოცდილების ანალიზი, გამოიკვეთა ძირითადი საკითხები, სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების კრიტერიუმები, თემების მიხედვით შეირჩა კომპლექსური დავალებები. მასწავლებლებს შორის მოხდა შეთანხმება თითოეულ კლასში განსახორციელებელი კოპლექსური დავალების რაოდენობასა და განხორციელების დროზე. კურიკულუმები შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მშობელთა ინტერესებისა და მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, ითვალისწინებენ თავიანთი მოსწავლეების შედეგებს, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან იღებენ უკუკავშირს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.1.1.3.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. კათედრაზე პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. მათ აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები -ინტერვიუს პროცესში კათედრის წარმომადგენელი მასწვალებლები აღნიშნავდნენ, რომ ისინი სისტემატურად იკრიბებიან კათედრის მასშტაბით და მსჯელობენ, როგორც კურიკულუმის შექმნის ისე მისი განხორციელების პროცესთან დაკავშირებით, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი მოსწავლეების ტიპურ ხარვეზებსა და წარმატებებს, (აღნიშნეს რომ აკეთებენ სისტემატიურ ჩანაწერებს მოსწავლეთა შედეგების შესახებ) რაც საშუალებას აძლევს ეს ყოველივე ასახონ კურიკულუმში, მის განახლებულ/გადამუშავებულ ვერსიებში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. გასაუბრებისას უცხო ენების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისასი იკრიბება კათედრის წევრები, რომლებიც აჯამებენ წინა წლის შედეგებს და გამოვლენილი ხარვეზებისა თუ წარმატებების გათვალისწინებით გეგმავენ მოდევნო სასწავლო წელს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლამ მოამზადა ყველა კლასში კურიკულუმის ჩარჩო და ცდილობს კომპლექსური დავალებების განხორციელებას, არის წარმოდგენილი კურიკულუმის ნიმუშები მტკიცემულებად მუსიკის და ხელოვნების მიმართულებებით, რომელ კლასში, რა კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ 2023-2024 სასწავლო წელს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები იქმნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. საბაზო საფეხურზე პარალელური კლასების პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ და შეარჩევენ შუალედურ მიზნებს, წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით ახდენენ სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებების შერჩევაში კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ პროცესში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მშობელთა მოსაზრებები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაშიც აქტიურადაა ჩართული საბაზო საფეხურზე მომუშავე პედაგოგები და ფიზიკური არზრდისა და სპორტის კათედრის წევრები. ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. ყოველივე ეს დასტურდება კათედრის ოქმებით და ინტერვიუთი.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.1.1.4.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ კათედრამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებული კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობის საფუძველზე შეიმუშავა ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმი. სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, კურიკულუმი გაზიარებული იქნება და ხელმისწავდომი გახდება სასკოლო საზოგადოებისთვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიუში აღნიშნეს, კათედრის წევრმა მასავლბლებმა, რომ აქვთ აქტიური და ეფექტიანი ურთიერთობა მოსწავლეთა მშობლებთან/მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და მაგ. მიმდინარე სწავლა - სწავლების პროცესის შესახებ აწვდიან მათ პერიოდულ ინფორმაციას და აქვთ ჯანსაღი ურთიერთობა, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა ფორმატის კომუნიკაციას, მაგ: ზეპირი, წერილბითი, ინდივიდუალური და ჯგუფური. განსაკუთრებით აღინიშნა რომ ყველაზე ეფექტიანად იყენებენ სოციალურ ქსელ Facebook - ში შექმნილ ჯგუფს ზოგადი აქტუალური საკითხების განხილვისა და ინფორმაციის მიწოდებისთვის, ინდივიდუალურ საკითხებს კი განიხილავენ კონკრეტული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კონფიდენციალობის და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს საკოლო კურიკულუმის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების აუცiილებლობას. დოკუმენტში ვკითხულობთ ასეთ ჩანაწერს:,, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდზე; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამასვე ადასტურებს პედაგოგთა გასაუბრება,კერძოდ: მოსწავლეებს და მშობლებს მშობელთა კრებებზე, აცნობენ უცხო ენის ინგლისური და რუსული ენის საგნობრივ ჭრილში დასამუშავებელ თემას, საკითხებს, იმ რესურსთა ჩამონათვალს, რაც ხელს შეუწყობს მიზნების მიღწევას. გარდა ამისა დოკუმენტაციაში ფიქსირდება უცხო ენის კათედრის შეხვედრის ჩანაწერი (შეხვედრის ოქმი N 2 20/01/23) სადაც სწორედ კურიკულუმის გაზიარებასა და შედეგებზეა საუბარი.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -ჩანს, რომ კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩო განხილული იქნა კათედრებზე, რომლის მიხედვითაც შემუშავებულ იქნა სასკოლო საგნობრივი კურიკულუმი. მკაფიოდ არის მოცემული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კონკრეტულად რა მოცემულობაა საგან მუსიკაში,საგან სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში საგნობრივ კურიკულუმებში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -
საბაზო საფეხურის მიერ შემუშავებული კურიკულუმები შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება, ბარათები მშობელთათვის. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- პორტალი ვებგვერდზე;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სასწავლო კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოები ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს. სკოლას აქვს ფეიბუქ გვერდი, სადაც პერიოდულად ქვეყნდება მიმდინარე ფორმალური და არაფორმალური კუთხით ჩატარებული აქტივობები. ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ მასწავლებლებს მჭიდრო კავშირი აქვთ მშობლებთან და კოლეგებთან.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დანართი № 154 ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“(პროექტი)
2. დანართი № 24 კათედრების ოქმები

3.დანართი №85 საბაზო საფეხურის კურიკულუმი

4.დანართი №86 საბაზო საფეხურის კურიკულუმი

5. დანართი №87 საშუალო საფეხურის კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
2.1.2.1.
. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო კათედრის საბაზო საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტების განხილვა და შესაბამისად, ინტერვიუ მასწავლებლებთან იძლევა იმის საშუალებას რომ ვთქვათ , კათედრას აქვს მზაობა კურიკულუმები ორიენტირდეს გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვროს საფეხურის დონეზე- ე.სგ.მიხედვით სტანდარტში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით. კათედრა უპირატესობას ანიჭებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მაღალი საზროვნო უნარები სჭირდება. ამის მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ, დაწყებით საფეხურზე

წარმატებით განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ასევე კურიკულუმის ზოგიერთი კომპლექსური დავალების იდეა, შესაბამისი კონტექსტ მაგალითებითა და სასწავლო რესურსების ჩამონათვალით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი და აღწერილი კურიკულუმები მეტწილად მორგებულია მოსწავლეზე, ითვალისწინებს დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებას ყოველდღიურ სწავლა - სწავლების პროცესში.

უცხოური ენები - უცხოური ენების -ინგლისური ენის და რუსული ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, მოსწავლზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის მზაობა. პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ამიტომ საჭიროებიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით ისინი ახერხებენ სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას. ცდილობენ აქტიურად დანერგონ კომპლექსური ბუნების დავალებები. პედაგოგები აქტიურად მუშაობენ იმაზე ,რომ მომავალი სასწავლო წლიდან შეცვლილი ვარიანტებით განახორციელონ კომპლექსური შემაჯამებელი დავალებები. გასაუბრებაზე მოიყვანეს წარმატებული მაგალითები თავიანთი პრაქტიკიდან, განხორცილებეული აქტივობები, არსებული გამოცდილების გამოყენება მათ დაეხმარებათ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის განხორციელებაში.მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმები სექტემბრამდე დაიხვეწება.აქედან გამომდინარე ჩანს სკოლის მზაობა და სურვილი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. წარმოდგენილია მამტკიცებელ საბუთად მკაფიოდ გაწერილი კურიკულუმები ესთეტიკური აღზრდის საგნებში(ხელოვნება/მუსიკა). კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები იმგვარად, რომ სასწავლო პროცესი წარმოადგენდეს მოსწავლეზე ორიენირებულს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მომავალ სასწავლო წელს კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების დროს გათვალისწინებული იქნება ყველა ის ნიუანსი,რაც ქოუჩინგის პროცესში მიიღეს უკუკავშირის სახით კომპლექსური დავალებებთან მიმართებით. ამ ეტაპზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიერმართება ესგ-ით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება , რომ საგნობრივი კურიკულუმები იქმნება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პრინციპების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი მიემართება გრძელვადიან მიზნებს, მოსწავლეს ეძლევა საშუალება მისთვის ნაცნობ კონტექსტში წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა , მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, განუვითარდეს მეტაკოგნიტური უნარები,სკოლა იცნობს და იყენებს დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს, ზრუნავს სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობაზე. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. გასათვალისწინებელია, რომ დაიფაროს ესგ-ით გათვალისწინებული ყველა თემა, შეირჩეს კომპლექსური დავალება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას: სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ყველა თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. ყველა სპორტის სახეობის მიხედვით წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები (თეორიული - გზამკვლევები და პრაქტიკული - ვარჯიშების მაგალითები). ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.1.2.2.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები- გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები მიმართული იყოს გრძელვადიან მიზნებზე , რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მათში ფუნქციურ-კომპონენტური უნარები განვითარებას. საბაზო საფეხურის პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული კონტექსტის/კონტექსტების მნიშვნელობა, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღმისეულად და მრავალმხრივ გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი და აღწერილი კურიკულუმები მეტწილად მორგებულია მოსწავლეზე, ითვალისწინებს დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებას ყოველდღიურ სწავლა - სწავლების პროცესში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი ინგლისური და რუსული ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებისათვის მისადაგებული და მითითებული სამიზნე ცნებები (ქვეცნებები),კურიკულუმის თემები, საკითხები, რესურსები იძლევა იმის შესაძლებლობას,რომ სასწავლო პროცესი გახდეს ორიენტირებული მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებაზე,როგორიცაა : კრიტიკული აზროვნება, შემოქმედობითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ მოწოდებული განაცხადში იკვეთება სკოლამ სამომავლოდ შეიმუშავა საგნობრივ კურიკულუმები და ის მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე -ცნებებზე გათვალისწინებულია მასში საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები სწავლების პრინციპები და მეთოდოლოგია. მამტიკიცებელ მასალას წარმოადგენს საგნობრივი კურიკლუმის ჩარჩო ესთეტიკის მიმართულებით (ხელოვნება და მუსიკა). კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები შექმნილია საგნის სტანდარტის,შინაარსის და ესგ-ის მიხედვით, გათვალისწინებულია სტანდარტის გრძელვადიანი მიზნები- ცნებები საფეხურის შედეგები, თემები და საკითხები. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული/შემოქმედებით აზროვნებას, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია საფეხურის გრძელვადიან მიზნებზე , შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები, რომელთა განხორციელების გამოცდილება სკოლას უკვე აქვს სამინისტროს მიერ მიწოდებული მატრიცებზე დაყრდნობით. შერჩეული დავალებები შესაძლებლობას იძლევა საგნობრივი ცოდნის მიღებასთან ერთად მოსწავლეებს განუვითარდეთ გლობალურ-ფუნქციური უნარები. საბაზო კლასების მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და სასკოლო პროექტებში . დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება კურიკულუმების გადახედვა, დახვეწა და შევსება თემების, შესაბამისი ქვეცნებებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლებს აღქმული აქვთ ფუნქციურ კომპონენტური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -სკოლამ შეიმუშავა და წარმოადგინა კურიკულუმები, რომელიც ესგ და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს ეფუძნება. საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.1.2.3.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ამავე დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ ინკლუზიური გარემოს შექმნას. ინტერვიუ საბაზო საფეხურის პედაგოგებთან არის დასტური იმისა, რომ სასწავლო პროცესში განხორციელებული კომპლექსური დავალებები, იძლეოდა მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიუს პროცესში, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წვერმა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი სწავლა - სწავლების პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომას, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მიზნებების მიღწევის პროცესში, ასევე ისაუბრეს ცალკეულ სასწავლო პროექტებზე, რომლებში გამოკვეთეს თუ როგორ ახერხებდნენ ყველა საჭიროების, ინტერესების მქონე მოსწავლეების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - სკოლას წარმოდგენილი აქვს ისგ- დოკუმენტაცია დაწყებითი საფეხურისათვის. რაც იმას ადასტურებს, რომ საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეძლებს გაართვას თავი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწვალეებთან მუშაობას. კურიკულუმის მოდიფიცირებას. გარდა ამისა ინგლისური ენის და რუსული ენის კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობები, კრიტერიუმები, რესურსები, აქტივობები ფორმულირებულია ისე, რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას. რაც შეეხება დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებს, გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან და აგროვებენ მონაცემებს, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -საგნობრივ კურიკულუმებში არის გათვალისწინებული დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა, რაც ინტერვიურებისას ახსნენს პედაგოგებმა კომპლექსური დავალების პირობასა და საეტაპო აქტივობების ფორმულირების პროცესში. პედაგოგებთან ინტერვიურებისას მკაფიოდ გამოიკვეთა ,რომ მომავალი სასწავლო წლიდან სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული იქნება კომპლექსური დავალებების ადაპტირება დამასზე დაყრდნობით მოხდება სასწავლო პროცესის წარმართვა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ყველა ბავშვის ჩართვას სწავლა--სწავლების პროცესში მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით, მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობას, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს, დავალებების შესრულებისას აძლევენ არჩევანის საშუალებას. სსსმ მოსწავლეებისათვის ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით სპეციალური მასწავლებლები საგნის მასწავლებელთან შეთანხმებით შეიმუშავებენ ადაპტირებულ კურიკულუმს და უწევენ შესაბამის დახმარებას მოსწავლეებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, სასწავლო პროცესი იგეგმება მათი ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია მაღალი,დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლები ფლობენ დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლები არეგულირებენ დატვირთვას მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, მაგ., ფიზიკური განვითარების, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. სკოლას აქბს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების დიდი გაოცდილება. ამ პროცესში

ჩართულები არიან დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები, სპეცმასწავლებლები, მშობლები. ხდება კომპლექსური დავალებების და შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.1.2.4.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელებიც გვიჩვენებენ , რომ ამ საგნების პედაგოგებს აქვთ გააზრებული თუ როგორ უნდა მოხდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან/თემასთან მიმართებით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) რომლებზე საუბრის დროსაც, ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ აქცენტს აკეთებდნენ სამივე კატეგორიის (დეკლარატიულ, პროცედურულ, პირობისეულ) ცოდნაზე, და მოსწავლის ნამუშევრის/აქტივიზმის შეფასების პროცესში აჩვენებენ მხარდაჭერას მოსწავლის აკადემიური და პიროვნული ზრდისთვის და უჩვენებენ გზას თუ როგორ უნდა მოახერხონ წინსვლა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმნეტში უცხო ენის კათედრის შეხვედრის ოქმი ,განხილულია შეფასების სისტემის დეტალები,რომელიც ადასტურებს შეფასების გრძელვადიან მიზნებს.სკოლა იყენებს განმსაზღვრელი იყენებენ შეფასების შემდეგ რუბრიკებს: შემაჯამებლის, დისკუსიის, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკებს.გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ ამ ეტაპზე სკოლაში განმავითარებელი შეფასება ძირითადად ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს. თუმცა აქვთ მცდელობა დანერგონ წერილობითი ფორმითაც განახორციელონ მოსწავლეთა განვაიღებელი შეფასება. მომავალი სასწავლო წლისთვის კი ოფიციალურად, განმავითარებელი შეფასებისთვის სკოლა მოამზადებს შეფასების რუბრიკებს ცნებებთან მიმართებით,რაზე დაყრდნობითაც მოხდება შეფასების განხორციელება.ამავდროულად საჭიროების დადგენის მიზნით მასწავლებლები თვითრეფლექსიისა და მოსწავლეების ჩართულობით ჩამოაყალიბებენ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს,დასახავენ სამომავლო გეგმებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -ინტერვიურებისა და განაცხადის ფორმის საუძველზე მკაფიოდ ჩანს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მუსიკისა და ხელოვნების საგნის პედაგოგებს აქვთ წინარე გამოცდილება განმსაზღვრელ/ განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, განმავითარებელი შეფასების ფორმად დაწყებით საფეხურზე გამოიყენება SOLO ტაქსონომია. SOLO ტაქსონომიით ხდებოდა ასევე მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების შეფასება დონეების მიხედვით. სკოლა განმსაზღვრელი შეფასებისთვის იყენებს წინასწარ გაწერილ შეფასების რუბრიკებს,რომელიც მორგებულია საგნობრივ სტანდარტს/გრძელვადიან მიზნებ-სამიზნე ცნებებს და საფეხურებრივ შედეგებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -საბაზო საფეხურზე განმავითარებელ შეფასებას პედაგოგები ახორციელებენ სიტყვიერი და წერილობითი კომენტარებით. მომავალი სასწავლო წლიდან განმავითარებელი შეფასება მოხდება კომპლექსური დავალებების შესაბამისი რუბრიკების მიხედვით, რომლებსაც დაწყებითი საფეხურის პედაგოგები ერთობლივად შეიმუშავებენ წარმოდგენილი შაბლონის მიხედვით. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, ამჟამად სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -საბაზო საფეხურზე მასწავლებლები განმავითარებელი შეფასებისას ითვალისწინებენ სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით. სექტემბრამდე გეგმავენ თემების და კომპლექსური დავალებების მიხედვით შეფასების რუბრიკების შექმნას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები; წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა საგანში. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში ძირითადად იყენებენ ზეპირსიტყვიერ შეფასებას, ახლო მომავალში მასწავლებლები გეგმავენ წერილობითი კომენტარების რუბრიკების შემუშავებას. სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშავონ წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც დაეხმარება მათ თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.1.2.5

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლა ჩართულია ,,ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში და აქვთ კომპლექსური დავალებების დანერგვისა და განხორციელების პრაქტიკა.ეს ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმის შემუშავება-დაგეგმვის პროცესში სკოლა ეყრდნობა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებას. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მასწავალებლემა აღნიშნეს ინტერვიუს ორივე დღეს, რომ პერიოდულად ერთმანეთთან თანამშრომლობის (კათედრაზე თანამშრომლობის) გზით აჯამებენ განვლილ გზას, მაგალითად ერთი თემის/საკითხის ფარგლებში, და შედეგების გაზიარების შემდეგ ცდილობენ შეიმუშაონ გამოკვეთილი ტიპური პრობლემების დაძლევის გზები. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები -სკოლის მიერ წარმოდეგნილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) მე-8 კლასის რუსული ენის შემაჯამებელი დავალების ანალიზი და პედაგოგებთან გასაუბრესიას გამოვლენილი ფაქტებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სკოლა იყენებს წინა წლის შედეგებს. იკრიბება კათედრის სხდომები,სადაც პედაგოგები განიხილავენ განვლილი წლის შედეგებს , გაანალიზებენ და ჩამოაყალიბებენ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, რის შედეგაც დაგეგმავენ კონკრეტულ აქტივოებებს შედეგის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობასა და წინარე ცოდნას. შემაჯამებელი დავალებების ანალიზიც ეხმარება მომავალი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლა ასევე გაითვალისწინებს მიღებულ გამოცდილებას ახალი კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს. ასევე დანერგავს განმავითარებელ -განმსაზღვრელი შეფასების ინსტუმენტებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა --საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შედგენისას სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შედეგებს და მიზნობრივად გეგმავენ სასწავლო პროცესს, ახდენენ განხორციელებული კურიკულუმის მოდიფიცირებას მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობებისა გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა აზრი, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია, წინარე საუკეთესო პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმონ სწავლა/სწავლების პროცესი.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე პერიოდულად განიხილება განხორციებული კომპლექსური დავალების შედეგების ანალიზი. მასწავლებლები უზიარებდნენ საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის წლიურ ანგარიშებს. საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილების გათვლისწინებით ხდება კურიკულუმების რედაქტირდება და დგება ახალი კურიკულუმი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური არზრდის მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. დანართი № 86 საბაზო საფეხურის კურიკულუმები.
2. დანართი № წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალების მაგალითები.
3. დანართი № 24 უცხოური ენის კათედრის შეხვედრის ჩანაწერი./ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მე-8 კლასი ,რუსული ენა
4. დანართი №154 კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (პროექტი)
5. დანართი №173 მე-8 კლასის რუსული ენის შემაჯამებლი დავალების ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები. არც შესაბამისი სივრცე და ინვენტარი. ამით ირღვევა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი რაც ხელს უშლის 2.2 კომპონენტის, კურიკულუმის განხორციელების პროცესს

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
2.2.1.1.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე შესრულებული კომპლექსური დავალებები და ინტერვიუ კათედრის პედაგოგებთან (ქიმია, ბიოლოგია), იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მათ აქვთ მზაობა მოსწავლე იყოს სწავლის პროცესში აქტიურად ჩართული და ცენტრალური სუბიექტი. ასევე გათვითცნობიერებული აქვთ თავიანთი როლი სწავლა-სწავლების პროცესში. კერძოდ , შექმნან ორგანიზებული მიზნობრივი გარემო, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიუს პროცესში, მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მათ მიერ, მოსწავლეებისთვის შეთავაზებული მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობები, როგორც მიმდინარე (ყოველდღიური) სწავლა - სწავლების პროცესში, ისე სხვადასხვა სასწავლო პროექტის ფარგლებში, უზრუნველყოფს მოსწავლეების, მათი ინტერესების, საჭიროებების გათვალისწინებით ჩართულობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - წარმოდგენილ საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმებში აღწერილი კომპლექსური დავალებების შინაარსზე, მიზნებსა და მითითებულ განსახორციელებელ აქტივობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას ,რომ სასწავლო პროცესი უზრუნველჰყოფს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას. ასევე სკოლას წარმოდგენილი ავქს მე-8 კლასში

ინგლისურ ენაში განხორციელებული პროექტი - ,,მოტლანდია და საქართველოს შედარება სხვადასხვა კულტურული მახასიათებლებით“
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -პედაგოგებთან გასაუბრეის შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა შემოქმედებით საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად. პედაგოგების მიერ შეთავაზებული მეთოდებისა და მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი სასწავლო მასალა, საკითხები, რესურსები ორიენტირებულია საბაზო საფეხურის მოსწავლის ინტერესებზე. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალებებისა და პროექტების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (მაგ. კომიქსის შექმნა, აბრის დამზადება, ამბის შეთხზვა, ზღაპრის შექნა,პოსტერის დამზადება და ა.შ.), რაც ზრდის შინაგან მოტივაციას, იძლევა თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის საშუალებას და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა/სწავლების პროცესში გამოყენებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. მოსწავლეები ეუფლებიან სწავლის სწავლას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია პრაქტიკული - მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, სახალისო თამაშები სპორტის სხვადასხვა გუნდური სახეობის (კალათბურთის/ფეხბურთის/ხელბურთის) ელემენტების გამოყენებით, ძალისმიერი ვარჯიშები, ლაშქრობა და თეორიული (ჯანსაღი ცხოვრების წესი, სწორი კვება, უსაფრთხოება, მავნე ჩვევები, ჰიგიენა) შინაარსის თემები, რომელიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.2.1.2.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან წარმოადგენს დასტურს იმისას, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, როცა ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. ასევე კურიკულუმში თემაში არსებული საკითხები და ქვესაკითხები ლოგიკურ კავშირს ქმნიან, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მოხდეს ცოდნის კონსტრუირება , ნაცნობ , არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები -- სკოლას აქვს კომპლექსური დავალებების, როგორც შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევის გზის, გამოყენების გამოცდილება, ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ კომპლექსური დავლების განხორციელების თითოეული ეტაპი და ნაბიჯი ეფუძნება წინარე ცოდნაზე ახლის დაფუძნებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - -საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი მასალა ადასტურებს ,რომ სასწავლო პროცესი იგეგმება კონსტრუქტივისტული მიდგომით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ, რომ ახალი ცოდნის აგება,მოხდეს წინარე ცოდნაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. პროცესი მიმდინარეობს პრინციპით მარტივიდან რთულისკენ ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. გასაუბრებისას ამის მამტკიცებელ დოკუმენტად პედაგოგებმა წარმოაჩინეს მატერიალუად შექმნილი სხვადასხვა რესურსები და ფოტომასალა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემა , როგორც ნაცნობი კონტექსტი, ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესში ხდება მისი მოდიფიცირება . შერჩეული კომპლექსური დავალებები ასევე ითვალისწინებს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს და იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებლები ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკს, წინარე ცოდნას, ინტერესებს და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ფიზიკური დატვირთვის მიცემის დროს, მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს. კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის პროცესის დროს ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.2.1.3.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოები გარკვეულ ინფორმაციას იძლევა, იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება მომავალში მოსწავლეებში სწავლა-სწავლის კომპენტენციის განვითარება,მაგრამ ამავე საფეხურზე წლის განმავლობაში განხორციელებული კომპლექსური დავალებები იძლეოდა როგორც თანამშრომლობითი სწავლების საშუალებას, პროცესში აქტიურ ჩართვას, ასევე მოსწავლეებში შესრულებული დავალების ანალიზის უნარის განვითარებას: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა,როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გათავისებული აქვთ, სწავლის - სწავლის მნიშვნელობა თითოეული მოსწავლისთვის, რაც გულისხმობს სწავლის სხვადასხვა მეთოდის, ტექნიკის ცოდნას და და იმის გააზრებას, თუ რომელი იქნება ყველაზე ეფექტიანი მოსწავლისთვის სხვადასხვა ფორმატის დავალების შესასრულებლად. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, ისინი სხვადასხვა ფორმის წერით დავალებას, კომბინირებულ სავარჯიშოებს და აქტივობებს სთავაზობენ მოსწავლეებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა -სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. ინგლისურ და რუსული ენის კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური გამოცდილების, ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, აქცენტი ისმევა სწავლის სწავლაზე, ასევე რომ სკოლა სამომავლოდ ასევე დანერგავს დიფიერენცირებული სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს . ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -საბაზო საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი , დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; ამგვარად, პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში ხელს უწყობენ მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, რასაც ხელს უწყობს თვითშეფასების ბარათები, რეფლექსიური ტიპის შეკითხვები პრეზენტაციის დროს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს (მოძრავი თამაშები, სასკოლო ფესტივალები). სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.2.1.3.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოები გარკვეულ ინფორმაციას იძლევა, იმის შესახებ თუ როგორ მოხდება მომავალში მოსწავლეებში სწავლა-სწავლის კომპენტენციის განვითარება,მაგრამ ამავე საფეხურზე წლის განმავლობაში განხორციელებული კომპლექსური დავალებები იძლეოდა როგორც თანამშრომლობითი სწავლების საშუალებას, პროცესში აქტიურ ჩართვას, ასევე მოსწავლეებში შესრულებული დავალების ანალიზის უნარის განვითარებას: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა,როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გათავისებული აქვთ, სწავლის - სწავლის მნიშვნელობა თითოეული მოსწავლისთვის, რაც გულისხმობს სწავლის სხვადასხვა მეთოდის, ტექნიკის ცოდნას და და იმის გააზრებას, თუ რომელი იქნება ყველაზე ეფექტიანი მოსწავლისთვის სხვადასხვა ფორმატის დავალების შესასრულებლად. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, ისინი სხვადასხვა ფორმის წერით დავალებას, კომბინირებულ სავარჯიშოებს და აქტივობებს სთავაზობენ მოსწავლეებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა -სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. ინგლისურ და რუსული ენის კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური გამოცდილების, ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, აქცენტი ისმევა სწავლის სწავლაზე, ასევე რომ სკოლა სამომავლოდ ასევე დანერგავს დიფიერენცირებული სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს . ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -საბაზო საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი , დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა

დავალებების შესასრულებლად; ამგვარად, პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში ხელს უწყობენ მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, რასაც ხელს უწყობს თვითშეფასების ბარათები, რეფლექსიური ტიპის შეკითხვები პრეზენტაციის დროს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს (მოძრავი თამაშები, სასკოლო ფესტივალები). სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.2.1.4.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან დასტურია იმისა , რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასაც მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და სამოქმედო გეგმები ადასტურებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მასწავლებლებმა, ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ დამუშავებული დავალებები სხვადასხვა უნარის გააქტიურებაზეა ორიენტირებული, და ფაქტობრივი - დეკლარატიული ცოდნის ფლობის ხარისხის შემოწმების გარდა მიზნად ისახავს პროცედურული და პირობისეული ცოდნების ფლობის ხარისხის შემოწმებას, რაც აქვთ ასახული შეფასების რუბრიკებში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს მოსწავლე სწავლობს ფაქტობრივ მასალას, იყენებს ნასწავლ მასალას ახალი პროდუქტის შექმნის პროცესში და ახდენს განზოგადებას და *ახდენს* ნასწავლი მასალის სხვადასხვა ტიპის ტრანსფერს. ამაზე მეტყველებს ორივე საგანში (ხელოვნება/მუსიკა) შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა - პედაგოგების მიერ დაგეგმილი კურიკულუმი ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიას. სასწავლო პროცესში მოსწავლეებს უწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, ინფორმაციის მოძიება, ლიტერატურული მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება, რომელიც ავითარებს მოსწავლეთა მრავალმხრივ უნარებს და ხელს უწყობს პირობისეული ცოდნის გააქტიურებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა -მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა პედაგოგებთან საუბრისას და რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებან სასკოლო ფესტივალებში, შეჯიბრებებში, პროექტულ დავალებებში. ამაზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აგებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.2.1.5.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, პედაგოგთა მზაობა იძლევა დასტურს, რომ მომავალში დაიგეგმება ისეთი აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში პირობისეული ცოდნის მიღებასა და პრობლემის გადაჭრის და სხვა კომპონენტური უნარის გამომუშავებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირის მიმართულებით, მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიუს პროცესში ის ინტეგრირებული პროექტები და აქტივობები, რომლებსაც კათედრის წევრი მასწავლებლები ერთობლივად ახორციელებდნენ.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლები შეეცდებიან ხელი შეუწყონ მოსწავლეებში ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე

ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება ,გადამუშავება,გამოყენება და შემოქმედებით პრაოდუქტში ასახვა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლები შეეცდებიან ხელი შეუწყონ მოსწავლეებში ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება ,გადამუშავება,გამოყენება და შემოქმედებით პრაოდუქტში ასახვა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა -შერჩეული კომპლექსური დავალებები ეხმარება მასწავლებელს, შესაბამის სასწავლო რესურსზე დაყრდნობით, ხელი შეუწყოს მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კომპლექსური დავალების სახით მოსწავლე ქმნის მიზნობრივ მთლიანობას, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულად წარმოაჩენს საგნობრივ ცოდნას. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების გარეშე და ფასილიტაციას უწევენ მოსწავლეებს ამ პროცესში. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა -თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.
მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მოსწავლეებში იზრდება გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სპორტი -სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ცოდნის გააქტიურობაზე და პრაქტიკაში გამოყენებაზე. ასევე, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალებების მაგალითებში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი № 86 საბაზო საფეხურის კურიკულუმები
2. დანართი № 105 პროექტები

3. დანართი № 154 კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (პროექტი)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.2.1.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებში (ქიმია, ბიოლოგია) კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეას განსაზღვრავს, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ქვეცნებები. გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს(რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის . შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-სკოლის კურიკულუმში ასახული სწავლა - სწავლების პროცესი, თითოეულ თემაში, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების მიღწევის მიზნით, ასევე ინტერვიუს პროცესში კითხვებზე: როგორ ახერხებთ თითოეულ საგანში, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, თითოეულ თემაში, საფეხურისთვის განსაზღვრული სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების სიღრმისეულ დამუშავებას, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ კათედრაზე მასწავლებლებს აქვთ მზაობა წარმართონ სასწავლო პროცესი ისე, რომ ყოველდღიური სწავლა - სწავლების პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-წარმოდგენილი კურიკულუმებში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა დაგეგმილია კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და პედაგოგებთან გასაუბრებისას მკაფიოდ იკვეთება, რომ სკოლა ითვალიწინებს სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ თემებზე/ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი არის დაგეგმილი ისე, მოსწავლეები იაზრებენ საგნობრივ სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს, თემებსა და საკითხებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა-საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, შერჩეული კომპლესური დავალებები კი, როგორც შუალედური მიზნები, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნება, რომელსაც მიემართება შერჩეული კომპლექსური დავალება , წარმოდგენილია ქვეცნებათა და ქვესაკითხთა იერარქია, რომელთა ურთიერთდაკავშირებულად შესწავლის საფუძველზე მოსწავლე ქმნის მიზნობრივ მთლიანობას საბოლოო პროდუქტის სახით. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ კომპლექსური დავალების კრიტერიუმები იძლევა განზოგადების და სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გათავისების საშუალებას , 2023-2024 წლისთვის ყველა კლასისთვის მოამზადებენ დანართების სახით კომპლექსური დავალების სრულყოფილ პირობებს შეფასების კრიტერიუმებითა და რუბრიკებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - საბაზო საფხურის მათემატიკის კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -კომპლექსურ დავალებებში ჩანს და, ასევე, ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ფიზიკური არზრდის კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.2.2

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები, ემსახურება მოსწავლის პიროვნულ, კოგნიტურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასწავლო პროცესის სწორად წარმართვის მიზნით პედაგოგებმა მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით ერთობლივად დაგეგმეს და შემდგომში განახორციელეს სასწავლო პროცესი. ინტერვიურების პროცესში აღინიშნა, რომ პედაგოგები მუდმივად ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. განხორციელებული აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ამოიცნონ საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. მასწავლებლებმა შეხვედრის დროს წარმოადგინეს პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტები
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები--მოსწავლეების პიროვნული და ფსიქო - სოციალური განვითარების მხარდაჭერაზე ორიენტირებულია ის სასწავლო რესურსები და საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც არის ასახული კურიკულუმში. აქვე აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა მათ შორის თანამშრომლობის მაღალი ხარისხი, რაც იმით მტკიცდება რომ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა იცოდნენ და აკეთებდნენ უკუკავშირს ერთმანეთის მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და სასაწავლო პროექტებზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ფიქსირდება სკოლის მიერ განხორციელებული სოციალური პროექტი ,, მეგობრობა გზად და ხიდად“. აღნიშნულ პროექტში ჩართული იყო სამივე საფეხურის მოსწავლეები და სხავდასხვა საგნის პედაგოგები. პროექტს ხელმძღვანელლობდა რუსული ენის პედაგოგი. პროექტის შესახებ საუბრისას პროექტის ავტორი აფიქსირებს მოსწავლეების ფსიქო- სოციალური განვითარების მნიშვნელობას და აუცილებლობას. პედაგოგების თქით პროექტმა დადებითად იმოქმედა, დადებითი გავლენა იქონია მოსწავლეთა სოციო-ემოციურ და ზოგად უნარების განვითარებაზე. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების

პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, რომ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური მეცნიერებები -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ მომავალში საგნობრივი კონტექსტები იმგვარად იქნება შერჩეული, რომ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებში უნდა აღწერონ დავალებების განხორციელებისას წამოჭრილი სირთულეები , საკუთარი დამოკიდებულებები საკითხის მიმართ , ემოციები და გრძნობები , რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას უწყობს ხელს. გამოყენებული მიდგომები და მეთოდები კი მსწავლელთა ყველა ტიპს დააკმაყოფილებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა -შემუშავებული კურიკულუმი მოიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის საჭირო ასპექტებს. კომპლექსური დავალებები კონტექსტმაგალითები, ძირითადი და დამხმარე რესურსები, იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა, ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში, ლიტერატურული მასალა დაუკავშიროს საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, იმსჯელოს, გადმოსცეს საკუთარი დამოკიდებულება, შეძლოს გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა, კომპლექსური დავალებების შესასრულებლად საჭირო აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას, რაც სწავლა-სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი პრონციპია. სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება რომელიც ასევე ემსახურება პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმში დაამატებენ კომპლექსურ დავალებებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გაკვეთილებზე ხდება ბავშვების მიერ სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივად განვითარება, პიროვნულად და ფსიქო-სოციალურად ჩამოყალიბება. გასაუბრებაზე გამოჩნდა, რომ სკოლის მოსწავლეები ხშირად წარმატებას აღწევენ სპორტულ ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, სასკოლო შეჯიბრებებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.2.3.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს შეფასება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გაგვიზიარეს, რომ საბაზო საფეხურზე შექმნილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მოსწავლეების ცოდნის დონეს და განვითარების გზას განსაზღვრავს. საბაზო საფეხურზე არსებული კურიკულუმით წარმართული სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-შეფასების სისტემის მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე ორიენტირებულობასთან დაკავშირებით, აღვნიშნავ, რომ მასწავლებლების მიერ მათ შორის ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რომ მათ სრულად აქვთ გაზიარებული თუ რატომ არის საჭირო მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა და მათ შორის შეფასების რუბრიკებში ამის ასახვა, მაგრამ თავადაც აღნიშნეს რომ ამ მიმართულებით ისინი განაგრძობენ ერთობლივ მუშაობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად მასალებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები , გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. ამ ეტაპისათვის პედაგოგები არსებული რუბრიკებით მოსწავლეებს უკუკავშირს უბრუნებენ ზეპირსიტყვიერად. თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ მოსწაველთა საჭიროებებზე მორგებული წერილობითი ფორმის შემუშავებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს შეფასების სისტემის მნიშვნელობა. მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებელი აფასებს მოსწავლის არა მხოლოდ აკადემიურ შედეგებს, არამედ უნარებს, დამოკიდებულებებს და გამჭოლ კომპეტენციებს. შეფასების რუბრიკები, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ვალიდურია. მასწავლებლები ამ ეტაპზე ნერგავენ განმავითარებელ შეფასებას ინტენსიურად და განმსაზღვრელი შეფასებასთან მიმართებით. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სამომავლოდ აწარმოონ მოსწავლეთა დაკვირვება. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა -
საბაზო საფეხურის კლასებში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. განმავითარებელი შეფასება ყოველდღიური საგაკვეთილო პროცესის შემადგენელი ნაწილია (გამოიყენება ზეპირი და წერილობითი უკუკავშირი,. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასება ითვალისწინებს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც, ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი; ამავე დროს შერჩეული საკითხები და კომპლექსური დავალებები შეიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარების აქტუალურ ასპექტებს , ხელს უწყობს მრავალმხრივი უნარების განვითარებას . შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმების შინაარსი

მოიაზრებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებას გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიაზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეების ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. ასევე იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფსების სისტემა უზრუნველყოგს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. შეფასების რუბრიკების მაგალიათები (როგორც ზეპირსიტყვიერი, ასევე წერილობითი კომენტარების სახით) ეხმარება მასწავლებლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დონის განსაზღვრაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.2.4.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან, შეფასების სანდოობის გასაზრდელად, კათედრა გეგმავს ახალი შეფასების ინსტრუმენტების დანერგვას. სკოლას აქვს მოქმედი შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების ანალიზის გარკვეული გამოცდილება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად აწარმოებენ მუშაობას შეფასების სისტემის სანდოობის გასაზრდელად თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის, სამართლიანობის მიმართულებით აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანია თითოეული შეფასების რუბრიკაში (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) ნათლად ჩანდეს თითოეული მათგანი. ამ ეტაპისთვის ცხადია, რომ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა, როდესაც აღწერეს, თუ როგორ ამზადებენ და იყენებენ შეფასების რუბრიკებს და როგორ აწვდიან მოსწავლეებს მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მოსწავლეთა დავალებების და აქტივობების შეფასებებს, გამოჩნდა რომ გააზრებული აქვთ შეფასების სისტემის დახვეწის საჭიროება იმგვარად, რომ თითოეული მოსწავლისთვის, მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის ცხადი გახდეს რომ გამოყენებული შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით დაწყებითი კლასების მშობლებთა კრებებზე წინასწარ აცნობებს მისაღწევ მიზნებს და იმ ზოგად კირტერიუმებს რის მიხედვითაც ზეპირსიტყვიერად ფასდება მოსწავლის შედეგები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეთა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძელზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების სისტემა სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. მისი მთავარი ფუნქციაა ობიექტურობის დაცვა,. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმილია შეფასების მხრივ დოკუმენტაციის დახვეწა და სრულყოფა. მასწავლებლები 2023-2024 წლისთვის ერთობლივად შეიმუშავებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კათედრაზე შერჩეულ კომპლექსურ დავალებებთან მიმართებაში. რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას და ობიექტურობას. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი ნამუშევრები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. საბაზო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის შედეგების დიაგნოსტირების რუბრიკები, რომელიც ეფუძნება სამიზნე ცნებებს და მკვიდრ წარმოდგენებს და ზეპირსიტყვიერი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც არის ვალიდური და სანდო. რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.2.5.

სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, **თუმცა შესაბაისობის გეგმით წარმოადგინა ის.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

2.2.2.6.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრის წევრებთნ გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მოსწავლეთა მიღწევებისა და ტიპური პრობლემების აღნიშვნას მასწავლებლები უზრუნველყოფენ პირადი ჩანაწერების სახით, რაც შეეხება განმავითარებელ კომენტარებს, მასწავლბელები მეტწილად სიტყვიერად აწვდიან მოსწავლეებს, საჭიროების შემთხვევაში მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. მასწავლებლები ყოველდღიურ რეჟიმში იყენებენ ელექტრონულ ჟურნალებს მოსწავლეთა შედეგების აღრიცხვისთვის. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი პერიოდულად უზიარებენ ერთმანეთს მოსწავლეთა შედეგებს, ასევე იყენებენ კრიტიკული მეგობრის, ურთიერთდასწრების და ინტეგრირებული ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობებს, რომ აქტიურად დააკვირდნენ მოსწავლეთა განვითარების პროცესს და ერთობლივად დაგეგმონ მათ აკადემიურ და პიროვნულ მხარდაჭერა - განვითარებაზე ორიენტირებული ინტერვენციები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, რომ თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს : სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები. პედაგოგებთან გასაუბრებისას დაფიქსირდა ,რომ სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება. მოსწავლეთა მონაცემები ინახება მოსწავლის პირად საქმეებში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ესთეტიკის კათედრა სამომავლოდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პირადი საქმეების, კლასის,საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის, სასკოლო კურუკულუმების შენახვას კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების დაცვით, როგორც ელექტრონულად ასევე მატერიალური ფორმით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვა და შენახვა ხდება არანაკლებ სამი წლის ვადით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებისა და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შესაბამისად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შესაბამისი ვადით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მტკიცებულებები:
1. დანართი № 86 საბაზო საფეხურის კურიკულუმი
2. დანართი №154 ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (პროექტი)

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
2.2.3.1
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-კათედრის წევრებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და ერთმანეთის დახმარებაზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრ მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს თუ როგორ ახერხებდნენ სწავლა - სწავლების პროცესში მოსწავლეებისთვის, მათი ინტერესების, საჭიროებების მიხედვით, მათ აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული და მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე, ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას, ისაუბრეს იმ გამოწვევებზე რომლებიც აქვთ და აჩვენეს მზაობა მათი ერთობლივად დაძლევის და ეფექტიანი ინტერვენციების შემუშავების მიზნით, თანამშრომლიბის და შემდგომი მუშაობის გაგრძელების.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმებით. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია(პედაგოგთა ურთიერთდასწრება, გაკვეთილის რეფლექსია, შემაჯამებელი ოქმი) მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს , რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. უცხო ენის კათედრის ყველა მასწავლებელი ზრუნავს თანამშრომლობის განვითარებაზე როგორც ერთმანეთთან ასევე- მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. ღიაობა და მიმღებლობა და წახალისება, როგორც მასწავლებლების, ასევე,მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ. კათედრის ორგანიზებით ხორციელდება სასკოლო პრეოქტები,რომელშიც ჩართულია,როგორც სხავდასხვა საგნებისა და საფეხურების პედაგოგები, ასევე - მოსწავლეები და მათი მშობლები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -*პედაგოგებთან გასაუბრებისას და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და კეთილგანწყობილი გარემო.* სკოლაში არის დაცული ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას,რაც გასაუბრებაზეც თვალჩისაცემი იყო. ბუნებრივია მოსწავლეებს ასეთ გარემოში თამამად შეუძლიათ ნებისმიერი მათთვის ძნელად აღსაქმელი თუ გაუგებარი საკითხის გასარკვევად მიმართოს ნებისმიერ მასწავლებელს და მიიღონ შესაბამისი დახმარება . იკვეთება პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა -სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეზეა ორიენტირებული, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის. სასკოლო ცხოვრება მიმდინარეობს თანამშორმლობით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - .პედაგოგებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან. ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და საკითხის

ერთობლივად გადაწყვეტა. იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და ინტერესებს, რითაც ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.3.2.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგები ორიენტირებული არიან თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე, წარმატებასა და პროგრესზე, რაც დიფერენცირებული სასწავლო პროცესით მიიღწევა. ქმნიან ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის, წინასწარ განსაზღვრავენ მოსწავლის განვითარებაზე მორგებულ სასწავლო რესურსებს, რომელიც ეხმარება მათ სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე დაყრდნობით საჭირო შემთხვევაში ცვლილებებს ასახავენ ჩარჩო კურიკულუმში
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები-ის მასალა (კურიკულუმი, შეფასების რუბრიკები, სასწავლო პროექტები) რომელიც სკოლამ წარმოადგინა, ასევე მასწავლებლები ინტერვიურიების პროცესში, რომლებიც ყვებოდნენ, თუ როგორ ახერხებდნენ მაქსიმალურად თითოეული მოსწავლის საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით და მათ პიროვნულ და აკადემიურ ზრდაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წაარმართვას, იძლევა იმის საშუალებას, აღვნიშნო რომ სკოლა წარმართავს სასწავლო პროცესს მოსწავლეზე ორიენტირებულად და ასევე მზად არის განაგრძოს მუშაობა ამ მიმართულებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

უცხოური ენები-სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, მოსწავლის ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი შეფასების რუბრიკები ადასტურებს იმას ,რომ პედაგოგები ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება,უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესით რეგულირდება მოსწავლის წახალისების წესი : 1. დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის, ეროვნულ ან / და საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილეობისათვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად

თავის გამოჩენისათვის, სანიმუშო სწავლისათვის ან სხვა გარემოების არსებობისას დირექტორის გადაწყვეტილებით სკოლა უფლებამოსილია მოსწავლეთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.

2. მოსწავლის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

3. წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით და ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პირადი საუბრით ჩანს, რომ ამ ეტაპზე სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ამას ადასტურებს პირადი გასაუბრება პედაგოგებთან, მასწავლებლები ახერხებენ მოსწავლეებზე დაკვირვების განხორციელებას ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცესში, იქნება ის ფოკუსირებული დაკვირვება თუ სხვა. სკოლა გეგმავს ამ მიმარულებით სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე სრულად ორიენტირებულად.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - -გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილი კურიკულუმი ორიენტირებულია არამარტო საგნობრივი ცოდნით მოსწავლის აღჭურვაზე, არამედ - 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დიფერენცირებულ მიდგომას იმისათვის ,რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს სრულყოფილად ჩართვა სასწავლო პროცესში. პედაგოგები კურიკულუმის დაგეგმვისას და განხორციელებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და საჭიროებებს, იცნობენ და სასწავლო პროცესში ნერგავენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რომლების მოსწავლეზეა ორიენტირებული
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სკოლა მომავლისთვის გეგმავს, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ინკლუზიური მიდგომაც.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.3.3
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის კულტურა. ურთიერთდასწრებით და კათედრის სხდომებზე განხილვებით ხორციელდება გამოცდილების გაზიარება. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმი, შეფასების რუბრიკები შექმნილია მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრაზე, მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში, როდესაც ისინი საუბრობდნენ არა მხოლოდ საკუთარ არამედ ერთმანეთის სასწავლო პროექტებსა და წარმართულ სწავლა - სწავლების პროცესზე, დავინახე რომ ისინნი იცნობენ ერთმანეთის პრაქტიკას, ავლენენ მხარდაჭერას ერთმანეთის მიმართ, უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს და მზად არიან ერთად იშრომონ განვითარებისთვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს დაწყებითი საფეხურზე უცხო ენის , როგორც ინგლისური ენის ასვე რუსული ენის მასწავლებლების ურთიერთანამშრომლობასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ, რომ კოორდინირებული მუშაობა აქვთ სხვა კათედრებთან. თითოეული სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს და აფასებს პროცესებს, განსხვავებულია მათი გადაჭრის გზებიც, რაც ეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.სკოლაში დანერგილია ე.წ. ,,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. მაგალითისათვის წარმოდგენილია კათედრის სამუშაო შეხვედრა N 4 (5.04.2023) ,შეხვედრის მიზანი იყო პედაგოგის მიერ ტრენინგზე მიღებული გამოცდილების და სიახლეების გაზიარება კოლეგებისათვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ,სასწავლო პროცესში არის თანამშრომლობით კულტურა. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კოლეგები ყოველდღიურ შეხვედრებზე, კათედრის სხომებზე, არაფორმალურ შეხვედრებზე უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის შეხედულებებს, ხდება მოსწავლეებთან აქტიური კომუნიკაცია, პედაგოგთა შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. გასაუბრების პროცესში ნათლად ჩანს თანამშრომლობითი კულტურა და ურთიერთ დახმარება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლები მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ გამოცდილებას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. ჩანს, რომ ეფექტური კომუნიკაციაა დამყარებული მოსწავლეებთან და მათ

მშობლებთან. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პოზიტიურ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერაქციას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - ინტერვიუდან ირკვევა, სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქვთ თანამშრომლობითი გარემო. სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ხდება გამოცდილების გაზიარება, უკუკავშირი, მსჯელობა არსებულ პრობლემებსა თუ მიღწევებზე, გასაუმჯობესებელ მხარეებზე, აღნიშნულის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს და კოორდინირებულად მუშაობენ.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.2.3.4.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლები თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით მიიღწევა. ინტერვიურებისა და სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ნდობასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები-ინტერვიუს პროცესში გამოჩნდა, რომ მასწავლებლებს გათავისებული აქვთ რაოდენ მნიშვნელოვანია პოზიტიური კლიმატის არსებობა როგორც სკოლის, ისე კლასის დონეზე და მზად არიან ამაში მზარდი წვლილი შეიტანონ.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა,ნდობა,აღიარება,მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ მთლიანი სასკოლო საზოგადოების. საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -სასწავლო პროცესში შექმნილია ღია, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა იმისა, ერთამანეთს გაუზიარონ გამოცდილება და გასცენ პოზიტიური უკუკავშირი. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა --სკოლა ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, საბაზო საფეხურის პედაგოგები უზურნველყოფენ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და თვითგამოხატვას. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი მოტივაციით, ხალისით ერთვებიან სასკოლო პროექტებში, ავლენენ შემოქმედებით უნარებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო; უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. დანართი№ 153 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
2. დანართი № 10 სკოლის შინაგანაწესი
3. დანართი №24 კათერების ანგარიშები
4. დანართი №86 საბაზო საფეხურის კურიკულუმები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1
სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. **თუმცა შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა ის. გამომდინარე აქედან ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**
2.3.1.2
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით მასწავლებლებს აქვთ კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება. კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებს. ერთობლივად სახავენ შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიებს ეს პროცესები აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. ასევე გამოიკვეთა მზაობა მასწავლებლების მხრიდან რომ მოახდენენ ამ პროცესების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, მასწავლებლები იყენებენ ინსტრუმენტებს: ურთიერთდასწრებას, თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, კათედრაზე შედეგების განხილვას, კურიკულუმის მიხედვით წარმართული სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების მიზნით, მიმართულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისკენ, აღნიშნული გამოიკვეთა ინტერვიუს პროცესში, სადაც მასწავლებლები საუბრობდნენ, თუ როგორ და რა მიზნით იყენებენ ზემოაღნიშნულ ინსტრუმენტებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-,,კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიაში“ იკვეთება, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება შემდეგი მიმართულებებით : 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; -2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); -3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, პირველი სვირის საჯარო სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას საბაზო საფეხურზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა იქნება სასკოლო საზოგადოების მხარდამჭერი მექანიზმი წინსვლისა და განვითარებისათვის. გასაუბრებაზე მასწავლებლების მხრიდან აღინიშნა , რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, მოსწავლეების ინტერესებს და ცვლილებები რომლებიც შევა საგნობრივ კურიკულუმებში უპირობოდ მიმართული იქნება სასკლო საზოგადოების წევრების, მოსწავლეების მხარდაჭერსა და დახმარებაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -.სამომავლოდ სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს გაცნობიერებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მათთვის მხოლოდ კონსტრუქციული უკუკავშირის სახით რეკომენდაციების შემუშავებას და დახმარებას საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. 2023-2024 სასწავლო წლისათვის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა იქნება სასკოლო საზოგადოების მხარდამჭერი მექანიზმი წინსვლისა და განვითარებისათვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - . მასწავლებლებთან პირისპირ საუბარში გაირკვა, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სკოლის გუნდი გამოცდილების საფუძველზე გააუმჯობესებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეაფასებენ და დაადგენენ მოსწავლეთა იმ უნარებს, სადაც მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა და ამის გათვალისწინებით დაგეგმავენ სწავლის შემდგომ პროცესს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
სპორტი -ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ მასწავლებლები საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად ესწრებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს და აძლევენ ერთმანეთს განმავითარებელ უკუკავშირს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
2.3.1.3.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. კათედრაზე ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესიდან შეიძლება ითქვას, რომ მათ გააზრებული აქვთ მონიტორინგისა და შეფასების მთავარი არსი - პრობლემის გადაჭრის გზა და საშუალებაა და გამოხატავენ მზაობას ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებისთვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, წლის ბოლოს შეხვედრებზე ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად დაისახება მათი გადაჭრის გზები, სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წლიდან სამოქმედო გეგმაში აისახოს კურუკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია.სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა,სადაც მოცემულია ჯგუფის რეკომენდაციები კოკრეტული პრობლემების გადასაჭრელად.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული რომ მონიტორინგისას ხდება ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც წინაპირობას ქმნის სრულყოფილი და ობიექტური შეფასებისთვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - -სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: საბაზო საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლისთვის შექმნილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები გამოავლენს პრობლემას და დასახავს მათი ინტერვენციის გზებს/საშუალებებს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - მასწავლებლებთან პირისპირ საუბარში გაირკვა, რომ გააზრებული აქვთ მოსწავლეთა შეფასებისას მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -კათედრის წევრებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით ისინი მუდმივად ცდილობენ დააკვირდნენ და გაანალიზონ მიმდინარე სასწავლო წელი, ფიზიკური აქტივობები და მოსწავლეების საჭიროებებზე მოარგონ ისინი. სამომავლოდ სკოლა

ჩართავს მონიტორინგში სასკოლო საზოგადოებას, შეიმუშავებს ისეთ მეთოდოლიგიას, რომელიც მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოკვეთს სწავლის პროცესის ხარვეზებს, პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს, სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დანართი №160 2022-2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
2. დანართი №154 ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (პროექტი)
3. დანართი № 174 კომპლექსური დავალების შუალედური ეტაპის გაკვეთილის უკუკავშირი.(ინგლისური ,მე-7 კლ)
4. დანართი № 79 ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
2.3.2.1.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ უპირატესობას ანიჭებენ განმავითარებელი შეფასებას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება საბაზო საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სოლო ტაქსონომიით. .შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას შეფასებაში და მიიღება რეალური სურათი, რომელსაც გაითვალისწინებენ და ასახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმში
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მასწავლებლები ინტერვიუირების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ჰოლისტურ ხასიათს უნდა ატარებდეს და უკვე არსებული შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია ამ მიმართულებით მოსწავლეთა შეფასებაზე, თუმცა აღნიშნავენ რომ ამჟამადაც მუშაობენ შეფასების რუბრიკების განვითარებაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-სკოლის სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების მიმართულებები,სტანდრატულად ეს არის განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასება. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას აძლევთ განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მონაცემები. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორციელებეული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ამის შემდეგ ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს მოსწავლეებს. სამომავლოდ საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები გეგმავენ შეფასების ფორმას მიეცეს სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა იყენებს ჰოლისტურ შეფასებას. შეფასებისას სკოლა იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. სკოლა იყენებს დასწრებისა და ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირის ფორმას მოსწავლეებისგან. ელ. ჟურნალში განმსაზღვრელი შეფასების გარდა ფიქსირდება განმავითარებელი შეფასებები კომენტარების სახით მოსწავლეთა და მათი მშობლებისთვის. ამ ფორმით წარმოდგენა გააადვილებს მონაცემებთა ანალიზის პროცესს და მათზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა --საბაზო საფეხურზე პედაგოგები იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. აქვთ მზაობა, კიდევ უფრო გააუმჯობესონ ამ მიმართულებით მუშაობა იმისათვის, რომ 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში შეფასება დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა -საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები გეგმავენ შეფასება მოახდინონ მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, ახალი სასწავლო წლისთვის შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სკოლაში გამოიყენება შეფასების ჰოლისტური მიდგომები, რაც გულისხმობს შეფასებისას მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას. მაგალითად, განმავითარებელი შეფასების რუბრიკით მოწმდება კომპლექსური დავალება და მისი თითოეული ეტაპი, ასევე პროექტები, არაფორმალური აქტივობები. განმსაზღვრელი შეფასებით მოწმდება შემაჯამებელი დავალებებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.3.2.2.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები შეფასებისას უპირატესობას კომპლექსურ დავალებებს ანიჭებენ. გეგმავენ, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კომპლექსური დავალებების შეფასება მოხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების მიღწევების დიაგნოსტირება, შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად. მასწავლებლები გეგმავენ სასწავლო წლისთვის შეაფსების რუბრიკები დახვეწონ და განავითარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლბლებმა, ინტერვიუს დროს, როდესაც საუბრობდნენ სხვადასხვა საგანში განხორციელებული კომპლექსური დავალების ბარათების დამუშავების შედეგად მოსწავლეების მიერ მომზადებული საგანმანათლებლო პროდუქტების, მიმდინარე საკლასო და დამოუკიდებელი დავალებების/აქტივობების და შემაჯამებელი დავალებების შეფასებაზე, აღნიშნეს რომ ითვალისწინებენ სხვადასხვა კონტექსტს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ინსტრუქტაჟში ჩანს პედაგოგისა და კათედრის მცდელობა ,რომ მოხდეს მოსწავლის შეფასება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინონ სხვადასხვა ფაქტორები. აფასებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას,არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს უცხოურ ენათა კათედრის თავმჯდომარის 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ანგარიში,სადაც

განხილულია სამივე სფეხურზე,უცხ ენებში განხორციელებული აქტივოებეი, ამთ შორის კომპექსური დავალებები და დატანილია შეფასების რუბრიკები და სხვა მონაცემები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლა სამომავლოდ გეგმავს მოსწავლეთა შეფასებას მრავალხრივად სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, სამომავლოდ შეფასება განხორციელდება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს,რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს და აფასებებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ საზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურზე შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მათი შესაძლებლობები და საჭიროებები. პედაგოგებს აქვთ მზაობა, რომ 2023-2024 წლისთვის შეფასება განახორციელონ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ამისათვის კი გამოიყენონ მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, სოლო ტაქსონომიაზე შემუშავებული სქემები, კათედრებისა და სადამრიგებლო მუშაობის შეფასების სქემები, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებს აქვთ გარკვეული გამოცდილება კომპლექსური დავალებებით სწავლებისა და მომავალშიც გეგმავენ გაზარდონ მათი რაოდენობა. მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას აღნიშნეს, რომ დახვეწენ და განახორციელებენ სწავლებას სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, როგორებიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება. შეფასება კი მოხდება წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -სკოლის მიერ შევსებული თვითშეფასების ფორმიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, სპორტის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მოსწავლეთა შეფასების დროს ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეების ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათი ფიზიკური განვითარების ინდივიდუალური თავისებურებები, პიროვნული თვისებები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.3.2.3.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით ინფორმაციის მისაღებად ითვალისწინებენ შეფასების სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც ნაწილობრივ ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და

ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - გამოკითხავს მოსწავლეს, მის თანატოლს, მშობელს, სხვა მასწავლებელს, დამრიგებელს და სკოლის სხვა პერსონალს. გამოავლენენ მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებს, რომელსაც ითვალისწინებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიზნით. 2023-2024 სასწავლო წლიდან მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით სკოლა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასება. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ შეფასების მომზადების პროცესში ეყრდნობიან სხვადასხვა მეთოდს მონაცემების შეგროვებისთვის, განსაკუთრებით შემაჯამებელი დავალებების და კომპლექსური დავალებების შეფასების დროს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი
უცხოური ენები-გასაუბრებაზე გამოიკვეთა ,რომ შეფასებისას საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს , თუმცა ამის სისტემური ხასიათი არა აქვს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ისეთი მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა: სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერიუ, ფოკუსჯგუფი. მონაცემთა შეგროვების ფორმა, რაც გაგვიადვილებს სასწავლო პროცესის კომპლექსურ შეფასებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - შეფასებისას, მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება კათედრებზე, პარალელურ კლასისა და საგანის მასწავლებლებისაგან, სკოლაში დაკვირვების საფუძველზე ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, რაც გამოიხატება კონსტრუქციული უკუკავშირით. მოსწავლეთა აქტუალური ცოდნის დონის მიხედვით გეგმავენ სასწავლო პროცესს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურზე შეფასებისას გამოყენებულია ზეპირსიტყვიერი გამოკითხვები და უკუკავშირები. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლა გეგმავს გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. (რაოდენობრივი/ თვისობრივი); რის საფუძველზეც მოხდება სასწავლო პროცესის სრულყოფა და განვითარება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა: მოსწავლეზე დაკვირვება, მოკლე ჩანაწერების გაკეთება, კომენტარი და სხვა. რომელთა მიხედვითაც შეძლებენ დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -ინფორმაციის შეგროვება ხდება მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გასაუბრების საფუძველზე. საწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ჰოლისტურია, შეფასება ხდება სხვადასხვა მეთოდებით, კათედრებზე განხილვით, ზეპირსიტყვირსიტყვიერი კომუნიკაციით მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.3.2.4.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგები მოსწავლეთა შეფასებისას განსაზღვრავენ მიზნებს - რა უნდა შეფასდეს, რა უნდა გამოავლინოს ამ შეფასებამ, როგორ მოხდეს მოსწავლეზე დაკვირვებისას მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეების განსაზღვრა, რომ შემდგომ მოხდეს ამ ფაქტორების გათვალისწინება და არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზებზე მუშაობა. შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამომავლოდ შეფასებისას უფრო მეტად იქნება გამოყენებული კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ უპირატესობას ანიჭებენ განმავითარებელი შეფასებას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება საბაზო საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სოლო ტაქსონომიით. .შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას შეფასებაში და მიიღება რეალური სურათი, რომელსაც გაითვალისწინებენ და ასახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმში
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მასწავლებლები ინტერვიუირების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ჰოლისტურ ხასიათს უნდა ატარებდეს და უკვე არსებული შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია ამ მიმართულებით მოსწავლეთა შეფასებაზე, თუმცა აღნიშნავენ რომ ამჟამადაც მუშაობენ შეფასების რუბრიკების განვითარებაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-სკოლის სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების მიმართულებები,სტანდრატულად ეს არის განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასება. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას აძლევთ განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მონაცემები. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორციელებეული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ამის შემდეგ ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს მოსწავლეებს. სამომავლოდ საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები გეგმავენ შეფასების ფორმას მიეცეს სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა იყენებს ჰოლისტურ შეფასებას. შეფასებისას სკოლა იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. სკოლა იყენებს დასწრებისა და ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირის ფორმას მოსწავლეებისგან. ელ. ჟურნალში განმსაზღვრელი შეფასების გარდა ფიქსირდება განმავითარებელი შეფასებები კომენტარების სახით მოსწავლეთა და მათი მშობლებისთვის. ამ ფორმით წარმოდგენა გააადვილებს მონაცემებთა ანალიზის პროცესს და მათზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლები ინტერვიუს პროცესში აღნიშნავდნენ, რომ შეფასების მომზადების პროცესში ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს, პირველ რიგში კი მოსწავლეების შესაძლებლობებს, საჭიროებებეს, ინტერესებს. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას განაგრძონ ამ მიმართულებით მუშაობა. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-..დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი ინგლისური ენის და რუსული ენის საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა -მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით სკოლა გეგმავს შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მასწავლებელები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ მთელი რიგი ფაქტორები სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ 2023-2024 წლისთვის შეფასება წარიმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას , გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, რამდენად შეესაბამება საფეხურის მისიას, მოსწავლეთა ინდივიდუალურ მახასიათებლებს, რამდენად ითვალისწინებს სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა -საბაზო საფეხურზე მათემატიკის მასწავლებლები მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეფასებას ახორციელებენ კომპლექსურად, გეგმავენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა წარიმართონ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს, მაგალითად, მოსწავლის ფიზიკურ შესაძლებლობებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ინდივიდუალურ თავისებურებებს. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა არსებულ გარემოს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე. მომავალი წლის კურიკულუმში იგეგმება ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომლებიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი № 86 საბაზო საფეხურის კურიკულუმი
2. დანართი №28 სასკოლო სასწავლო გეგმა
3. დანართი №104 შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-კურიკულუმის განვითარების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მნიშვნელოვანია აღვნიშნო, რომ ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ აანალიზებენ კურიკულუმს სასწავლო წლის მანძილზე და სასწავლო წლის ბოლოს და როგორ გეგმავენ და ასახავენ შესაბამის ცვლილებებს. აღნიშნავენ რომ ამ მიმართულებით კვლავ აგრძელებენ მუშაობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესები. კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: - სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; - კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; - სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; - კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; - სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან . მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის: - რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; - რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს წინა წლის პროცესის შეფასება თუ, რამ იმუშავა კარგად, ცუდად.ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის და რუსული ენის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ, სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას დაეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა --საბაზო საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა შეიმუშავებს კურუკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. პაკეტის შექმნისას სკოლა გაითვალისწინებს დაგროვილ გამოცდილებას, მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - წინა წლის გამოცდილების საფუძველზე, სკოლა აქვს მზაობა მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუავოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. პაკეტის შექმნისას სკოლა გაითვალისწინებს დაგროვილ გამოცდილებას, მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირებს .
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა შეიმუშავებს კურუკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. პაკეტის შექმნისას სკოლა გაითვალისწინებს დაგროვილ გამოცდილებას, მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირებს. რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - საბაზო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყოველწლიურად ხდება სასკოლო კურიკულუმების განვითარება, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შეფასების შედეგებს. გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. ეს მათ აძლევს საშუალებას დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულ იქნას სასკოლო საზოგადოების მიერ სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას. ამ ეტაპზე შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლა გამოხატავს ამის მზაობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

2.4.1.2.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები-მასწავლებლებმა აღნიშნეს, ინტერვიუირების პროცესში, რომ ერთი მხრივ აგრძელებენ მუშაობას კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების პროცესის დახვეწაზე და მეორე მხრივ კი მიღებული შედეგების ეფექტიან გამოყენებაზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნის პროცესში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

უცხოური ენები-გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ მუშავდება კურიკულუმის ახალი ვერსია, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები. მასწავლებლები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში აისახოს მოსწავლეთა ინტერესები, მათი შედეგები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგის შედეგებს, კოლეგების ურთიერთდასწრებისას მიღებულ უკუკავშირებს, მოსწავლეთა შედეგების ანალიზს. პედაგოგებმა მოახდინეს წინა წლის სასწავლო გეგმის და მასში შემავალი კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ტექნოლოგიები - კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმების მოდიფიცირება, კათედრაზე გამოცდილების გაზიარება და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნისას გათვალისწინებულ იქნება წინარე გამოცდილება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგის შედეგებს, კოლეგების ურთიერთდასწრებისას მიღებულ უკუკავშირებს, მოსწავლეთა შედეგების ანალიზს. პედაგოგებმა მოახდინეს წინა წლის სასწავლო გეგმის და მასში შემავალი კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

მათემატიკა - მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

სპორტი -კურიკულუმის გადამუშავება ხდება კათედრაზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს მომდევნო სასწავლი წლის კურიკულუმები, რომელიც ეფუძნება გასული წლებში მიღებულ გამოცდილებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი №154 ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (პროექტი)
2. დანართი №86 საბაზო საფეხურის კურიკულუმი
3. დანართი №104 შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.

სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, თუმცა შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა ის. გამომდინარე აქედან ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

2.1.1.2.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები -- საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრი მასწავლებლები, ინტერვიუს პროცესში, ესგ - ით გათვალისწინებული გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების მიღწევის საკუთარ გამოცდილებაზე საუბრის დროს აღნიშნავდნენ, რომ ითვალისწინებდნენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, მაგალითად, იყენებდნენ დიფერენცირებულ მიდგომებს და მოსწავლეებს სთავაზობდნენ ალტერნატიული ფორმატის აქტივობებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

